

**ადამიანის უფლებათა
ევროპული სასამართლოს
მიერ 2018-2020 წლებში
მიღებული მნიშვნელოვანი
გადაწყვეტილებებისა და
ბანრინებების ქრებული**



საქართველოს უზენაესი სასამართლო

The Supreme Court of Georgia

**ადამიანის უფლებათა ევროპული
სასამართლოს მიერ 2018-2020 წლებში
მიღებული მნიშვნელოვანი
გადაწყვეტილებებისა და განჩინებების
კრებული**

საქართველოს უზენაესი სასამართლო
ანალიტიკური განყოფილება
ადამიანის უფლებათა ცენტრი

თბილისი
2020

**SUMMARY OF THE MAIN JUDGMENTS AND
DECISIONS DELIVERED BY
THE EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
IN 2018-2020 YEARS**

**The Supreme Court of Georgia
Analytical Department
Human Rights Centre**

Tbilisi

2020



კრებულის რედაქტორი:

მარინე კვაჭაქა

სამართლის დოქტორი, პროფესორი
ანალიტიკური განყოფილების უფროსი

კრებული შეადგინეს და დაამუშავეს:

ეკა მამალაქაძე

ანალიტიკური განყოფილების ადამიანის უფლებათა ცენტრის
მთავარი კონსულტანტი

გულიკო მჭედლიშვილი

ანალიტიკური განყოფილების ადამიანის უფლებათა ცენტრის
კონსულტანტი

ნიკო ღათეშიაძე

ანალიტიკური განყოფილების ადამიანის უფლებათა ცენტრის
კონსულტანტი

რედაქტორი

ნინო კიკიბური

ტექნიკური რედაქტორი და ყდის დიზაინი

მარიკა მაღალაშვილი



EDITED BY:

The Head of Analytical Department

Prof. Dr. Marina Kvachadze

THE COLLECTION WAS TRANSLATED AND ELABORATED BY:

Chief Consultant of Human Rights Centre,
Analytical Department of the Supreme Court of Georgia

Eka Mamaladze

Consultant of Human Rights Centre,
Analytical Department of the Supreme Court of Georgia

Guliko Mchedlishvili

Consultant of Human Rights Centre,
Analytical Department of the Supreme Court of Georgia

Niko Dateshidze

EDITOR

Nino Dzidziguri

GRAPHICS EDITOR AND DESIGN

Marika Maghalashvili

წინასიტყვაობა

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური განყოფილების ადამიანის უფლებათა ცენტრის საქმიანობის ფარგლებში, ტრადიციულად მომზადდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მნიშვნელოვან გადაწყვეტილებათა და განჩინებათა კრებული, სადაც თავმოყრილია სასამართლოს მიერ 2018-2020 წლებში განხილული განსაკუთრებული სამართლებრივი ინტერესის მქონე საკითხები.

წინამდებარე კრებულის მიზანია მკითხველს გააცნოს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა, ახალი მიდგომები და პრეცედენტული სამართლის განვითარება. მოგეხსენებათ, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია ცოცხალი ორგანიზმია, რომელიც ვითარდება ქვეყნებში შექმნილი მდგომარეობისა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალში არსებული ვითარების შესაბამისად. აღნიშნულ კრებულში განხილული საქმეები ცხადყოფს, რომ ევროპული სასამართლო გადაწყვეტილებებს იღებს ახალი გამოწვევების კვალდაკვალ და განაგრძობს ადამიანის უფლებათა სფეროში საერთაშორისო სტანდარტების შემუშავებას. შესაბამისად, სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტული სამართლის უახლესი მაგალითები დიდ მნიშვნელობას იძენს, რადგან ის განმარტავს, აზუსტებს და ნათელს ჰფენს კონვენციით გათვალისწინებულ უფლებებსა და თავისუფლებებს.

კრებულში შესული ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები საინტერესო იქნება მოსამართლეებისთვის, ადვოკატებისთვის, პროკურორებისთვის, ფართო პროფილის იურისტებისთვის, უმაღლესი სასწავლებლების იურიდიული ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლებისთვის, სტუდენტებისა და ადამიანის უფლებების საკითხებით დაინტერესებული პირებისთვის.

მარინე კვაჭაძე

სამართლის დოქტორი,
ანალიტიკური განყოფილების უფროსი

Preface

The Human Right Centre of the Analytical Department at the Supreme Court of Georgia traditionally prepared the compilation of the significant judgments adopted by the European Court of Human Rights in 2018-2020 years, with respect to the rights and freedoms guaranteed in the Convention and its Protocols.

The aim of the aforementioned compilation is to introduce the practice of the European Court of Human Rights, new approaches and the case-law of the Court. The Convention is a living instrument and has to be interpreted in light of present-day conditions and developments of International Human Rights Law. The example of cases contained in this collection shows the willingness of the European Court of Human Rights to meet new challenges and set standards in terms of Human Rights Law. Consequently, the latest examples of the Strasbourg Court's case-law are of paramount importance, as it explains and clarifies the rights and freedoms enshrined in the Convention.

Case law of the European Court of Human Rights included in this compilation will be of particular interest not only for judges and persons practicing in legal system per se, but for academics, students and up and coming lawyers, as well as the general public interested in these issues.

Dr. Marina Kvachadze

The Head of Analytical Department

სარჩევი

შესავალი	8
ქირითადი უფლებები	
სიცოცხლის უფლება (მუხლი 2)	11
წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისა და დასჯის აკრძალვა (მუხლი 3)	16
თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება (მუხლი 5)	
თავისუფლების აღკვეთა (მუხლი 5 §1)	23
ფსიქიკური აშლილობის მქონე პირები (მუხლი 5 §1 (ე))	24
განხილვის დროულობა (მუხლი 5 §4)	27
კომპენსაციის მიღების უფლება (მუხლი 5 §5)	30
საპროცესო უფლებები	
საქმის სამართლიანი განხილვის უფლება სამოქალაქო	
სამართალწარმოების დროს (მუხლი 6 §1)	
გამოყენებადობა	32
სასამართლოს ხელმისაწვდომობა	36
გონივრული ვადა	42
სამართალწარმოების სამართლიანობა	43
დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლო	45
უდანაშაულობის პრეზუმფცია (მუხლი 6 §2)	46
დაცვის უფლებები (მუხლი 6 §3)	47
სხვა უფლებები სისხლის სამართლის სამართალწარმოების მიმართულებით	
პირის უფლება არ იქნეს გასამართლებული და დასჯილი ორჯერ (მე-7 დამატებითი ოქმი – მუხლი 4)	53
სხვა უფლებები და თავისუფლებები	
პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება (მუხლი 8)	56
გამოხატვის თავისუფლება (მუხლი 10)	73
დისკრიმინაციის აკრძალვა (მუხლი 14)	77
შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება (მუხლი 11)	85
უცხოელთა კოლექტიური ბაძევა (მე-4 დამატებითი ოქმი – მუხლი 4)	87
საკონსულტაციო დასკვნები (მე-16 დამატებითი ოქმი – მუხლი 1)	90

შესავალი

წინამდებარე თავში მიმოხილული იქნება ის მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც 2018-2020 წლებში, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განიხილა. აღსანიშნავია, რომ კრებულში შესული გადაწყვეტილებები შერჩეულ იქნა 2018-2020 წლებში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ბიუროს მიერ შედგენილი მნიშვნელოვანი საქმეების ნუსხიდან. საქმეები შეეხება როგორც ძირითად და საპროცესო უფლებებს, აგრეთვე ისეთ ფუნდამენტურ სხვა უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორცაა დისკრიმინაციის აკრძალვა, გამხატვის თავისუფლება და სხვ.

ქვემოთ განმარტებული იქნება, თუ რატომ არის თითოეული საქმე აღსანიშნავი და რა წვლილი შეიტანა მან პრეცედენტული სამართლის განვითარებაში, რაც აგრეთვე, მნიშვნელოვანია ეროვნული სასამართლოების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სტანდარტების განხორციელებისა და გამოყენების თვალსაზრისით.

სტრასბურგის სასამართლოს დიდმა პალატამ განმარტა კონვენციიდან გამომდინარე სახელმწიფოთა ვალდებულებები ავტოსაგზაო შემთხვევებთან (*ნიკოლაე ვირგილიუ ტანასე რუმინეთის წინააღმდეგ*), სუიციდის რისკის მქონე ფსიქიატრიული საავადმყოფოს პაციენტების მონიტორინგთან (*ფერნანდეს დე ოლივიერა პორტუგალიის წინააღმდეგ*) და ფსიქიატრიულ დაწესებულებაში მოთავსებული პაციენტების თერაპიულ მკურნალობასთან დაკავშირებით (*რუმანი ბელგის წინააღმდეგ*).

საქმეში *პორშეტი შვეიცარიის წინააღმდეგ*, სტრასბურგის სასამართლომ მე-5 მუხლის მე-5 პარაგრაფის შესაბამისად განმარტა საკუთარი სასამართლო პრაქტიკა, კომპენსაციის საკითხთან დაკავშირებით. კერძოდ, სასამართლომ განსაზღვრა, სასჯელის შემცირება უნდა იყოს მიჩნეული თუ არა „კომპენსაციად“.

სასამართლოს დიდმა პალატამ განიხილა კონვენციის მე-6 მუხლის თავსებადობა მოსამართლის წინააღმდეგ დისციპლინურ სამართალწარმოებასთან (*დენისოვი უკრაინის წინააღმდეგ და რამოს ნუნეს დე კარვალიო ე სა პორტუგალიის წინააღმდეგ*). საქმეზე ნაიტ-ლიმანი შვეიცარიის წინააღმდეგ, რომელიც ეხებოდა წამების მსხვერპლთა საჩივარს, დიდმა პალატამ განსაზღვრა, მოეთხოვებოდა თუ არა ეროვნულ სასამართლოებს კომპენსაციის მოთხოვნების განხილვა იმ საქმეებში, სადაც წამება განხორციელდა ქვეყნის ტერიტორიის გარეთ, მესამე სახელმწიფოს მიერ ან მისი იურისდიქციის ფარგლებში (მე-6 მუხლი). საქმეში *მროვნი ინსტიტუტი სლოვენის წინააღმდეგ*, სტრასბურგის სასამართლომ განიხილა კონვენციის მე-6 მუხლის გამოყენების საკითხი ტენდერის პროცედურასთან დაკავშირებით. სტრასბურგის სასამართლოს დიდმა პალატამ ასევე განსაზღვრა კრიტერიუმები, რომლებიც გასათვალისწინებელია იმ გადაწყვეტილების მიღებისას, ზემდგომი სასამართლოების ხელმისაწვდომობაზე დაწესებული შეზღუდვები, არის თუ არა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისი (*ზუბაჩი ხორვატიის წინააღმდეგ*). საქმეში *G.I.E.M. S.r.l. and Others v. Italy*, დიდმა პალატამ შეისწავლა სისხლისსამართლებრივი მსჯავრდების არარსებობის დროს ქონების კონფისკაცია შეესაბამებოდა თუ არა უდანაშაულობის პრეზუმფციას (მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი). გადაწყვეტილებაში საქმეზე *კორეია დე მატოსი პორტუგალიის წინააღმდეგ*, დიდმა პალატამ განმარ-

ტა პრეცედენტული სამართალი ბრალდებულის მიერ საკუთარი თავის დაცვის უფლების ფარგლებთან დაკავშირებით (მე-ნ მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი). პრეცედენტული სამართალი აგრეთვე განვითარდა ადვოკატსა და დაკავებულ კლიენტს შორის ზეპირ კომუნიკაციასთან დაკავშირებით, როგორც პირადად, ასევე პოლიციის შენობაში (ალტაი თურქეთის წინააღმდეგ (no.2)).

სტრასბურგის სასამართლოს დიდმა პალატამ აგრეთვე, დააზუსტა იმ ძირითადი კონცეფციების განმარტება, რომლებიც უკავშირდება პირის უფლებას, არ იყოს გასამართლებული ან დასჯილი ორჯერ (მიჰალაჩე რუმინეთის წინააღმდეგ).

დიდმა პალატამ განავითარა თავშესაფრის მაძიებლებთან დაკავშირებული პრეცედენტული სამართალი ორ საკითხთან მიმართებით: როდესაც ისინი იმყოფებოდნენ ტრანზიტულ ზონაში, რომელიც მდებარეობდა ევროპის საბჭოს ორ სახელმწიფოს შორის სახმელეთო საზღვარზე და მოგვიანებით, გაძევებულ იქნენ სახელმწიფოში, რომელიც არ იყო მათი წარმოშობის ქვეყანა (ილიასი და აჰმედი უნგრეთის წინააღმდეგ) და, როდესაც ისინი დაკავებულნი იყვნენ აეროპორტის სატრანზიტო ზონაში (ზ. ა. და სხვები რუსეთის წინააღმდეგ).

რაც შეეხება მიგრანტებს, სტრასბურგის სასამართლომ დაადასტურა ხელისუფლების ორგანოთა ვალდებულება, დაიცვან თანმხლები პირის გარეშე მყოფი არასრულწლოვნები, რომლებიც ქვეყნის დატოვების შემდეგ დამამცირებელ პირობებში ცხოვრობდნენ (ხანი საფრანგეთის წინააღმდეგ).

დიდმა პალატამ გაიმეორა პრეცედენტული სამართალით დადგენილი პრინციპები სამუშაო ადგილზე ვიდეთვალთვალსა და დასაქმებულთა პირადი ცხოვრების დაცულობის უფლებასთან დაკავშირებით (ლოპეზ რიბალდა და სხვები ესპანეთის წინააღმდეგ). განიხილა რა, მოწყვლადი ბავშვის მინდობით აღმზრდელი ოჯახის მიერ შვილად აყვანის საკითხი, დიდმა პალატამ აღნიშნა ის პროცედურული გარანტიები და შესაბამისი ინტერესები, რომლის გათვალისწინებაც მოეთხოვებათ ხელისუფლების წარმომადგენლებს, რათა გადაწყვეტილებები კონვენციის სტანდარტების შესაბამისად მიიღონ (სტრენდ ლობენი და სხვები ნორვეგიის წინააღმდეგ).

რაც შეეხება კონვენციით უზრუნველყოფილ უფლებებსა და თავისუფლებებს, სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა ეროვნული ხელისუფლების ორგანოების ვალდებულება, უზრუნველყონ გატაცებული პირის სიცოცხლის დაცვა (ოლეენიკი-კიეპლინსკა და ოლეენიკი პოლონეთის წინააღმდეგ). სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა პატიმართა ტრანსპორტირების პირობებთან დაკავშირებული პრინციპები (ტომოვი და სხვები რუსეთის წინააღმდეგ). გარდა ამისა, მან გადაწყვეტილება მიიღო უვადო თავისუფლებააღკვეთილი პატიმრისთვის დაკისრებული ვალდებულების შესახებ, რომ ეთანამშრომლა ხელისუფლების წარმომადგენლებთან მაფიის წინააღმდეგ ბრძოლაში, რათა მას მოეპოვებინა თავისუფლების შესაძლებლობა (მარსელო ვიოლა იტალიის წინააღმდეგ (no.2)).

პირად ცხოვრებასთან დაკავშირებით სასამართლომ გადაწყვეტილება მიიღო მამობის ტესტის წარდგენის ვალდებულებასთან დაკავშირებით (მიფსუდი მალტის წინააღმდეგ). სასამართლომ, ანტიტერორისტული საქმიანობის კონტექსტში, გადაწყვეტილება მიიღო სახელმწიფო ორგანოებისთვის გადაცემული უფლებამოსილების თაობაზე, რაც ითვალისწინებდა სასაზღვრო კონტროლზე პირთა გაჩერებას, ჩხრეკასა და დაკითხვას (ბეგალი გაერთიანებული სამეფოს წი-

ნაალმდეგ). სასამართლომ აგრეთვე განიხილა მსჯავრდებულის მოთხოვნა, ციხის ესკორტთან ერთად დაეტოვებინა სასჯელალსრულების დაწესებულება, რათა დასწრებოდა მამის დაკრძალვას (გუიმონი საფრანგეთის წინააღმდეგ).

სტრასბურგის სასამართლომ იმსჯელა, თუ რა გავლენა ჰქონდა საცხოვრებლის მინიჭებასთან დაკავშირებული სოციალური პროგრამის რეფორმას მონყვლად ბენეფიციარებზე (ჯ. დ. და ა. გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ). სასამართლომ პირველად განიხილა კიბერბულინგი, როგორც ქალთა მიმართ ძალადობის ასპექტი (ბუტურუგა რუმინეთის წინააღმდეგ). სასამართლომ აგრეთვე დაადგინა კრიტერიუმები, რომლებიც ადგენს, კონვენციის მე-8 მუხლის მიხედვით ეკისრება თუ არა სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება, უზრუნველყოს უსაფრთხო სასმელი წყლის ხელმისაწვდომობა (ჰუდოროვიჩი და სხვები სლოვენის წინააღმდეგ).

საქმე ბალდასი და სხვები საფრანგეთის წინააღმდეგ, პირველი შემთხვევაა, როდესაც სასამართლომ ბოიკოტი მოიხსენია საპროტესტო მოსაზრებების გამოთქმის საშუალებად. საქმეში ბეიზარასი და ლევიცკასი ლიეტუვას წინააღმდეგ, სტრასბურგის სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა იმის აუცილებლობა, რომ სისხლის სამართალი პასუხობდეს ჰომოფობიურ დამოკიდებულებაზე დაყრდნობით განხორციელებულ სიტყვიერ შეურაცხყოფასა და ფიზიკური ძალადობის მუქარას.

სასამართლომ განავითარა პრეცედენტული სამართალი კონვენციიდან გამომდინარე სახელმწიფოთა პოზიტიურ ვალდებულებასთან დაკავშირებით, კერძოდ, სიცოცხლის უფლების დაცვასა (ფერნანდეს დე ოლივეირა პორტუგალიის წინააღმდეგ, ნიკოლაე ვირგილიუ ტანასე რუმინეთის წინააღმდეგ და ოლევნიკ-კიეპლინკა და ოლევნიკი პოლონეთის წინააღმდეგ) და სამუშაო ადგილზე პირადი ცხოვრების დაცულობასთან მიმართებით (ლოპეზ რიბალდა და სხვები ესპანეთის წინააღმდეგ).

სხვა მნიშვნელოვანი საქმეები ეხებოდა ჟურნალისტების წინასწარ პატიმრობას (საჰინ ალჰაი თურქეთის წინააღმდეგ), არჩევნების კონტექსტში პოლიტიკური პარტიების გამოხატვის თავისუფლებაზე დაწესებული შეზღუდვების განჭვრეტადობას (*Magyar Kétfarkú Kutya Párt v. Hungary*[GC]), ეროვნულ დონეზე სერვისის მიმწოდებლებისთვის დაკისრებულ ვალდებულებას, შეენახათ გარკვეული კატეგორიის მომხმარებლების პერსონალური ინფორმაცია (ბრეიერი გერმანიის წინააღმდეგ).

პირველ საკონსულტაციო დასკვნაში სტრასბურგის სასამართლომ განიხილა იმ ბავშვის პირად ცხოვრებასთან დაკავშირებით წარმოდგენილი საკითხები, რომელიც დაიბადა საზღვარგარეთ სუროგაციის თაობაზე დადებული შეთანხმების შედეგად; საკონსულტაციო დასკვნა აგრეთვე, ეხებოდა სამართლებრივი ურთიერთობის აღიარებას ბავშვსა და მის მომავალ დედას შორის, რომელთანაც გენეტიკური კავშირი არ ჰქონდა (მოთხოვნა ნომერი: p-16-2018-001).

რამდენიმე მნიშვნელოვან გადაწყვეტილებაში აგრეთვე, განიხილეს კონვენციის ხელშემკვერელი სახელმწიფოებისთვის მინიჭებული თავისუფალი შეფასების ფარგლები (ნაიტ-ლიმანი შვეიცარიის წინააღმდეგ, ზუბაჩი ხორვატიის წინააღმდეგ და კორეია დე მატოსი პორტუგალიის წინააღმდეგ, ბეგალი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, ლოპეზ რიბალდა და სხვები ესპანეთის წინააღმდეგ, სხვებს შორის).

ქირითადი უფლება

სიცოცხლის უფლება (მუხლი 2)

სიცოცხლის დაცვის ვალდებულება

გადაწყვეტილება *ფერნანდეს დე ოლივეირა პორტუგალიის წინააღმდეგ*,¹ ეხებოდა მეორე მუხლის შესაბამისად, ქირითად ვალდებულებათა ბუნებას და ასევე, სამართალწარმოების ხანგრძლივობას (მე-2 მუხლის პროცედურული ნაწილი).

მომჩივნის სრულწლოვან ვაჟს, ა. ჯ.-ს, ჰქონდა სერიოზული ფსიქიკური პრობლემებისა და ასევე, ალკოჰოლსა და ექიმის რეცეპტით გამოწერილ ნამლებზე დამოკიდებულების ისტორია. იგი რამდენჯერმე ნებაყოფლობით მოათავსეს ფსიქიატრიულ საავადმყოფოში (HSC). უკანასკნელი ვიზიტის დროს (იმის გამო, რომ მან ნამლების საშუალებით თვითმკვლელობა სცადა), მისი თავდაპირველი შემზღვეველი რეჟიმი შემსუბუქდა. კერძოდ, მას სახლში ნასვლის ნებართვა მისცეს, რის შემდეგაც ის ხელახლა დაბრუნდა ალკოჰოლის გადაჭარბებული მიღების გამო. ორი დღის შემდეგ, ა. ჯ.-მა საავადმყოფო ნებართვის გარეშე დატოვა, გადახტა მატარებლის წინ და გარდაიცვალა. მომჩივანი მე-2 მუხლის საფუძველზე, დავობდა, რომ მისი შვილის სიცოცხლე არ იყო დაცული, ხოლო მე-6 მუხლის საფუძველზე, ასაჩივრებდა ფსიქიატრიული საავადმყოფოს წინააღმდეგ მისი სამოქალაქო სარჩელის განხილვის ხანგრძლივობას. დიდმა პალატამ არ დაადგინა მე-2 მუხლის არსებითი ნაწილის დარღვევა და განაცხადა, რომ დაირღვა აღნიშნული მუხლის პროცედურული ნაწილი.

(i) გადაწყვეტილება საინტერესოა იმით, რომ დიდმა პალატამ განმარტა სახელმწიფოსთვის დაკისრებული პოზიტიური ვალდებულებების შინაარსი, საავადმყოფოში თვითმკვლელობის რისკის ქვეშ მყოფი პაციენტების ზრუნვასთან დაკავშირებით.

უპირველეს ყოვლისა, და როგორც ახლახანს განიმარტა საქმეში *ლოპეს დე სუსა ფერნანდესი პორტუგალიის წინააღმდეგ*,² სამედიცინო დაუდევრობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს აქვს პოზიტიური ვალდებულება, რომ შექმნას ეფექტიანი მარეგულირებელი ჩარჩო, რომელიც დაავალდებულებს საავადმყოფოებს, მიიღონ შესაბამისი ზომები პაციენტთა სიცოცხლის გადასარჩენად. მეორე, გარკვეულ შემთხვევებში, სასამართლო სახელმწიფოებს აკისრებს პოზიტიურ ვალდებულებას, მიიღოს პრევენციული ხასიათის ოპერაციული ზომები, რათა დაიცვას პირი სხვებისა და მისგან მომდინარე დანაშაულებრივი ქმედებებისგან (*ოსმანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*),³ ვალდებულება ვრცელდება დაკავებულთა საქმეებსა (*ქენანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*)⁴ და რენოლდი საფრანგეთის წინააღმდეგ⁵ და არანებაყოფლობით ფსიქიატრიულ პაციენტებზე (*ჰილერი ავსტრიის წინააღმდეგ*)⁶.

¹ *Fernandes de Oliveira v. Portugal* [დიდი პალატა], no. 78103/14, 31 იანვარი, 2019.

² *Lopes de Sousa Fernandes v. Portugal* [დიდი პალატა], no. 56080/13, 19 დეკემბერი, 2017.

³ *Osman v. the United Kingdom*, 28 ოქტომბერი, 1998, გადაწყვეტილებათა და განჩინებათა ანგარიშები, 1998-VIII.

⁴ *Keenan v. the United Kingdom*, no. 27229/95, ECHR 2001-III.

⁵ *Renolde v. France*, no. 5608/05, ECHR 2008 (ამონარიდები).

⁶ *Hiller v. Austria*, no. 1967/14, 22 ნოემბერი, 2016.

დიდმა პალატამ ჩამოთვალა ის ფაქტორები, რომლებიც მითითებული პრეცედენტული სამართლის მიხედვით შესაბამისი იყო *ოსმანის* ტესტის გამოყენებისა და დაკავებული თვითმკვლელობის რისკის შეფასებისას, რომლებმაც შესაძლოა გამოიწვიოს პრევენციული ზომების მიღების აუცილებლობა. აღნიშნული ფაქტორებია: ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების ისტორია; ფსიქიკური დაავადების სიმძიმე; წინა თვითმკვლელობის ან თვითდაზიანების მცდელობები; სუიციდური ფიქრები ან მუქარები; ფსიქიკური ან მენტალური აშლილობის ნიშნები. დიდმა პალატამ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ორივე ვალდებულება შესაბამისი იყო და შემდგომში დაადგინა, რომ სახელმწიფოს მხრიდან ორივე შესრულდა. კერძოდ, მან აღნიშნა რომ:

- (ა) მარეგულირებელი ჩარჩოს შესრულების ფორმა არ არღვევდა კონვენციის მე-2 მუხლს. აღსანიშნავია, დიდი პალატა დაეთანხმა, რომ ფსიქიატრიული საავადმყოფოს მიდგომა, სადაც პაციენტების უფლებები მინიმალურად იყო შეზღუდული და არსებობდა თერაპევტული სურვილი შექმნილიყო ღია რეჟიმი – შეესაბამებოდა ბოლო წლებში განვითარებულ საერთაშორისო სტანდარტებს და მხარს უჭერდა *ჰილერის* საქმეში გამოთქმულ მოსაზრებას, რომ უფრო მეტად ჩამრევი რეჟიმით შესაძლებელი იყო დარღვეულიყო კონვენციის მე-3, მე-5 და მე-8 მუხლები. მან ასევე დაადგინა, რომ ნებაყოფლობითი პაციენტების მიმართ საავადმყოფოში გამოყენებული სამი სამეთვალყურეო ზომა იყო ადეკვატური. კერძოდ: რეგულარული ყოველდღიური გრაფიკი, განსაზღვრულ დროს ადგილზე ყოფნის მონიტორინგით; საჭიროების შემთხვევაში მეტად მკაცრი რეჟიმი; და აუცილებლობის შემთხვევაში გადაუდებელი პროცედურა (მაგალითად, შემაკავებელი პროცედურები). დაბოლოს, მომჩივანს შეეძლო მიემართა მართლმსაჯულების სისტემისთვის: მიუხედავად მისი გადაჭარბებული ხანგრძლივობისა (იხილეთ ქვემოთ), „არაფერი... მიუთითებს [მიუთითებდა] მართლმსაჯულების სისტემის ფუნქციონირების სისტემურ ნაკლოვანებაზე, რის შედეგადაც მომჩივანს უარი ეთქვა სამოქალაქო სარჩელის ეფექტურ განხილვაზე“.
- (ბ) რაც შეეხება *ოსმანის* პოზიტიური ვალდებულების გამოყენებას ამ კონტექსტში, აღსანიშნავია ორი ასპექტი. პირველი, დიდმა პალატამ ***პირველად დაადასტურა***, რომ პრევენციული ოპერაციული ზომების განხორციელების პოზიტიური ვალდებულება ვრცელდება *ნებაყოფლობით* პაციენტებზე (უკვე აღიარებულია, რომ ის ვრცელდება არანებაყოფლობით პაციენტებზე, იხ.: ზემოთ). მაშინ, როცა სასამართლომ აღნიშნული დასკვნა გააკეთა იმის აღნიშვნით, რომ ყველა ფსიქიატრიული პაციენტი მონყვლადი იყო და ჰოსპიტალიზაციის ნებისმიერი ფორმა მოიცავს აუცილებელი შეზღუდვის გარკვეულ დონეს, დიდმა პალატამ დაადასტურა მისი დასკვნები და დაამატა, რომ „სასამართლომ საკუთარ შეფასებაში შეიძლება გამოიყენოს შემონმების უფრო მკაცრი სტანდარტი“ არანებაყოფლობით პაციენტებთან მიმართებით“. მეორე, სასამართლომ გამოიყენა *ოსმანის* ტესტი და საავადმყოფოს მიერ გამოვლენილი ზრუნვა და მიღებული გადაწყვეტილებები შეაფასა ზემოთ მოცემულ ხუთ ფაქტორზე დაყრდნობით. სტრასბურგის სასამართლო დაეყრდნო ეროვნულ ანგარიშებსა და გადაწყვეტილებებს და განაცხადა, რომ არ იყო დადგენილი, ფსიქიატრიულმა საავადმყოფომ იცოდა ან უნდა სცოდნოდა თუ არა, რომ სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრე, ა.ჯ-ს სიცოცხლე უკვე დაუყო-

ნებლივი რისკის ქვეშ იდგა. კერძოდ, სასამართლო დაეთანხმა, მიუხედავად იმისა, რომ თვითმკვლელობის რისკი არ შეიძლებოდა გამოერიცხათ ისეთ პაციენტებში როგორც იყო ა.ჯ., რომლის ფსიქოპათოლოგიური მდგომარეობა ეფუძნებოდა მრავალ დიაგნოზს, დაუყოვნებლივი რისკი შეიძლება განსხვავდებოდეს და სასამართლომ მხარი დაუჭირა ფსიქიატრიული საავადმყოფოს მიდგომას. აღნიშნული მიდგომა მდგომარეობდა იმაში, რომ მონიტორინგის რეჟიმი იცვლებოდა რისკების ცვლილებებთან ერთად, რომელიც ეფუძნებოდა იმ ფილოსოფიას, რომელიც ახდენდა პაციენტის თავისუფლების, მისი პასუხისმგებლობის ოპტიმიზაციას. შესაბამისად, არ იყო დადგენილი „რეალური და დაუყოვნებლივი რისკი“, არ არსებობდა ოსმანის ტესტის მეორე ნაწილის შემონმების აუცილებლობა, რომელიც ეხებოდა იმ საკითხის შესწავლას, იყო თუ არა პრევენციული ზომების მიღება საჭირო.

(ii) მომჩივანი ასევე დავობდა, რომ საავადმყოფოს წინააღმდეგ სამართალწარმოება გადაჭარბებული ხანგრძლივობის იყო. იგი თავდაპირველად ეყრდნობოდა მე-6 მუხლის 1-ელ პუნქტს, ხოლო დიდმა პალატამ აღნიშნული საჩივარი მოიაზრა მე-2 მუხლის პროცედურულ ნაწილში (რადომილია და სხვები ხორვატიის წინააღმდეგ⁷) და დაადგინა ამ დებულების დარღვევა, სამართალწარმოების გადაჭარბებული ხანგრძლივობის საფუძველზე. რაც შეეხება საკითხს, კონვენციის მე-2 მუხლის პროცედურული დარღვევის დადგენისთვის, ნაჩვენები უნდა იყოს თუ არა, რომ სამართალწარმოების გაჭიანურობამ მის ეფექტურობაზე იქონია გავლენა (იხ.: მუსტაფა ტუნჩი და ფესირ ტუნჩი თურქეთის წინააღმდეგ⁸ და საბრიანოვა-პაშალიისკა და პაშალიისკა ბულგარეთის წინააღმდეგ⁹) დიდი პალატა დაეყრდნო *ლოპეზ დე სოუსა ფერნანდესის* გადაწყვეტილების 219-ე პარაგრაფს (ციტირებული ზემოთ):

„სწორედ ამიტომ სასამართლომ დაადგინა, რომ მე-2 მუხლთან დაკავშირებულ საქმეებში, კერძოდ, როდესაც სამართალწარმოება დაიწყო საავადმყოფოში პირის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, სამართალწარმოების გადაჭარბებული ხანგრძლივობა არის მაჩვენებელი იმისა, რომ ის ხარვეზიანი იყო, რაც კონვენციის თანახმად, წარმოადგენს მოპასუხე სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებების დარღვევას, გარდა იმ შემთხვევისა, თუ სახელმწიფო წარმოადგენს დამაჯერებელ და სარწმუნო დასაბუთებას სამართალწარმოების გადაჭარბებული ხანგრძლივობის გამართლებისთვის (იხ.: მაგალითად, ბილბია და ბლაჟევიჩი ხორვატიის წინააღმდეგ ნო. 62870/13, § 107, 12 იანვარი 2016)“.

დიდმა პალატამ დაადგინა, რომ მომჩივნის სამოქალაქო სარჩელის განხილვა იყო გადაჭარბებულად ხანგრძლივი, რაც წარმოადგენს სამართალწარმოების ხარვეზიანობის მყარ მაჩვენებელს და, რომ მთავრობამ აღნიშნული გადაჭარბების გასამართლებლად ვერ წარმოადგინა „დამაჯერებელი და სარწმუნო“ მიზეზები. დიდმა პალატამ მე-2 მუხლის პროცედურული ნაწილის დარღვევის დადგენამდე აღნიშნა სამართალწარმოების გადაჭარბებული ხანგრძლივობის თავიდან აცილების მნიშვნელობა (დროის დინება გავლენას ახდენს მონმის მეხსიერებაზე და სხვ.)

⁷ Radomilja and Others v. Croatia [დიდი პალატა], nos. 37685/10 და 22768/12, 20 მარტი, 2018.

⁸ Mustafa Tunc and Fecire Tunc v. Turkey [დიდი პალატა], no. 24014/05, § 31, 14 აპრილი, 2015.

⁹ Sarbyanova-Pashaliyska and Pashaliyska v. Bulgaria, no. 3524/14, §§ 41-44, 12 იანვარი, 2017.

საქმეში *ოლევნიკ-კიეპლინსკა და ოლევნიკი პოლონეთის წინააღმდეგ*,¹⁰ სასამართლომ გამოიყენა საქმეზე ოსმანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ¹¹ განვითარებული პრინციპები, გატაცების კონტექსტში.

ბატონი ოლევნიკი 2001 წელს გაიტაცეს. იგი ორი წლის განმავლობაში დაკავებული ჰყავდათ და არაადამიანურად ეპყრობოდნენ. მოგვიანებით, სავარაუდოდ, 2003 წლის სექტემბერში, გამოსასყიდის გადაცემის შემდეგ, იგი მოკლეს. მისი ცხედარი აღმოაჩინეს 2006 წელს. 2010 წლის საბოლოო გადაწყვეტილებით, გამტაცებელთა ჯგუფის რამდენიმე წევრი დამნაშავედ იქნა ცნობილი. საქმეზე გამოძიება კვლავ გრძელდებოდა. მომჩივნები, რომლებიც იყვნენ გარდაცვლილის მამა და ძმა, დავობდნენ მე-2 მუხლის არსებითი ნაწილის საფუძველზე, რომ ბატონი ოლევნიკის სიკვდილი გამოიწვია ხელისუფლების ორგანოების მარცხმა, ეფექტიანად გამოეძიებინათ მისი გატაცება და შესაბამისად, დაეცვათ ბ-ნი ოლევნიკის სიცოცხლე.

სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-2 მუხლის როგორც არსებითი (გატაცების ადეკვატურად გამოძიებისა და სიცოცხლის დაცვის მარცხი) ასევე, პროცედურული ნაწილი (მისი სიკვდილი ვერ გამოიძიეს).

მოცემული გადაწყვეტილება საინტერესოა, რადგან პირველი შემთხვევაა, როდესაც სტრასბურგის სასამართლომ გამოიყენა ოსმანის გადაწყვეტილებაში დადგენილი პრინციპები ისეთ გარემოებებში, როდესაც პირის გატაცებას მოჰყვა მისი გარდაცვალება.

ოსმანის პრინციპების მიხედვით, უნდა გავიხსენოთ, ფაქტობრივი და სავარაუდოდ ცოდნა („მთავრობამ იმ დროისთვის იცოდა ან უნდა სცოდნოდა, რომ მესამე პირის დანაშაულებრივი ქმედების შედეგად არსებობდა კონკრეტული პირის ან პირების სიცოცხლის მიმართ რეალური და იმნუთიერი საფრთხე), რომელმაც შეიძლება წარმოშვას სახელმწიფოს მხრიდან პოზიტიური ვალდებულება „საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში მიიღოს ზომები, რომლებმაც გონივრული შეფასებით თავიდან უნდა აიცილონ ეს რისკი“ (ოსმანი, §116). მოცემულ საქმეში ორი საკითხი იყო გადასაწყვეტი, წარმოადგენდა თუ არა გატაცება და მისი ხანგრძლივობა „რეალურ და იმნუთიერ რისკს“ და თუ ასეა, ხელისუფლების წარმომადგენლებმა გამოავლინეს თუ არა საჭირო ძალისხმევა, რათა ეპოვნათ ბატონი ოლევნიკი და მოეხდინათ გამტაცებელთა იდენტიფიცირება, იმდენად სწრაფად, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო, მისი სიცოცხლის გადასარჩენად.

(i) რაც შეეხება ბატონი ოლევნიკის სიცოცხლის მიმართ არსებულ რისკს, სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნა, მთავრობა დაეთანხმა, რომ გამოსასყიდის მიღების მიზნით გატაცების შემთხვევებში, სავარაუდოა მსხვერპლის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის რისკის ქვეშ ყოფნა. სტატისტიკამ პოლონეთში გატაცებების სერიოზული ხასიათი აჩვენა, ხოლო ბ-ნი ოლევნიკის სახლში უხვად იქნა ნაპოვნი სისხლის ნიმუშები. გარდა ამისა, რისკის შეფასება არ იყო დამოკიდე-

¹⁰ *Olewnik-Cieplinska and Olewnik v. Poland*, no. 20147/15, 5 სექტემბერი, 2019.

¹¹ *Osman v. the United Kingdom*, 28 ოქტომბერი, 1998, გადაწყვეტილებათა და განჩინებათა ანგარიშები 1998-VIII.

ბული იმაზე, გამტაცებლებმა გაახმოვანეს თუ არა მათი განზრახვა გატაცებულ პირისთვის ზიანის მიყენების თაობაზე. უფრო მეტიც, დაზარალებულის მიმართ რისკის უშუალოება, რომელიც ამტკიცებდა სიტუაციის სიმძიმესა და გატაცებული მსხვერპლის მონყვლადობას, დროთა განმავლობაში არ შემცირებულა: პირიქით, ის ნლების განმავლობაში გრძელდებოდა და შესაბამისად, გაიზარდა მსხვერპლის ტანჯვა და მისი ჯანმრთელობისა და სიცოცხლის რისკები, ამიტომ ეს რისკი რჩებოდა გარდაუვალად, მისი დაკავების მთელი პერიოდის განმავლობაში.

აქედან გამომდინარე, ხელისუფლების წარმომადგენლებმა იცოდნენ ან უნდა სცოდნოდნენ, რომ ბატონი ოლევნიკის სიცოცხლე და ჯანმრთელობა რეალური და გარდაუვალი რისკის ქვეშ იმყოფებოდა მისი გაუჩინარების მომენტიდან და მთელი მისი გატაცების პერიოდში.

(ii) იმის გასარკვევად, თუ რამდენად შეასრულა ხელისუფლებამ მე-2 მუხლით გათვალისწინებული პოზიტიური ვალდებულება, რომ ყველა გონივრულად მოსალოდნელი ქმედებით დაეცვა ბატონი ოლევნიკის სიცოცხლე, სტრასბურგის სასამართლოს დაეხმარა გამოძიებასთან დაკავშირებული მტკიცებულებები და ის ფაქტი, რომ საგამოძიებო შეცდომები კარგად იყო დასაბუთებული. კერძოდ, პარლამენტის საგამოძიებო კომიტეტმა ჩაატარა „შთამბეჭდავი გამოძიება“ პოლიციის, პროკურორებისა და სხვა სახელმწიფო ორგანოების ქმედებებთან დაკავშირებით და დაასკვნა, რომ „თვალსაჩინო ინერტულობის, შეცდომების, დაუფიქრებლობისა და პროფესიონალიზმის ნაკლებობის“ შედეგად ვერ მოხერხდა დამნაშავეების დადგენა და საბოლოოდ, ბ-ნი ოლევნიკი გარდაიცვალა. ხარვეზების მასშტაბებიდან გამომდინარე, კომიტეტმა შეისწავლა ის ჰიპოთეზაც, რომ თანამდებობის პირები თანამშრომლობდნენ გამტაცებლებთან და პოლიციის შეცდომების გარკვეული ნაწილი სისხლისსამართლებრივი დევნის საგანს წარმოადგენდა. სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, ფაქტები ნათლად აჩვენებდნენ, რომ ეროვნულმა ხელისუფლებამ ვერ მოახდინა შესაბამისი რეაგირება, რომელიც საჭირო იყო გატაცების და ხანგრძლივი დროით გატაცების შემთხვევების დროს და მეტიც, ამკარად არსებობდა კავშირი ნლების განმავლობაში გამოუდმებულ უმოქმედობას, შეცდომების გრძელ სიასა და წარუმატებელ გამოძიებას შორის, მაშინ როცა ბ-ნი ოლევნიკი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო.

აქედან გამომდინარე, დაირღვა სახელმწიფოს ვალდებულება, დაეცვა მსხვერპლის სიცოცხლე და შესაბამისად, მოცემულ საქმეში დაირღვა კონვენციის მე-2 მუხლის არსებითი ნაწილი.

(iii) აღსანიშნავია, რომ სტრასბურგის სასამართლოს მიერ ამ კითხვებზე მომჩივანთა სასარგებლო პასუხის გაცემას ხელი შეუწყო მოცემული საქმის განსაკუთრებით სერიოზულმა გარემოებებმა. მართლაც, სასამართლომ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ დასკვნების გამოტანისას გაითვალისწინა საქმეში არსებული „განსაკუთრებით მაღალი რისკის ფაქტორები“ (ბატონი ოლევნიკი გაიტაცეს, გამოსასყიდი თანხა გადაცემული იქნა და ნლები გავიდა მისი გათავისუფლების გარეშე) და ეროვნული სისტემის გაუმართავად მუშაობის „განსაკუთრებით დიდი“ მასშტაბები.

ნამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისა და
დასჯის აკრძალვა (მუხლი 3)

გამოყენებადობა

საქმეში *ნიკოლაე ვირგილიუ ტანასე რუმინეთის წინააღმდეგ [დიდი პალატა]*,¹² მომჩივანი ავტოსაგზაო შემთხვევაში მოყვა და სიცოცხლისთვის საშიში დაზიანებები მიიღო.

გადანყვეტილება მნიშვნელოვანია, რადგანაც ის განსაზღვრავს სახელმწიფოს პროცედურული ვალდებულებები უნდა გამომდინარეობდეს თუ არა კონვენციის მე-2, მე-3 და მე-8 მუხლებიდან, როდესაც ავარია იწვევს სიცოცხლისათვის საშიშ დაზიანებებს.

დიდმა პალატამ მე-3 და მე-8 მუხლებთან დაკავშირებული საჩივრები კონვენციის დებულებებთან *ratione materiae* შეუსაბამოდ ცნო. სასამართლო დასკვნის გამოტანისას ორ ძირითად ელემენტს დაეყრდნო: ავარია არ იყო განზრახი და არაფერი მიუთითებდა იმაზე, რომ სახელმწიფოს არ ჰქონდა მიღებული ადეკვატური საკანონმდებლო ჩარჩო გზების უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და რისკების შემცირებისთვის.

დიდმა პალატამ დაადგინა, რომ დაზიანება, რომელიც ავარიას მოჰყვა, იყო უბრალო შემთხვევითობისა და დაუდევრობის შედეგი და ვერ შეადგენდა „მოპყრობას“, რომელსაც პირი „დაექვემდებარა“. უფრო კონკრეტულად, მე-3 მუხლის მიხედვით, „მოპყრობა“ არის „არსებითად, თუმცა არა მხოლოდ, პირისათვის განზრახი ზიანის მიყენება, დამცირება ან ღირსების შელახვის განზრახვა, მისი ადამიანური ღირსების უპატივცემულობა ან შევიწროება ან შიშის, ტანჯვის ან არასრულფასოვნების განცდის შექმნა, რომელსაც შეუძლია დაანგრის მისი მორალური და ფიზიკური მდგრალობა“. მომჩივნის საქმეში ზემოხსენებული არც ერთი ელემენტი არ ფიგურირებს. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ ზოგადად, განზრახვა მხოლოდ ერთ-ერთი ელემენტია მე-3 მუხლის გამოყენებადობის შეფასებისას, უბედური შემთხვევის კონტექსტში განზრახვის არარსებობა მე-3 მუხლს გამოუსადეგარად აქცევს. დიდმა პალატამ აღნიშნული მიდგომა სწორად მიიჩნია და გამოყო წინა შემთხვევებისგან, როდესაც მე-3 მუხლი გამოყენებული იყო უბედური შემთხვევების კონტექსტში დაზიანებების სიმძიმის გამო (*კრაულაიდის ლიეტუვას წინააღმდეგ*¹³ და *მაზუკნა ლიეტუვას წინააღმდეგ*¹⁴).

ასევე, დიდმა პალატამ არ დაადგინა მე-3 მუხლის დარღვევა საგამოძიებო ორგანოების მიერ მომჩივნის მიმართ განხორციელებულ მოპყრობასთან დაკავშირებით, სისხლის სამართლის გამოძიების მიმდინარეობის დროს.

¹² Nicolae Virgiliu Tanase v. Romania [დიდი პალატა], no. 41720/13, 25 ივნისი, 2019.

¹³ Kraulaidis v. Lithuania, no. 76805/11, 8 ნოემბერი, 2016.

¹⁴ Mazukna v. Lithuania, no. 72092/12, 11 აპრილი, 2017.

არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობა

გადანყვეტილება *ნიკოლაე ვირგილიუ ტანასე რუმინეთის წინააღმდეგ [დიდი პალატა]*¹⁵ ეხებოდა ავტოსაგზაო შემთხვევას, როდესაც პირმა მიიღო სიცოცხლისთვის საშიში დაზიანებები.

სისხლისსამართლებრივი გამოძიება სამჯერ დაიწყო და შეწყდა, უკანასკნელ შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო. აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე მომჩივანი იყო სამოქალაქო მხარე. სტრასბურგის სასამართლოში იგი ასაჩივრებდა საგამოძიებო ორგანოების წარმომადგენლების მიერ მის მიმართ განხორციელებულ მოპყრობას. დიდი პალატამ არ დაადგინა მე-3 მუხლის დარღვევა, სისხლისსამართლებრივი გამოძიების დროს საგამოძიებო ორგანოების მიერ მომჩივნის მოპყრობასთან დაკავშირებით.

მთავრობის განცხადებით, მე-3 მუხლის საფუძველზე წარდგენილი საჩივარი, რომელიც ეხებოდა საგამოძიებო ორგანოების მიერ მომჩივნის მოპყრობას, იყო *ratione materiae* შეუთავსებელი. დიდი პალატა არ დაეთანხმა და უარყო ეს საჩივარი, როგორც აშკარად დაუსაბუთებელი. ამრიგად, განმარტა სასამართლოს პრეცედენტული სამართალი ამ თემასთან დაკავშირებით. მიდგომა, რომლის მიხედვითაც სტრასბურგის სასამართლო ითვალისწინებს გამოძიების ჩატარების მეთოდს, რათა დაადგინოს ადგილი ჰქონდა თუ არა არაადამიანურ მოპყრობას, ძირითადად, განვითარდა გაუჩინარებულ პირთა ნათესავებთან მიმართებით (*კურტი თურქეთის წინააღმდეგ*,¹⁶ *ჩაკიცი თურქეთის წინააღმდეგ [დიდი პალატა]*¹⁷ და *ვარნავა და სხვები თურქეთის წინააღმდეგ [დიდი პალატა]*¹⁸). გადანყვეტილება ასევე, აღწერს სხვა „საგამონაკლისო სიტუაციებს“, რომელთა მიმართაც სასამართლომ გააფართოვა ეს მიდგომა, ისეთი სიტუაციების ჩათვლით, როგორიცაა თანმხლები პირის გარეშე მყოფი მცირეწლოვანი თავშესაფრის მძივების დაკავება და დეპორტაცია (*მუბილანზილა მაიეკა და კანიკი მიტუნგა ბელგიის წინააღმდეგ*¹⁹), ოჯახურ გარემოში სექსუალური ხასიათის ძალადობის ბრალდებები (*მ. პ. და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ*²⁰) და გარდაცვლილის სხეულიდან ქსოვილების მოშორება (*ელბერტე ლატვიის წინააღმდეგ*²¹).

საქმეში *ტომოვი და სხვები რუსეთის წინააღმდეგ*,²² სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა კრიტერიუმი, რომელიც უნდა დაკმაყოფილდეს, რათა პატიმართა ტრანსპორტირება კონვენციის მე-3 მუხლთან შესაბამისი იყოს.

მომჩივანი პატიმრები დავობდნენ საავტომობილო და სარკინიგზო გზით გადაადგილებისას არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობასა და ასევე, მათი საჩივრების დაკმაყოფილებისათვის ეფექტური საშუალებების ნაკლებობას-

¹⁵ Nicolae Virgiliu Tanase v. Romania [დიდი პალატა], no. 41720/13, 25 ივნისი, 2019.
¹⁶ Kurt v. Turkey, 25 მაისი, 1998, გადანყვეტილებათა და განჩინებათა ანგარიშები 1998-III.
¹⁷ Cakici v. Turkey [დიდი პალატა], no. 23657/94, ECHR 1999-IV.
¹⁸ Varnava and Others v. Turkey [დიდი პალატა], nos. 16064/90 და 8 სხვა, ECHR 2009.
¹⁹ Mubilanzila Mayeka and Kaniki Mitunga v. Belgium, no. 13178/03, ECHR 2006-XI.
²⁰ M.P. and Others v. Bulgaria, no. 22457/08, 15 ნოემბერი, 2011.
²¹ Elberte v. Latvia, no. 61243/08, ECHR 2015.
²² Tomov and Others v. Russia, nos. 18255/10 და 5 სხვა, 9 აპრილი, 2019.

თან დაკავშირებით. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ სასამართლომ მოპასუხე სახელმწიფოს წინააღმდეგ უკვე ორმოცდაათზე მეტ გადანყევტილებაში დაადგინა მე-3 მუხლის დარღვევა პატიმართა ტრანსპორტირების პირობებთან დაკავშირებით (სივრცის ნაკლებობა, არაადეკვატური საძილე პირობები, ხანგრძლივი მგზავრობები, შეზღუდული წვდომა სანიტარულ პირობებზე, გაუმართავი გათბობა, ვენტილაცია და ა. შ). ბევრ ასეთ საქმეში მან ასევე, დაადგინა კონვენციის მე-13 მუხლის დარღვევა ეფექტური სამართლებრივი დაცვის საშუალების არარსებობის გამო.

მოცემულ საქმეში სასამართლომ კიდევ ერთხელ დაადგინა მე-3 და მე-13 მუხლების დარღვევა. აღსანიშნავია, რომ სტრასბურგის სასამართლომ მოიხმო რა, დიდი პალატის მიერ გამოყენებული მიდგომა საქმეზე *მურშიჩი ხორვატიის წინააღმდეგ*,²³ რომელიც ეხებოდა ციხის გადატვირთულობის პრობლემას და აღნიშნა ის მიდგომა, რომელსაც პატიმართა ტრანსპორტირებასთან დაკავშირებულ საქმეებში გამოიყენებდა, მოპასუხე სახელმწიფოს მიაჩნდა, თუ როგორ უნდა გახადოს ეროვნული კანონმდებლობა მე-3 მუხლის სტანდარტებთან შესაბამისი.

ამის გათვალისწინებით, სტრასბურგის სასამართლომ, სხვა ფაქტორებს შორის, აღნიშნა, რომ დარღვევის ძლიერი პრეზუმფცია წარმოიშვება, როდესაც პატიმრები გადაყავთ ერთ კაცზე – 0. 5 კვ. მეტრზე ნაკლები სივრცის მქონე სატრანსპორტო საშუალებით. რკინიგზით ღამე მგზავრობის შემთხვევაში, ყველა პატიმარს უნდა ჰქონოდა საკუთარი დასაძინებელი ადგილი. მან ასევე, განსაზღვრა მთელი რიგი დამამძიმებელი გარემოებები, მათ შორის, ხანგრძლივი მოგზაურობის დროს დაბალი ჭერი, შეზღუდული წვდომა საპირფარეოებზე, დასაღვე ნყალსა და საკვებზე, აგრეთვე ძილის უკმარისობა. დამატებით, მან ჩამოთვალა მთელი რიგი გარემოებები, რაც თავისთავად არ იწვევდა მე-3 მუხლის დარღვევას. მაგალითად, მან აღნიშნა, რომ მოკლე ან პერიოდულმა გადაყვანამ (მაგალითად, ერთი ან ორი გადაჯდომით, როდესაც თითოეული მათგანი არ აღემატება ნახევარ საათს) არ შეიძლება მიაღწიოს სიმძიმის ზღვარს მე-3 მუხლის შესაბამისად, მაგრამ ერთზე ან ორზე მეტი ტრანსფერი წარმოადგენს „უწყვეტ გარემოებას“ და უნდა შეფასდეს მათი საერთო ეფექტი.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ მოცემულ შემთხვევაში და იმის გათვალისწინებით, რომ მოპასუხე სახელმწიფოს დიდი პროგრესი არ ჰქონდა ადრეულ გადანყევტილებათა აღსრულებაში, სტრასბურგის სასამართლომ გადანყევტილა მოპასუხე სახელმწიფო დაევალებულეებინა მიელო გამოსასწორებელი ზომები სტრუქტურული პრობლემების მოსაგვარებლად, რომლებიც უკავშირდება პატიმართა ტრანსპორტირების არაადამიანურ პირობებს.

საქმე *მარსელო ვიოლა იტალიის წინააღმდეგ (no.2)*²⁴ ეხებოდა უვადოდ თავისუფლებააღკვეთილ პატიმარს, რომელსაც მოეთხოვებოდა ეთანამშრომლა ხელისუფლების ორგანოებთან მაფიის წინააღმდეგ ბრძოლაში, სასჯელის გადახედვისა და გათავისუფლების შესაძლებლობის სანაცვლოდ.

²³ Mursic v. Croatia [დიდი პალატა], no. 7334/13, §§ 136-41, 20 ოქტომბერი, 2016.

²⁴ Marcello Viola v. Italy (no. 2), no. 77633/16, 13 ივნისი, 2019.

მომჩივანი არაერთხელ იქნა დამნაშავედ ცნობილი მაფიასთან დაკავშირებულ დანაშაულებში სხვადასხვა სასამართლო სამართალწარმოების დროს, მათ შორის, მაფიის კლანის ხელმძღვანელობის, გატაცებისა და მკვლელობის საფუძველზე. მეორე სამართალწარმოების ფარგლებში მას უვადო პატიმრობა შეეფარდა. კონვენციის მე-3 მუხლის საფუძველზე იგი დავობდა, რომ მისი უვადო პატიმრობა არ იყო არც *de jure* და არც *de facto* შემცირებადი, რადგან მის მიმართ გამოყენებული იქნა ე.წ. „*ergastolo ostativo*“ რეჟიმი იმ დანაშაულებთან დაკავშირებით, რომლებზეც მას მსჯავრი დაედო. მომჩივანი დავობდა, რომ სხვა კატეგორიის უვადოდ თავისუფლებადკვეთილ პატიმრებს ჰქონდათ გათავისუფლების შესაძლებლობა მას შემდეგ, რაც მოიხდიდნენ 26 წელს და ისარგებლებდნენ ზემოხსენებულ ვადაზე ადრე გათავისუფლების შესაძლებლობით, თუკი დაამტკიცებდნენ საზოგადოებაში რეინტეგრაციისათვის მათ შესაბამისობას. სისხლის სამართლის შესაბამის დებულებათა ციტირებით, მომჩივანი აცხადებდა, რომ მხოლოდ რეაბილიტაციისკენ გადადგმული ნაბიჯების გზით, მიიღებდა განაჩენის გადახედვის უფლებას და გათავისუფლების შესაძლებლობას, თუ იგი მოახერხებდა და დამტკიცებდა, რომ აღარ ჰქონდა მაფიასთან კავშირი და შესაბამისად, აღარ წარმოადგენდა საშიშროებას. ამისათვის, იგი აცხადებდა, რომ უნდა ეთანამშრომლა ხელისუფლებასთან და ყოფილიყო ინფორმატორი, რითაც საფრთხის ქვეშ დააყენებდა საკუთარი და ოჯახის წევრების სიცოცხლეს.

სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა მე-3 მუხლის დარღვევა და განაცხადა, რომ მომჩივნის მიმართ გამოყენებული სასჯელი გადაჭარბებულად ზღუდავდა მის კონვენციურ უფლებას, რომლის მიხედვითაც მას უნდა ჰქონოდა უვადო პატიმრობის გადასინჯვის შესაძლებლობა, გათავისუფლების პერსპექტივით. გადაწყვეტილება აღსანიშნავია იმით, თუ როგორ გამოიყენა სტრასბურგის სასამართლომ საქმეში *ვინტერი და სხვები დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ [დიდი პალატა]*²⁵ დადგენილი პრინციპები, რომლებიც ცოტა ხნის წინ შეაჯამა საქმეებში *მიურეი ნიდერლანდების წინააღმდეგ [დიდი პალატა]*²⁶ და *ჰატჩინსონი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ [დიდი პალატა]*.²⁷

ჰატჩინსონის საქმეში სასამართლომ სხვა საკითხებთან ერთად დაადგინა (პარაგრაფი 43), რომ

„...ადამიანის ღირსების პატივისცემა ციხის ხელმძღვანელობისგან მოითხოვს, რომ შეეცადოს მოახდინოს უვადო პატიმრობაში მყოფი პირის რეაბილიტაცია. ...აქედან გამომდინარე, მოთხოვნილი განხილვა უნდა ითვალისწინებდეს იმ პროგრესს, რასაც პატიმარმა მიაღწია რეაბილიტაციის პროცესში და უნდა შეფასდეს, არის თუ არა ეს პროგრესი იმდენად მნიშვნელოვანი, რომ პატიმრობის გაგრძელება აღარ არის გამართლებული ლეგიტიმური პენოლოგიური საფუძველებით...“

სასამართლომ ხაზი გაუსვა იმ მიზეზებს, რომლებმაც კანონმდებელი აიძულა პატიმრებისთვის (როგორიცაა მომჩივანი) დაეკისრებინა ხელისუფლებისთვის იმის

²⁵ *Vinter and Others v. the United Kingdom* [დიდი პალატა], nos. 66069/09 და 2 სხვა, ECHR 2013 (ამონარიდები).

²⁶ *Murray v. the Netherlands* [დიდი პალატა], no. 10511/10, 26 აპრილი, 2016.

²⁷ *Hutchinson v. the United Kingdom* [დიდი პალატა], no. 57592/08, 17 იანვარი, 2017.

დამტკიცების ვალდებულება, რომ მაფიასთან მათ აღარ ჰქონდათ კავშირი, რადგან სწორედ ამ კავშირის გამო ისინი მიიჩნევიან საშიშად და სასჯელის გადახედისთვის შეუფერებლად. მთავრობის განცხადებით, მაფიის წევრობის ბუნება ამართლებდა იმ მოთხოვნის დანესებას, რომ პატიმარმა უნდა ითანამშრომლოს ხელისუფლების ორგანოებთან მაფიის წინააღმდეგ ბრძოლაში, რათა დაადასტუროს მისი რეაბილიტაცია. ამასთან, პატიმარს აქვს არჩევანის საშუალება.

თუმცა, სტრასბურგის სასამართლო ვერ დარწმუნდა, რომ არჩევანი თანამშრომლობასა და თანამშრომლობაზე უარის თქმას შორის, შეიძლება მიჩნეულიყო ნებაყოფლობითად. ხელისუფლებისთვის დახმარების განევის შემთხვევაში, მომჩივანი შიშობდა მისი და მისი ოჯახის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, სასამართლომ აღნიშნა, არ შეიძლება გამოირიცხოს, რომ პატიმრის გადანყვეტილება თანამშრომლობის შესახებ სინამდვილეში სხვა არაფერი იყო თუ არა ნაბიჯი, რომელიც მისი მხრიდან გადადგმული იქნებოდა სასჯელის გადახედვის მოპოვების მიზნით და ეს ნაბიჯი არ ასახავდა მაფიასთან კავშირის განყვეტის თაობაზე მომჩივნის რეალურ სურვილს. სასამართლო განსაკუთრებით შეაშფოთა იმ ფაქტმა, რომ კანონი მომჩივნის მსგავს პატიმრებს, არ აძლევდა საშუალებას სხვა ფორმით დაემტკიცებინა მაფიასთან კავშირის განყვეტა. მან აღნიშნა, რომ მომჩივანი წარმატებით მიჰყვებოდა საზოგადოებაში რეინტეგრაციის პროგრამას, რომელსაც მას ციხეში სთავაზობდნენ და იგი რომ ჩვეულებრივი უვადო პატიმარი ყოფილიყო, მას მიენიჭებოდა ხუთი წლით სასჯელის შემსუბუქების უფლება. თუმცა, ხელისუფლების ორგანოებთან თანამშრომლობაზე უარის თქმის შემდეგ, გათვალისწინებული არ იქნა ციხეში ყოფნის პერიოდში მისი პროგრესი და შედეგად მას არ მიეცა იმის დამტკიცების შესაძლებლობა, რომ მისი პატიმრობის გაგრძელება აღარ იყო გამართლებული ლეგიტიმური პენოლოგიური საფუძვლებით.

საინტერესოა, რომ ევროპულმა სასამართლომ დასკვნით ნაწილში 46-ე მუხლის შესაბამისად აღნიშნა, რომ იტალიამ მომჩივნის მსგავსად უვადოდ თავისუფლება აღკვეთილ პირთათვის უნდა უზრუნველყოს განაჩენის გადასინჯვის შესაძლებლობა. ასეთი გადასინჯვის დროს გათვალისწინებული უნდა იყოს ის პროგრესი, რაც ციხეში ყოფნის პერიოდში პატიმარმა რეაბილიტაციისკენ განიცადა. ეროვნულმა ხელისუფლებამ ამის საფუძველზე უნდა შეაფასოს, განყვიტა თუ არა კონკრეტულმა პატიმარმა მაფიასთან კავშირი და თანამშრომლობაზე უარი ავტომატურად არ უნდა გაუთანაბროს განგრძობადი საშიშროების არსებობას. სტრასბურგის სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ კონვენციის მე-3 მუხლის მოთხოვნის მიხედვით, უზრუნველყოფილი უნდა იყოს არა გათავისუფლების უფლება, არამედ გათავისუფლების პერსპექტივა.

დამამცირებელი მოპყრობა

გადანყვეტილება *რუმანი ბელგიის წინააღმდეგ [დიდი პალატა]*,²⁸ ეხებოდა ფსიქიკურად დაავადებულ პირს, რომელსაც შეუფარდეს პატიმრობა და მოათავსეს ფსიქიატრიულ დანესებულებაში, სადაც პერსონალს არ შეეძლო მასთან

²⁸ *Rooman v. Belgium* [GC], no. 18052/11, 31 იანვარი, 2019.

კომუნიკაცია მის მშობლიურ ენაზე (კერძოდ, გერმანულ ენაზე, ბელგიის სამი ოფიციალური ენიდან ერთადერთზე, რომელზეც ის საუბრობდა). კონვენციის მე-3 და მე-5 მუხლების საფუძველზე, მომჩივანი დავობდა, რომ ვერ მიიღო შესაბამისი ფსიქიატრიული მკურნალობა გერმანულად მოსაუბრე ფსიქიატრის არარსებობის გამო.

კონვენციის მე-3 მუხლის მიხედვით, გადანყვეტილებაში მოცემულია სტრასბურგის სასამართლოს პრაქტიკის ყოვლისმომცველი მიმოხილვა მონყვლად და ავადმყოფ პაციმართა სამედიცინო მკურნალობის შესახებ. სასამართლომ ასევე დააზუსტა მე-3 და მე-5 მუხლებს შორის კავშირი სამედიცინო მკურნალობის ადეკვატურობის შეფასებასთან დაკავშირებით. რაც შეეხება უცხოელ პაციმრებთან კომუნიკაციას, რომლებიც ფსიქიკური აშლილობის გამო მკურნალობას გადიოდნენ, სასამართლომ განმარტა საკუთარი პრეცედენტული სამართალი ლინგვისტურ ელემენტებთან დაკავშირებით იმისათვის, რომ შეეფასებინა უზრუნველყოფილი იყო თუ არა შესაბამისი ფსიქიატრიული მკურნალობა.

საქმე *ხანი საფრანგეთის წინააღმდეგ*,²⁹ ეხებოდა თანმხლები პირის გარეშე მყოფი უცხოელი არასრულწლოვნების დაცვის ვალდებულებას, რომლებიც იმყოფებიან დამამცირებელ საცხოვრებელ პირობებში.

მომჩივანმა, თანმხლები პირის გარეშე მყოფმა 11-დან 12 წლამდე ავლანელმა ბავშვმა, ინგლისში ჩაღწევის იმედით, თითქმის შვიდი თვე გაატარა სილატაკეში, კალეს რეგიონში. როგორც ჩანს, მისი მიზანი არასოდეს ყოფილა საფრანგეთში თავშესაფრის მიღება. ამ პერიოდის განმავლობაში იგი ცხოვრობდა თვითნაკეთ ქოხებში, სავალალო პირობებში ათასობით სხვა მიგრანტთან ერთად, რათა გადაეკვეთა ინგლისის საზღვარი. ცალკეული პირები და ოჯახები ცხოვრობდნენ ქოხებში, კალეს რეგიონის ქალაქებში და მოკლებულნი იყვნენ ადეკვატურ თავშესაფარს, უსაფრთხოებას, საჭმელს, ელემენტარულ ჰიგიენურ პირობებს და ხელმისაწვდომ ჯანდაცვას.

საბოლოოდ, არასამთავრობო ორგანიზაციებმა მომჩივნის (და სხვა არასრულწლოვნების) სახელით შეიტანეს სარჩელი, რომლითაც საფრანგეთის მთავრობას სთხოვდნენ მზრუნველობის ქვეშ აყვანათ მომჩივანი. აღნიშნული სარჩელი, ბავშვებთან დაკავშირებულ საქმეებზე მომუშავე მოსამართლემ დააკმაყოფილა. ხელისუფლებამ განაცხადა, რომ შეუძლებელი იყო გადანყვეტილების აღსრულება, რადგან მომჩივანს არ მიუმართავს მათთვის და შეუძლებელი იყო მისი ადგილსამყოფელის დადგენა. საბოლოოდ, მომჩივანმა მოახერხა ინგლისში ჩასვლა. სტრასბურგის სასამართლოს წინაშე იგი დავობდა, რომ ხელისუფლების ორგანოებს არ მიუმართავთ ყველა ზომისთვის, რაც გონივრულად მოსალოდნელი იყო მათი მხრიდან, რათა ეზრუნათ მის კეთილდღეობაზე. სტრასბურგის სასამართლო დაეთანხმა მომჩივანს და დაადგინა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა. აღსანიშნავია გადანყვეტილების შემდეგი ასპექტები.

მომჩივნის განსაკუთრებული მდგომარეობა არ გამხდარა ხელისუფლების ყუ-

²⁹ Khan v. France, no. 12267/16, 28 თებერვალი, 2019.

რადღების საგანი, ბავშვთა საქმეებზე მომუშავე მოსამართლის გადანყვეტილებამდე. ხელისუფლების ორგანოებმა არ იცოდნენ მომჩივნის შესახებ, გადანყვეტილების მიღების დღემდე. მას არ მოუთხოვია თავშესაფარი და არ იმყოფებოდა საემიგრაციო პატიმრობაში გაძევების მოლოდინში. აქედან გამომდინარე, მომჩივნის სიტუაცია განსხვავდება საქმისგან *რაჰიმი საბერძნეთის წინააღმდეგ*,³⁰ სადაც მომჩივანი ასევე, თანმხლებების გარეშე მყოფი არასრულწლოვანი იყო. ამ უკანასკნელ საქმეში, სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა, რადგან ხელისუფლებამ გაათავისუფლა მომჩივანი საემიგრაციო პატიმრობიდან, სადაც ელოდებოდა ტერიტორიიდან გაძევებას და ფაქტობრივად ის ქუჩაში დატოვა. მნიშვნელოვანია, რომ მოცემულ საქმეში სასამართლომ ხაზი გაუსვა მომჩივნის უკიდურეს მონყვლადობას, ბავშვი თვეების განმავლობაში ცხოვრობდა არასაიმედო პირობებში და მთელი ამ დროის განმავლობაში იმყოფებოდა ფიზიკური და მათ შორის სექსუალური ძალადობის საშიშროების წინაშე. ხელისუფლების ორგანოებმა არ მიიღეს შესაბამისი ზომები თანმხლები პირის გარეშე მყოფი არასრულწლოვანთა იდენტიფიცირებისათვის (როგორც იყო მომჩივანი), რომლებიც ცხოვრობდნენ თვითნაკეთ ბანაკებში, მიუხედავად იმისა, რომ მათი არსებობა კარგად იყო დოკუმენტირებული. აღსანიშნია, რომ სტრასბურგის სასამართლომ, როგორც მიგრანტებთან დაკავშირებულ სხვა საქმეებში (იხ.: მაგალითად, *მუსხადჟიევა და სხვები ბელგიის წინააღმდეგ*,³¹ *მ.ს.ს. ბელგიის და საბერძნეთის წინააღმდეგ [დიდი პალატა]*,³² *რაჰიმი საბერძნეთის წინააღმდეგ*, *კანაგარატნამი ბელგიის წინააღმდეგ*³³ და *ტარახელი შვეიცარიის წინააღმდეგ [დიდი პალატა]*³⁴), ამ საკითხთან დაკავშირებით, გაითვალისწინა ეროვნული ორგანოების (მაგალითად, ადამიანის უფლებათა დამცველი და ადამიანის უფლებათა ეროვნული საკონსულტაციო კომისია) და საერთაშორისო ორგანიზაციების (როგორცაა ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი თავშესაფრისა და მიგრაციის საკითხებში, გაეროს ბავშვთა ფონდი) დასკვნები.

გარდა ამისა, სტრასბურგის სასამართლო ვერ დარწმუნდა, რომ ხელისუფლების ორგანოებმა შესაბამისი რეაგირება მოახდინეს ბავშვთა საქმეებზე მომუშავე მოსამართლის გადანყვეტილებაზე. სასამართლომ დაადასტურა ის სირთულეები, რომლებიც ხელისუფლებას შეექმნა მომჩივნის იდენტიფიცირებასა და ლოკაციის დადგენაში და შემდგომში დაეთანხმა, რომ ეს სირთულეები გამონვეული იყო მომჩივნის მხრიდან თანამშრომლობის ნაკლებობით. მიუხედავად ამისა, განაცხადა, რომ საქმეში უმთავრეს საკითხს წარმოადგენდა ის, რომ ბავშვი რამდენიმე თვის განმავლობაში ცხოვრობდა დამამცირებელ, საშიშ და სახიფათო პირობებში. მაშინაც კი, თუ მოპასუხე სახელმწიფოს არ შეუქმნია ზემოაღნიშნული პირობები, მას კონვენციის მე-3 მუხლით მიხედვით ეკისრებოდა ვალდებულება, რომ დაეცვა მომჩივანი ცხოვრების ამგვარი პირობებისგან.

³⁰ *Rahimi v. Greece*, no. 8687/08, 5 აპრილი, 2011.

³¹ *Muskhadzhiyeva and Others v. Belgium*, no. 41442/07, 19 იანვარი, 2010.

³² *M.S.S. v. Belgium and Greece* [დიდი პალატა] no. 30696/09, ECHR 2011.

³³ *Kanagaratnam v. Belgium*, no. 15297/09, 13 დეკემბერი, 2011.

³⁴ *Tarakhel v. Switzerland* [დიდი პალატა], no. 29217/12, ECHR 2014 (ამონარიდები).

თავისუფლების და უსაფრთხოების უფლება (მუხლი 5)

თავისუფლების აღკვეთა (მუხლი 5 §1)

საქმე ილიასი და აჰმედი უნგრეთის წინააღმდეგ [დიდი პალატა],³⁵ ეხებოდა თავშესაფრის მაძიებელთა მოკლევადიან დაკავებას სახმელეთო საზღვრის სატრანზიტო ზონაში, მესამე ქვეყანაში მათ გადაყვანამდე.

ეროვნებით ბანგლადეშელი მომჩივნები ჩავიდნენ უნგრეთსა და სერბეთს შორის მდებარე სახმელეთო საზღვრის სატრანზიტო ზონაზე და მოითხოვეს თავშესაფარი. მიუხედავად იმისა, რომ მათი გადაკეების შესახებ ბრძანება იმავე დღეს გამოიცა, მათ 23 დღე გაატარეს სატრანზიტო ზონაში და ელოდებოდნენ თავშესაფრის მოთხოვნების განხილვას. სატრანზიტო ზონა 110 კვ.მ. იყო, რომელსაც იცავდნენ 24 საათის განმავლობაში. მის საზღვრებს შიგნით, მომჩივნებს შეეძლოთ დროის გარეთ გატარება, თავშესაფრის სხვა მაძიებლებთან კონტაქტი და ვიზიტორების მიღება. მათი თავშესაფრის მინიჭების შესახებ მოთხოვნები დაუშვებლად იქნა ცნობილი. ეროვნულმა ხელისუფლებამ სერბეთი უსაფრთხო მესამე ქვეყანად მიიჩნია, რომელსაც შეეძლო მათი თავშესაფრის მოთხოვნების არსებითი განხილვა. ისინი სატრანზიტო ზონიდან გამოაცილეს და მათ გადაკვეთეს საზღვარი უკან სერბეთში, ფიზიკური იძულების გარეშე. დიდმა პალატამ არ დააკმაყოფილა მომჩივნის საჩივრები კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პარაგრაფისა და მე-4 მუხლის შესაბამისად, როგორც კონვენციის დებულებებთან *ratione materiae* შეუსაბამო.

დიდი პალატის გადაწყვეტილება აღსანიშნავია იმით, რომ სტრასბურგის სასამართლომ პირველად იმსჯელა მე-5 მუხლის გამოყენებაზე ევროპის საბჭოს წევრი ორი ქვეყნის საზღვრებს შორის სახმელეთო საზღვარზე მდებარე სატრანზიტო ზონაში მყოფ თავშესაფრის მაძიებლების დაკავებასთან მიმართებით. კერძოდ, დიდმა პალატამ შეისწავლა საკითხი, მომჩივანთა ტრანზიტულ ზონაში დაკავება წარმოადგენდა თუ არა მათი თავისუფალი გადაადგილების უფლების შეზღუდვას ან თავისუფლების აღკვეთას. სასამართლომ დაადგინა ის ფაქტორები, რომლებიც ამ მხრივ გასათვალისწინებელია: ა) მომჩივანთა ინდივიდუალური მდგომარეობა და მათი არჩევანი; ბ) შესაბამისი ქვეყნის მოქმედი სამართლებრივი რეჟიმი და მისი მიზანი; გ) შესაბამისი ხანგრძლივობა, განსაკუთრებით მიზნის გათვალისწინებით და პროცედურული დაცვა, რომლითაც მომჩივნები სარგებლობდნენ ამ მოვლენების დროს; დ) მომჩივნებისთვის დაწესებული ან მათ მიერ გამოცდილი ფაქტობრივი შეზღუდვების ბუნება და ხარისხი. დიდმა პალატამ დაადგინა, რომ მე-5 მუხლი არ არის გამოყენებადი. კერძოდ, მომჩივანთა დაკავება არ აჭარბებდა ეროვნული კანონმდებლობით დადგენილ მაქსიმალურ ხანგრძლივობას და რაც მკაცრად აუცილებელი იყო, რათა დაედგინათ შეიძლებოდა თუ არა დაკმაყოფილებულიყო მათი მოთხოვნა უნგრეთში თავშესაფრის მიღების თაობაზე. გარდა ამისა, მაშინ როდესაც მათი გადაადგილების თავისუფლება მნიშვნელოვნად იყო შეზღუდული (მსგავსი მახასიათებლებით, როგორიცაა გარკვეული ტიპის მსუბუქი რეჟიმის საპატიმრო დაწესებუ-

³⁵ Ilias and Ahmed v. Hungary [დიდი პალატა], no. 47287/15, 21 ნოემბერი, 2019.

ლებებში), მათი თავისუფლება არ შეზღუდულა აუცილებლობის გარეშე, გადაჭარბებულად ან იმ ფორმით, რომ დაკავშირებული არ ყოფილიყო მათი თავშესაფრის მინიჭების მოთხოვნების განხილვასთან.

აღსანიშნავია, რომ სტრასბურგის სასამართლომ განასხვავა საქმეები, რომლებიც ეხებოდა აეროპორტის ტრანზიტულ ზონებში დაკავებას (კერძოდ, *ამუური საფრანგეთის წინააღმდეგ*³⁶) წინამდებარე საქმისგან, სადაც პრაქტიკულად შესაძლებელი იყო საზღვრის ფეხით გადაკვეთა და სერბეთში შესვლა, ლტოლვილთა სტატუსის შესახებ ჟენევის კონვენციის ხელშემკვრელ ქვეყანაში. მხოლოდ მომჩივანთა შიშები უნგრეთში თავშესაფრის მოთხოვნის უფლების დაკარგვასთან ან სერბეთში თავშესაფრის მინიჭების შესახებ საქმის წარმოების ხარვეზებთან დაკავშირებით, საკმარისი არ აღმოჩნდა, რომ მათი იქ ყოფნა არანებაყოფლობითად მიჩნეულიყო და ამოქმედებინა კონვენციის მე-5 მუხლი. კონვენციის ტექსტი არ უნდა იქნეს გაგებული ისე, რომ იგი მე-5 მუხლის გამოყენებას უკავშირებს ცალკეულ საკითხს, რომელიც ეხება ხელისუფლების მიერ კონვენციის მე-3 მუხლის დაცვას. ყველა სხვა შესაბამისი ფაქტორი როდესაც არ უთითებს *de facto* თავისუფლების აღკვეთის სიტუაციაზე და აგრეთვე, თავშესაფრის მაძიებელთათვის შესაძლებელი იყო მესამე ქვეყანაში დაბრუნება როგორც მოცემულ შემთხვევაში – მათი სიცოცხლის ან ჯანმრთელობის პირდაპირი საფრთხის გარეშე, რომელიც იმ დროისთვის ცნობილი იყო ხელისუფლებისთვის ან მათი ყურადღების ცენტრში მოექცა, მე-5 მუხლი არ არის გამოყენებადი. ამდენად, მომჩივნების სიტუაციაში, როდესაც ისინი იმყოფებოდნენ სახმელეთო საზღვარზე ტრანზიტულ ზონაში, სადაც ისინი ელოდებოდნენ თავშესაფრის მიღების შესახებ მოთხოვნაზე პასუხს, იმის გამო, რომ ხელისუფლებამ ვერ შეასრულა თავისი ცალკეული ვალდებულებები კონვენციის მე-3 მუხლთან მიმართებით, კონვენციის მე-5 მუხლი გამოყენებადი არ არის.

აღსანიშნავია, რომ საქმეში *ზ. ა. და სხვები რუსეთის წინააღმდეგ*,³⁷ რომელიც ძირითადად, ეხებოდა თავშესაფრის მიმღებ პირთა დაკავებას აეროპორტის ტრანზიტულ ზონაში, დადგინდა კონვენციის მე-5 მუხლის გამოყენებადობა.

ფსიქიკური აშლილობის მქონე პირები (მუხლი 5 §1 (ე))

გადანყვეტილება *რუმანი ბელგიის წინააღმდეგ [დიდი პალატა]*,³⁸ ეხებოდა მომჩივნის თავისუფლების შეზღუდვას ფსიქიატრიულ დანესებულებაში. ვინაიდან ამ დაკავებას ჰქონდა ორმაგი როლი (სოციალური და თერაპიული), სტრასბურგის სასამართლომ განაცხადა, რომ „შესაბამისი და ინდივიდუალიზირებული მკურნალობა“ იყო მისი [დაკავების] კანონიერების პირობა.

მომჩივანს, გერმანულენოვან ეროვნებით ბელგიელ პირს, სასჯელი სერიოზული სექსუალური და სხვა სახის დანაშაულებისთვის ჰქონდა მისჯილი. ციხეში ყოფნისას, მან სხვა დანაშაულებიც ჩაიდინა და ექსპერტთა დასკვნების საფუძ-

³⁶ *Amuur v. France*, 25 ივნისი, 1996, გადანყვეტილებათა და განჩინებათა ანგარიშები 1996-III.

³⁷ *Z.A. and Others v. Russia* [დიდი პალატა], nos. 61411/15 და 3 სხვა, 21 ნოემბერი, 2019.

³⁸ *Rooman v. Belgium* [დიდი პალატა], no. 18052/11, 31 იანვარი, 2019.

ველზე იგი გადაიყვანეს ფსიქიატრიულ დაწესებულებაში. შესაბამისად, 2004 წლიდან იგი დაკავებული იყო „სოციალური დაცვის დაწესებულებაში“ (EDS) ბელგიის ფრანგულენოვან რეგიონში: სამედიცინო დასკვნები ადასტურებდნენ მის ფსიქოზურ და პარანოიდულ პიროვნებას, რომელიც საზოგადოებისთვის საშიში იყო. კონვენციის მე-3 და მე-5 მუხლების შესაბამისად, მომჩივანი დავობდა, რომ ვერ მიიღო აუცილებელი ფსიქიატრიული მკურნალობა EDS-ში. პალატამ დაადგინა, რომ 13 წლის განმავლობაში მომჩივანის დაკავება შესაბამისი მკურნალობისა და გერმანულენოვანი თერაპევტების გარეშე (გარდა გარკვეული მოკლე პერიოდებისა) არღვევდა კონვენციის მე-3 მუხლს. თუმცა, მან ასევე დაადგინა, რომ მკურნალობის ნაკლებობა მის დაკავებას უკანონოდ არ აქცევდა. შესაბამისად, არ დადგინდა მე-5 მუხლის დარღვევა.

2017 წლის აგვისტოში, პალატის მიერ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, ახალი ძალისხმევის შედეგად, მომჩივანს მიეცა შესაძლებლობა მკურნალობა გერმანულ ენაზე მიეღო. დიდმა პალატამ დაადგინა მე-3 და მე-5 მუხლების დარღვევა მკურნალობის არარსებობის გამო, 2017 წლის აგვისტომდე პერიოდში და არ დაადგინა ამ მუხლების დარღვევა ამ დროის შემდეგ მიღებულ მკურნალობასთან მიმართებით.

(i) მთავარ საკითხს წარმოადგენდა, ჰქონდა თუ არა მე-5 მუხლის 1-ლი პარაგრაფის „ე“ ნაწილს, საზოგადოების უსაფრთხოების უზრუნველყოფის სოციალურ როლთან ერთად, დამატებით თერაპიული როლიც, რა დროსაც საჭიროა შესაბამისი მკურნალობა იმისათვის, რომ დაკავება იყოს კანონიერი. სტრასბურგის სასამართლომ საკუთარ ადრეულ გადაწყვეტილებებში (*ვინტერვერპი ნიდერლანდების წინააღმდეგ*³⁹ და *ემინგდენი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*⁴⁰) დაადგინა, რომ სათანადო მკურნალობის უფლება არ შეიძლებოდა წარმოშობილიყო მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის მიხედვით: მართლაც, ყოფილმა კომისიამ განაცხადა, რომ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში სავალდებულო ჰოსპიტალიზაციისას უნდა სრულდებოდა „ორმაგი ფუნქცია – თერაპიული და სოციალური“, კონვენცია კი მხოლოდ დაცვის სოციალურ ფუნქციას ახორციელებდა, როდესაც ფსიქიკური პრობლემების მქონე პირის თავისუფლების აღკვეთის ნებართვას გასცემდა (*ვინტერვერპი ნიდერლანდების წინააღმდეგ*⁴¹). მოგვიანებით, *აერტსი ბელგიის წინააღმდეგ*⁴² საქმის შემდეგ, სასამართლო პრაქტიკამ ცნო კავშირი თავისუფლების ჩამორთმევის კანონიერებასა და მისი აღსრულების პირობებს შორის, ასე რომ მნიშვნელოვანი იყო მიღებული მკურნალობა და არა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების მიზანი.⁴³ ამან განაპირობა გადაწყვეტილებათა მთელი სერია ბელგიის წინააღმდეგ,⁴⁴ სადაც სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ ბელგიის ციხეების ფსიქი-

³⁹ Winterwerp v. the Netherlands, 24 ოქტომბერი, 1979, Series A no. 33.

⁴⁰ Ashingdane v. the United Kingdom, 28 მაისი, 1985, Series A no. 93.

⁴¹ Winterwerp v. the Netherlands, no. 6301/73, კომისიის ანგარიში, 15 დეკემბერი, 1977, § 84, Series B no. 31.

⁴² Aerts v. Belgium, 30 ივლისი, 1998, § 49, გადაწყვეტილებათა და განჩინებათა ანგარიშები 1998-V.

⁴³ Hutchison Reid v. the United Kingdom, no. 50272/99, §§ 52 და 55, ECHR 2003-IV, და Inseher v. Germany [დიდი პალატა], nos. 10211/12 და 27505/14, §§ 139 და 141, 4 დეკემბერი, 2018.

⁴⁴ ლ.ბ. ბელგიის წინააღმდეგ, no. 22831/08, 2 ოქტომბერი, 2012; კლაესი ბელგიის წინააღმდეგ, no. 43418/09, 10 იანვარი, 2013; დუფორტი ბელგიის წინააღმდეგ, no. 43653/09, 10 იანვარი, 2013.

ატრიული ნაწილები შეუსაბამო იყო ფსიქიკური პრობლემების მქონე პირთა ხანგრძლივი დაკავებისთვის, რადგან ისინი ვერ იღებდნენ მათი მდგომარეობისთვის სათანადო მკურნალობას და შესაბამისად, ჩამორთმეული ჰქონდათ რეაბილიტაციის რეალური პერსპექტივა. აღნიშნული დეფიციტი წყვეტდა აუცილებელ კავშირს დაკავების მიზანსა და მის კანონიერებას შორის, რაც იწვევდა კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევას.

წინამდებარე საქმეში დიდმა პალატამ დაადასტურა, რომ განვითარებული პრეცედენტული სამართლისა და არსებული საერთაშორისო სტანდარტების⁴⁵ შესაბამისად, მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრული თავისუფლების აღკვეთა შეიძლება ჩაითვალოს ორმაგი ფუნქციის მქონედ: ვინტერვერპის და ემინგდენის საქმეებში (ორივე ციტირებულია ზემოთ) ხაზგასმულ სოციალურ ფუნქციასთან ერთად, მას აგრეთვე თერაპიული ფუნქციაც ეკისრება, ამდენად ამგვარი პატიმრობისთვის „სათანადო და ინდივიდუალიზებული მკურნალობა“ მისი პატიმრობის კანონიერების პირობად იქცა. აქედან გამომდინარე, „შესაბამისი და ინდივიდუალიზებული მკურნალობის“ არსებობა წარმოადგენს იმ გადამწყვეტილების „არსებით ნაწილს“, არის თუ არა საპატიმრო დაწესებულება ასეთი პატიმრობისთვის შესაბამისი. მკურნალობა მიზნად უნდა ისახავდეს პირის მდგომარეობის გაუმჯობესებას და მისი საშიშროების შემცირებას, სამომავლოდ გათავისუფლების მიზნით.

(ii) დიდმა პალატამ ასევე, განმარტა მე-3 და მე-5 მუხლებს შორის კავშირი, ფსიქიკური პრობლემების მქონე პატიმრების მკურნალობის ადეკვატურობის შეფასებასთან დაკავშირებით. დაკავების მიზანსა და იმ პირობებს შორის უწყვეტი კავშირის საკითხი, სადაც დაკავება განახორციელდა (მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი) და ის საკითხი, მიაღწია თუ არა ამ პირობებმა სიმძიმის განსაზღვრულ ზღვარს (მე-3 მუხლი), დიდმა პალატამ „განსხვავებული ინტენსივობის დონეებად“ მიიჩნია. შესაბამისად, მე-3 მუხლის დარღვევის დაუდგენლობა ავტომატურად არ ნიშნავს, რომ არ დადგინდება მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევა და შესაბამისად, მკურნალობის კურსი, რომელიც შესაძლოა არღვევდეს კონვენციის მე-3 მუხლს, ასევე შეიძლება განაპირობებდეს იმ დასკვნამდე მისვლას, რომ იმავე საფუძვლებით ადგილი ჰქონდა მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევას.

(iii) მომჩივანი, რომელიც ქმედუნარიანი იყო, არ დაექვემდებარა 2017 წლის აგვისტოდან შემოთავაზებულ მკურნალობის გეგმას, ხოლო ეროვნული კანონმდებლობა კრძალავდა მის დაწესებას. რეკომენდაციაზე (2004)10 დაყრდნობით,⁴⁶ დიდი პალატა დაეთანხმა, მიუხედავად იმისა, რომ დაავადებამ შეასუსტა მომჩივნის აღქმის უნარი და დაუცველი გახადა იგი, ეს არ ნიშნავს, რომ პირს უნდა დაევალოს მკურნალობის ჩატარება. ამასთან შემოთავაზებული უნდა ყოფილიყო მკურნალობა, სადაც მომჩივანი შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად ჩაერთვებოდა მის მიმდინარეობაში და ექნებოდა არჩევანის უფლება. ხელისუფ-

⁴⁵ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენცია, 2515 UNTS 3 და ადამიანის უფლებების და ფსიქიკური პრობლემების მქონე პირთა ღირსების თაობაზე, მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია ნევრი ქვეყნებისთვის Rec (2004) 10.

⁴⁶ ზემოთ ციტირებული რეკომენდაცია (2004)10.

ლების მნიშვნელოვანი ძალისხმევის გათვალისწინებით, რომელიც მან გამოავლინა მომჩივნის მკურნალობის უზრუნველსაყოფად, რაც ერთი შეხედვით, ადეკვატური და სიტუაციის შესაბამისი იყო იმ მოკლე პერიოდის განმავლობაში, როდესაც მათ ჰქონდათ ამ მკურნალობის განხორციელების შესაძლებლობა (2017 წლიდან), დიდმა პალატამ დაასკვნა, რომ 2017 წლის აგვისტოდან დაწყებული მკურნალობა პასუხობდა მომჩივნის იძულებითი დაკავების თერაპიულ მიზანს.

(iv) საბოლოოდ, აღიარებული იქნა, რომ მომჩივანმა ვერ მიიღო მკურნალობა, ვინაიდან იგი არ იყო ხელმისაწვდომი გერმანულ ენაზე და საინტერესოა აღინიშნოს, თუ როგორ გადაწყვიტა სტრასბურგის სასამართლომ ენის საკითხი კონვენციის მე-3 და მე-5 მუხლების ქრილში, რათა შეფასდეს მისი რელევანტურობა სხვა სამომავლო საქმეებში, რომლებიც დაკავშირებული იქნება უცხოელი დაკავებულებისთვის მკურნალობის უზრუნველყოფასთან.

დიდმა პალატამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ კონვენცია არ იძლევა დაკავებულისთვის საკუთარ ენაზე მკურნალობის მიღების გარანტიას. რაც შეეხება მე-3 მუხლს, განსახილველ საკითხს წარმოადგენდა „სხვა ფაქტორების პარალელურად, გადაიდგა თუ არა აუცილებელი და გონივრული ნაბიჯები კომუნიკაციის უზრუნველსაყოფად, რომელიც ხელს შეუწყობდა შესაბამისი მკურნალობის ეფექტურ განხორციელებას“. მიუხედავად ამისა, აღიარებული იქნა, რომ ფსიქიატრიულ მკურნალობასთან დაკავშირებით „წმინდა ლინგვისტური ელემენტი შეიძლება ყოფილიყო გადამწყვეტი, შესაბამისი მკურნალობის ხელმისაწვდომობის ან განხორციელების კუთხით, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სხვა ფაქტორებმა არ დააკომპენსირეს კომუნიკაციის ნაკლებობა“. მე-5 მუხლის კონტექსტში, სოციალური დაცვის საბჭომ (რომელმაც მომჩივანს იძულებითი თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა) დაადასტურა მისი უფლება გერმანულ ენაზე საუბრის, გაგების და მკურნალობის მიღების შესახებ, რომელიც ბელგიის ეროვნულ ენას წარმოადგენს, შესაბამისად, მოცემულ საქმეში მე-5 მუხლის დარღვევის დადგენა შეიძლება შემოიფარგლოს ამ კონკრეტული ფაქტებით.

განხილვის დროულობა (მუხლი 5 §4)

გადანყვეტილება საქმეზე *საჰინ ალპაი თურქეთის წინააღმდეგ*,⁴⁷ ეხებოდა ჟურნალისტების პატიმრობის კანონიერების განხილვის ხანგრძლივობას, მას შემდეგ რაც ისინი დააკავეს სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის დროს.

2016 წლის 16 ივნისს გამთენიისას სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის შემდეგ, 20 ივლისს მთავრობამ გამოაცხადა საგანგებო მდგომარეობა და 21 ივლისს, ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს აცნობა კონვენციით დაკისრებული გარკვეული ვალდებულებებისგან გადახვევის შესახებ. მომჩივნები, ცნობილი ჟურნალისტები, დააკავეს და შეუფარდეს წინასწარი პატიმრობა გადატრიალების მცდელობასთან დაკავშირებული ანტიტერორისტული ბრალდებების საფუძველზე.

⁴⁷ Sahin Alpay v. Turkey, no. 16538/17, 20 March 2018.

საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ მათი დაკავება და დაპატიმრება არღვევდა თავისუფლებისა და გამოხატვის თავისუფლების უფლებებს. შედეგად, საკონსტიტუციო სასამართლომ ზიანისა და ხარჯების და დანახარჯების ანაზღაურების ბრძანება გასცა. ვინაიდან მომჩივნები დაპატიმრებულები იყვნენ, საკონსტიტუციო სასამართლომ გადაწყვეტილებები გადასცა შესაბამის ასიზთა სასამართლოს, რათა მას გაეკეთებინა „ის, რაც საჭირო იყო“. ასიზთა სასამართლომ, იმის გათვალისწინებით, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები არ იყო სავალდებულო, აღნიშნული გადაწყვეტილება არ შეასრულა და მომჩივნები პატიმრობაში დარჩნენ. კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე მომჩივნები ასაჩივრებდნენ მათი პატიმრობის კანონიერების განხილვის ხანგრძლივობას.

სტრასბურგის სასამართლომ არ მიიჩნია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მომჩივანთა წინასწარი პატიმრობის კანონიერების განხილვა (თექვსმეტი თვე) არღვევდა კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ დროულობის მოთხოვნას. სტრასბურგის სასამართლომ აღიარა, რომ ეს იყო ნყალ-გამყოფი, თუ რა შეიძლებოდა მიჩნეულიყო დროულად, მიუხედავად 2016 წლის გადატრიალების ნარუმატებელი მცდელობის შედეგად საკონსტიტუციო სასამართლოსთვის დაკისრებული გადაჭარბებული ტვირთისა. თუმცა, პატიმრობაში მყოფ პირებს შეეძლოთ გათავისუფლება ნებისმიერ დროს მოეთხოვათ და გაესაჩივრებინათ აღნიშნულ მოთხოვნაზე უარი. მომჩივნებმა რამდენიმე ასეთი მოთხოვნა წარადგინეს, თითოეული მათგანი დროულად იქნა განხილული. წინასწარი პატიმრობა ავტომატურად გადაისინჯებოდა მინიმუმ, ყოველ ოცდამეათე დღეს. ამ სისტემაში, სტრასბურგის სასამართლო შემწყნარებელი იყო, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს განხილვას უფრო მეტი დრო დაჭირდა. აგრეთვე გასათვალისწინებელი იყო, რომ 2016 წლის შემდეგ მნიშვნელოვნად იმატა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ განსახილველ საქმეთა ოდენობამ. შესაბამისად, და იმის გამეორებით, რომ კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის ხანგრძლივობა ახლოს იყო იმ ზღვართან, თუ რა შეიძლება დროულად ყოფილიყო მიჩნეული, თუმცა, საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, აღნიშნული ხანგრძლივობა არ არღვევდა კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტს. სტრასბურგის სასამართლომ სამომავლო საქმეებზე დაიტოვა ამ დასკვნის გადასინჯვის შესაძლებლობა.

გადაწყვეტილება საქმეზე *აბოია ბოა ჯინი მალტას წინააღმდეგ*,⁴⁸ პასუხს სცემს კითხვას, კანონიერების შესახებ განხილვის დროს პროცედურული დარღვევები ავტომატურად იწვევს თუ არა მე-5 მუხლის მე-4 პარაგრაფის დარღვევას.

მომჩივანი იმყოფებოდა დროებით საიმიგრაციო პატიმრობაში და ელოდებოდა თავშესაფრის მოთხოვნის შესახებ მისი განცხადების განხილვას (სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ აღნიშნული პატიმრობა მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის საფუძველზე გამართლებული იყო). მალტის კანონ-

⁴⁸ Aboya Boa Jean v. Malta, no. 62676/16, 2 აპრილი, 2019.

მდებლობის თანახმად, საიმიგრაციო დაკავების კანონიერების ავტომატური განხილვა უნდა განხორციელდეს პირის დაკავებიდან შვიდ სამუშაო დღეში და შეიძლება გაგრძელდეს კიდევ შვიდი სამუშაო დღით. ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნებისგან განსხვავებით, მომჩივნის საქმეში ავტომატური განხილვა მოეწყო მხოლოდ 25 კალენდარული დღის გასვლის შემდეგ. აღნიშნული გამოიწვია პირველ შვიდ სამუშაო დღეში საიმიგრაციო სააპელაციო საბჭოს მონვევის სირთულეებმა (და ასევე, მომჩივანმა მოითხოვა გადავადება, როდესაც საბჭო მზად იყო საქმის განსახილველად მისი დაკავებიდან მეოცე კალენდარულ დღეს, რაც ეროვნული კანონმდებლობით განსაზღვრული შვიდს პლუს შვიდი სამუშაო დღის მაქსიმუმს წარმოადგენდა).

მომჩივანი სტრასბურგის სასამართლოს წინაშე დავობდა, რომ მის საქმეში კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული პროცედურა არ იყო სწრაფი, რადგან დაირღვა კანონით განსაზღვრული ვადა, რომელიც საბჭოს ავალდებულებდა მისი დაკავების კანონიერების ავტომატურ განხილვას. სტრასბურგის სასამართლო არ დაეთანხმა და დაადგინა, რომ კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი არ დარღვეულა.

გადანყვეტილება საყურადღებოა მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის სამართალწარმოების ბუნებასა და ფარგლებთან მიმართებით. სტრასბურგის სასამართლომ ამასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ სასამართლო განხილვის ფორმები, რომლებიც აკმაყოფილებენ მე-5 მუხლის მე-4 პუნქტს, შეიძლება განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან „და დამოკიდებული იქნება სადავო თავისუფლების აღკვეთის ტიპზე“. რაც მთავარია, მან აღნიშნა (პარაგრაფი 76):

[i]... არ არის გამორიცხული, რომ ეროვნული სასამართლოს მიერ დაკავების კანონიერების ავტომატური პერიოდული განხილვის სისტემა შეიძლება უზრუნველყოფდეს მე-5 მუხლს მე-4 პუნქტის მოთხოვნებთან შესაბამისობას (იხ.: *მეგიერი გერმანიის წინააღმდეგ*, 12 მაისი 1992, §22, seria A no,237-A)...

ერთ-ერთი ასეთი მოთხოვნაა, რომ განხილვა იყოს სწრაფი. ამ საკითხზე და საკუთარი პრეცედენტული სამართლის გათვალისწინებით, სტრასბურგის სასამართლომ (იმ საკითხთან დაკავშირებით თავსდება თუ არა მოთხოვნილ სისწრაფეში დროის ის პერიოდები, რომლებიც გადის ავტომატურ პერიოდულ განხილვებს შორის) განაცხადა, რომ გათვალისწინებული უნდა იყოს თითოეული საქმის ფაქტობრივი გარემოებები და დაკავების ბუნება (მაგალითად, დაკავება მსჯავრდების შემდეგ, ფსიქიკური აშლილობის მქონე პირთა დაკავება, დაკავება გაძევების მოლოდინში ან როგორც წინამდებარე შემთხვევაშია, დაკავება თავშესაფრის მინიჭების შესახებ განცხადების განხილვის პერიოდში).

სასამართლომ შემდეგ განიხილა ზემოხსენებული მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის სამართალწარმოების პროცედურული დარღვევების ზემოქმედება. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ მართალია, თავისუფლების აღკვეთა მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე, შესაძლოა დადგინდეს როგორც უკანონო, ვინაიდან ის არ იყო „კანონით დადგენილი წესის შესაბამისი“, მაგრამ თავად სავალდებულო პროცედურული მოთხოვნების დარღვევები არ წარმოშობს მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის დარღვევას. მომჩივნის საქმეში გადამწყვეტ საკითხს (მას სადავოდ არ გაუხდია საბჭოს დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა ან სამართალწარმო-

ების სამართლიანობა) წარმოადგენდა, აკმაყოფილებდა თუ არა განხილვა სისწრაფის ტესტს. მომჩივნის საქმეში ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით (პარაგრაფი 80), სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა შემდეგი:

„...მიუხედავად იმისა, რომ მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული დაკავება, რომელიც არ შეესაბამება ეროვნულ კანონმდებლობას, ინვესს ამ დებულების დარღვევას. კანონით დადგენილი ავტომატური განხილვის ვადების დარღვევა აუცილებლად არ ინვესს მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის დარღვევას, თუკი სამართალწარმოება, რომლის ფარგლებშიც განხილულ იქნა მომჩივნის დაკავების კანონიერება, დროულად დასრულდა. სტრასბურგის სასამართლო აღნიშნავს, რომ წინამდებარე საქმეში, გარკვეული დარღვევების მიუხედავად (ის ფაქტი, რომ მომჩივნის დაკავებიდან შვიდ სამუშაო დღეში არ ჩატარებულა თავდაპირველი ავტომატური განხილვა, როგორც ამას ეროვნული კანონმდებლობა ითვალისწინებდა და არც ეს ვადა გაგრძელებულა არსებული პრაქტიკის შესაბამისად) დრო, რომელიც გავიდა პირველ განხილვამდე ე.ი. ოცი კალენდარული დღე, რომელიც გადავადების გამო გადაიქცა ოცდახუთ კალენდარულ დღედ – არ შეიძლება ჩაითვალოს არაგონივრულად“.

კომპენსაციის მიღების უფლება (მუხლი 5 §5)

საქმეში *პორშეტი შვეიცარიის წინააღმდეგ*,⁴⁹ სტრასბურგის სასამართლომ მე-5 მუხლის მე-5 პარაგრაფის შესაბამისად განმარტა საკუთარი სასამართლო პრაქტიკა, კომპენსაციის საკითხთან დაკავშირებით. კერძოდ, სასამართლომ განსაზღვრა, სასჯელის შემცირება მიჩნეული უნდა იყოს თუ არა „კომპენსაციად“.

მომჩივანი დააკავეს მანქანის მონწილის გარეშე მართვისა და სიცოცხლისთვის საფრთხის შექმნის საფუძველზე. იგი მოათავსეს პოლიციის წინასწარი დაკავების იზოლატორში, სადაც კანონით დადგენილი 48 საათის ნაცვლად დაჰყო 18 დღე. მოგვიანებით, მომჩივანს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 35 თვის ვადით, რომლის ნაწილიც დროებით იქნა შეჩერებული. პოლიციის დაკავების იზოლატორში 16-დღიანი დაკავების კომპენსაციის მიზნით, სისხლის სამართლის სასამართლომ მას სასჯელის ვადა შეუმცირა 8 დღით. შვეიცარიის ფედერალური სასამართლოსა და სტრასბურგის სასამართლოს წინაშე მომჩივანი დავობდა, რომ მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე მას უფლება ჰქონდა მიეღო ფულადი სახის კომპენსაცია დაკავებისთვის, რომელიც არღვევდა კონვენციის მე-5 მუხლის 1-ელ პუნქტს.

სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ საჩივარი *ratione personae* შეუთავსებელი იყო კონვენციის დებულებებთან.

აღნიშნული გადაწყვეტილება მნიშვნელოვანია, რადგან ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის მნიშვნელობით „კომპენსაციის“ ცნება არ უნდა იყოს გაგებული მხოლოდ ფინანსური თვალსაზრისით.

მიუხედავად იმისა, რომ სტრასბურგის სასამართლოს არსებული პრეცედენტუ-

⁴⁹ Porchet v. Switzerland (განჩინება), no. 36391/16, 8 ოქტომბერი, 2019.

ლი სამართალი საკმაოდ იშვიათია, ზოგიერთი საკითხი მაინც რელევანტურია მოცემულ საქმესთან:

- კომისიამ ადრე დაადგინა, მიუხედავად იმისა, რომ კომპენსაციის უფლება მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის მნიშვნელობით, უპირველეს ყოვლისა, ფინანსურ საკითხებს მოიცავს, შეიძლება ასევე მისი მნიშვნელობის გაფართოება (ბოზანო საფრანგეთის წინააღმდეგ⁵⁰). რაც შეეხება თანხის ოდენობას, მე-5 მუხლის მე-5 პუნქტი არ უზრუნველყოფს გარკვეული ოდენობის კომპენსაციის უფლებას (იხ.: მაგ. ჯერონოვიჩის ლატვიის წინააღმდეგ⁵¹).
- ანალოგიის პრინციპის შესაბამისად, სტრასბურგის სასამართლომ გამოიყენა საკუთარი სასამართლო პრაქტიკა, რომელიც ეხება გონივრული ვადის მოთხოვნასთან შესაბამისობას მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის (*შრეიდი გერმანიის წინააღმდეგ*⁵²) და მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით (*შჩენსნოვიჩიუსი ლიეტუვას წინააღმდეგ*⁵³ და *შრეიდი*, იხ.: ზემოთ); აგრეთვე სასამართლო პრაქტიკა კონვენციის მე-3 მუხლის საწინააღმდეგო პატიმრობის პირობების შესახებ (*სტელა და სხვები იტალიის წინააღმდეგ*⁵⁴) და განაცხადა, რომ სასჯელის შემცირება შეიძლება წარმოადგენდეს კომპენსაციას მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის მნიშვნელობით, იმ პირობით, თუ: პირველი, იგი აშკარად მინიჭებული იქნა აღნიშნული დარღვევის გამოსასწორებლად და მეორე, მას ჰქონდა ზომიერი და პროპორციული გავლენა სასჯელზე, რომელსაც პირი იხდიდა (*ვლოჩი პოლონეთის წინააღმდეგ* (no.2)⁵⁵).

აქედან გამომდინარე, სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ ვინაიდან ეროვნულმა ხელისუფლებამ აღიარა სადავო საკითხის დარღვევა და მომჩივანს მიანიჭა კომპენსაცია, რომელიც შეესაბამებოდა კონვენციის 41-ე მუხლით გათვალისწინებულ სამართლიან დაკმაყოფილებას (*კორიარელა იტალიის წინააღმდეგ*⁵⁶), მომჩივანი ველარ განაცხადებდა, რომ მის მიმართ დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტი.

⁵⁰ *Bozano v. France*, no. 9990/82, კომისიის განჩინება, 15 მაისი, 1984, გადაწყვეტილებები და ანგარიშები 34, pp. 119, 131.

⁵¹ *Jeronovics v. Latvia* (განჩინება), no 547/02, 10 თებერვალი, 2009.

⁵² *Chraid v. Germany*, no. 65655/01, § 24, ECHR 2006-XII.

⁵³ *Scensnovicius v. Lithuania*, no. 62663/13, § 92, 10 ივლისი, 2018.

⁵⁴ *Stella and Others v. Italy* (განჩინება), no. 49169/09, §§ 59-60, 16 სექტემბერი, 2014.

⁵⁵ *Wloch v. Poland* (no. 2), no. 33475/08, § 32, 10 მაისი, 2011.

⁵⁶ *Cocchiarella v. Italy* [დიდი პალატა], no. 64886/01, § 72, ECHR 2006-V.

სასამართლო უფლებები

საქმის სამართლიანი განხილვის უფლება სამოქალაქო

სამართალწარმოების დროს (მუხლი 6 §1)

გამოყენებადობა

გადაწყვეტილებაში საქმეზე *დენისოვი უკრაინის წინააღმდეგ [დიდი პალატი]*,⁵⁷ სასამართლომ განიხილა, გამოიყენებოდა თუ არა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი მოსამართლეთა მანდატთან დაკავშირებულ დავებზე.

მომჩივანი გაათავისუფლეს კიევის ადმინისტრაციული სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობიდან იმ საფუძველით, რომ სათანადოდ არ ასრულებდა ადმინისტრაციულ ფუნქცია-მოვალეობებს. თუმცა, ის იმავე სასამართლოში მოსამართლედ დარჩა. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე, კონვენციის მე-6 მუხლზე დაყრდნობით, მომჩივანი დავობდა, რომ მისი საქმის განმხილველი იუსტიციის უმაღლესი საბჭო და ადმინისტრაციული სასამართლო არ იყო დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი.

სასამართლომ შეაჯამა შესაბამისი პრეცედენტული სამართალი და პრინციპები, რომლებიც ეხებოდა კონვენციის მე-6 მუხლის გამოყენებას მოსამართლეთა მანდატთან დაკავშირებულ დავებზე. პრეცედენტული სამართლის მიხედვით, მე-6 მუხლის სამოქალაქო ნაწილი გამოყენებადი იყო (*ვილჰო ესკელინენი და სხვები ფინეთის წინააღმდეგ*⁵⁸ და *ბაკა უნგრეთის წინააღმდეგ*⁵⁹) და დაირღვა საქმეზე *ოლექსანდრ ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ*.⁶⁰ მოცემულ საქმეშიც იუსტიციის უმაღლესი საბჭო არ იყო საკმარისად დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი და საქმის განხილვაში არსებული ხარვეზები არ გამოსწორდა ზემდგომი ადმინისტრაციული სასამართლოს მიერ.

გადაწყვეტილება საქმეზე *მიროვნი ინსტიტუტი სლოვენის წინააღმდეგ*⁶¹ ეხება კონვენციის მე-6 მუხლის გამოყენების საკითხს ტენდერის პროცედურასთან დაკავშირებით.

მომჩივანმა ინსტიტუტმა მთავრობის შესაბამისი დეპარტამენტის მიერ კვლევის დაფინანსებასთან დაკავშირებით გამოცხადებულ ტენდერზე შეიტანა განაცხადი. მის განაცხადს უარი ეთქვა. მომჩივანმა ინსტიტუტმა ეს გადაწყვეტილება გაასაჩივრა ადმინისტრაციულ სასამართლოში. ინსტიტუტი აცხადებდა, რომ ტენდერში წარდგენილი განაცხადების შემფასებელი პირები მიკერძოებულები იყვნენ. მომჩივანმა მოითხოვა საქმის ზეპირი განხილვა, თუმცა სასამართლომ სარჩელი არ დააკმაყოფილა, ზეპირი მოსმენის გარეშე. ადამიანის უფ-

⁵⁷ Denisov v. Ukraine [GC], საჩივარი N76639/11, 25 სექტემბერი, 2018.

⁵⁸ Vilho Eskelinen and Others v. Finland [GC], საჩივარი N63235/00, ECHR 2007-II.

⁵⁹ Baka v. Hungary [GC], საჩივარი N20261/12, 23 ივნისი, 2016.

⁶⁰ Oleksandr Volkov v. Ukraine, საჩივარი N21722/11, ECHR 2013.

⁶¹ Mirovni Institut v. Slovenia, საჩივარი N32303/13, 13 მარტი, 2018.

ლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე მომჩივანი დავობდა, რომ მოცემულ საქმეში დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი. სტრასბურგის სასამართლომ მომჩივნის საქმის გარემოებებს მიუსადაგა პრეცედენტული სამართლით დადგენილი პრინციპები და დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევას.

გადანყვეტილება საინტერესოა, რადგან მასში სასამართლომ იმსჯელა კონვენციის მე-6 მუხლის გამოყენების საკითხზე იმ სამართალწარმოებასთან დაკავშირებით, რომელიც წარმოიშვა მას შემდეგ, რაც მომჩივანმა ინსტიტუტმა ტენდერში ვერ გაიმარჯვა. აქამდე არსებული პრეცედენტული სამართლის მიხედვით, ის ფაქტი, რომ ტენდერში მონაწილე პრეტენდენტს ჰქონდა გასაჩივრების და საჯარო სხდომაზე საქმის განხილვის უფლება, არ წარმოადგენდა სამოქალაქო უფლებას. გასაჩივრების უფლება არ იყო საკმარისი იმისათვის, რომ კონვენციის მე-6 მუხლი გავრცელებულიყო იმ სამართალწარმოებაზე, რომელიც განსაზღვრავდა ტენდერში გამარჯვებას, ვინაიდან ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შორის გამარჯვებულის გამომვლენ ორგანოს მიკუთვნებული ჰქონდა შესაბამისი დისკრეცია (იხ.: მაგალითისთვის *I.T.C. LTD v. Malta*,⁶² აგრეთვე *Marti AG and Others v. Switzerland*,⁶³ *Skyradio AG and Others v. Switzerland*⁶⁴ და *S.C. Black Sea Caviar S.R.L. v. Romania*⁶⁵).

მოცემულ საქმეში სტრასბურგის სასამართლომ გადანყვიტა, გადაესინჯა ეს მიდგომა, აღნიშნა რა, რომ მომჩივანს არ ჰქონდა დაფინანსების მოპოვების უფლება და ეროვნული ხელისუფლება სარგებლობდა დისკრეციით, როდესაც იხილავდა ტენდერში წარდგენილ განაცხადებს. პირველ ყოვლისა, სასამართლომ იხელმძღვანელა დიდი პალატის მიერ საქმეში *რეგნერი ჩეხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ [დიდი პალატა]*⁶⁶ განვითარებული პრინციპებით. სტრასბურგის სასამართლოს დიდმა პალატამ მოცემული გადანყვეტილების 105-ე პარაგრაფში აღნიშნა, რომ:

„ზოგიერთ შემთხვევაში, ეროვნული კანონმდებლობა შეიძლება არ ცნობს, რომ პირს აქვს სუბიექტური უფლება, თუმცა მას აღჭურავს უფლებით, მისი მოთხოვნა განხილული იქნას კანონიერი პროცედურის მიხედვით, რაც მოიცავს დასკვნას, იყო თუ არა გადანყვეტილება თვითნებური ან არსებობდა თუ არა საქმეში პროცედურული ხარვეზები. ეს ეხება საქმეებს, სადაც ხელისუფლების ორგანოებს აქვთ დისკრეციული უფლებამოსილება კონკრეტულ სუბიექტებს მიაკუთვნონ ან უარი უთხრან პრივილეგიაზე ან უპირატესობაზე, როდესაც კანონი პირს აღჭურავს სასამართლოსადმი მიმართვის უფლებით. ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლო გადანყვეტილებას უკანონოდ მიიჩნევს, მას შეუძლია გადანყვეტილების შეცვლა. ამ შემთხვევაში კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი გამოყენებადია, იმ პირობით, რომ უპირატესობა ან პრივილეგია, როდესაც ის მიკუთვნებულია, წარმოშობს სამოქალაქო უფლებას“.

სასამართლომ დაადგინა, რომ ეს პარაგრაფი რელევანტურია *მიროვნი ინსტი-*

⁶² *I.T.C. LTD v. Malta* (dec.), საჩივარი N2629/06, 11 დეკემბერი, 2007.

⁶³ *Marti AG and Others v. Switzerland* (dec.), საჩივარი N36308/97, ECHR 2000-VIII.

⁶⁴ *Skyradio AG and Others v. Switzerland* (dec.), საჩივარი N46841/99, 31 აგვისტო, 2004.

⁶⁵ *S.C. Black Sea Caviar S.R.L. v. Romania* (dec.), საჩივარი N13013/06, 31 მაისი, 2016.

⁶⁶ *Regner v. the Czech Republic* [GC], საჩივარი N35289/11, 19 სექტემბერი, 2017.

ტუტის საქმეზე (29-ე პარაგრაფი), სადაც მომჩივანი ინსტიტუტი „აშკარად სარგებლობდა პროცედურული უფლებით, ტენდერი შეფასებულიყო კანონიერად და მართებულად. თუ მომჩივანი ინსტიტუტი ტენდერში გაიმარჯვებდა, ეს უკანასკნელი აღიჭურვებოდა სამოქალაქო უფლებით“. შესაბამისად, კონვენციის მე-6 მუხლი მოცემულ საქმეში გამოყენებადი იყო.

წინამდებარე გადაწყვეტილებაში პირველად იქნა გამოყენებული ზემოხსენებული რეგნერის საქმე კონვენციის მე-6 მუხლის გამოყენებასთან დაკავშირებით და ის ნათელყოფს, როგორ განვითარდა პრეცედენტული სამართალი. საინტერესოა, რომ სასამართლომ ანალიზი შეაჯამა ქვემოთ მოცემული დასკვნით:

„შეიცვალა სასამართლოს პრეცედენტული სამართალი კონვენციის მე-6 მუხლის სამოქალაქო ნაწილის გამოყენებასთან დაკავშირებით. კერძოდ, ის ვრცელდება იმ საქმეებზეც, რომლებიც დასაწყისში შეიძლება ჩანდეს, რომ არ ეხება სამოქალაქო უფლებას, თუმცა შესაძლოა მას ჰქონდეს პირდაპირი და მნიშვნელოვანი გავლენა პირის პირად უფლებაზე (იხ.: *დე ტომასო იტალიის წინააღმდეგ* (დიდი პალატა)).⁶⁷“

საქმეში *ალტაი თურქეთის წინააღმდეგ (no.2)*,⁶⁸ [ადამიანის უფლებათა ევროპულმა] სასამართლომ დაადგინა, რომ ზეპირსიტყვიერი კომუნიკაცია ადვოკატსა და მის კლიენტს შორის არის საკითხი, რომელიც ექცევა „პირადი ცხოვრების“ ცნების ქვეშ და შესაბამისად, წარმოადგენს „სამოქალაქო“ უფლებას.

მომჩივანი იხდოდა უვადო სასჯელს. 2005 წლის სექტემბრიდან, მას ადვოკატთან კონსულტაციების გავლა ციხის ოფიცრის თანდასწრებით უწევდა. ეს ზომა სასამართლოს მიერ იქნა მიღებული, როდესაც აღმოჩნდა, რომ ადვოკატი მისი პროფესიის სტანდარტებთან შეუსაბამო გზით ცდილობდა მომჩივნისთვის იმგვარი საკითხავი მასალის შეგზავნას, რაც მისი დაცვის უფლებას არ უკავშირდებოდა. მომჩივანი დავობდა, რომ ადვოკატთან კონსულტაციების პრივატიულობის შეზღუდვა შეუსაბამო იყო მე-8 მუხლით გათვალისწინებულ მის უფლებებთან. მომჩივანი აგრეთვე აცხადებდა, რომ ეროვნულ დონეზე წარმართული სამართალწარმოება, რომლის საშუალებითაც მან სცადა სადავო გაეხადა აღნიშნული ზომა, მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტით განსაზღვრულ სამართლიანობის მოთხოვნებს არ შეესაბამებოდა, ვინაიდან სხვა ფაქტორებთან ერთად, მას არ მიეცა მოცემული საკითხის ზეპირი მოსმენით განხილვის შესაძლებლობა. [ადამიანის უფლებათა ევროპული] სასამართლო მომჩივნის მოთხოვნას ორივე ნაწილში დაეთანხმა.

სასამართლოს მოცემული გადაწყვეტილება საყურადღებოა იმ კუთხით, რომ სასამართლომ პირველად დაადგინა, რომ, სამართლებრივი დახმარების კონტექსტში, პირის ზეპირი კომუნიკაცია მის ადვოკატთან ექცევა პირადი ცხოვრების ფარგლებში, რადგან ამგვარი ინტერაქციის მიზანია, პირმა მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილებები საკუთარ ცხოვრებასთან დაკავშირებით.

ასევე აღსანიშნავია, რომ ადვოკატისა და კლიენტის ურთიერთობის ბუნებაზე

⁶⁷ De tomasso v. Italy, საჩივარი N43395/09, § 151, 23 თებერვალი, 2017.

⁶⁸ Altay v. Turkey(no.2), N 11236/09, 2019 წლის 9 აპრილი.

სასამართლოს ხედვამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა სასამართლოს შეფასებაზე, შეეძლო თუ არა მომჩივანს ეროვნული სამართალწარმოების არასამართლიანობაზე დავის დროს, დაყრდნობოდა მე-6 მუხლის სამოქალაქოსამართლებრივ ასპექტებს. მთავრობა დავობდა, რომ ადვოკატთან მომჩივნის კონსულტაციის შეზღუდვა ციხეში იყო წესრიგისა და უსაფრთხოების შენარჩუნების ინტერესებისთვის დაწესებული პრევენციული ზომა და მაშასადამე, წარმოადგენდა საჯარო სამართლის ბუნების მქონე ღონისძიებას. სასამართლო აღნიშნულს არ დაეთანხმა და განაცხადა (პარაგრაფი 68):

„...უპირველეს ყოვლისა, სასამართლო სათანადოდ მიიჩნევს, პარალელი გაავლოს კონვენციის მე-8 მუხლთან მიმართებით მის მიერ დადგენილ სტანდარტებთან, კერძოდ, იმ თვალსაზრისით, რომ ადვოკატსა და კლიენტს შორის არსებული ინტერაქციის კონფიდენციალურობა პრივილეგირებულია და ზეპირი კომუნიკაცია ადვოკატთან ექცევა „პირადი ცხოვრების“ ცნების ქვეშ. ამდენად, არსი განსახილველი უფლებისა, რომელიც ეხება მომჩივნის შესაძლებლობას პრივატულად ისაუბროს ადვოკატთან, არის უპირატესად პირადი და ინდივიდუალური ხასიათის – ყოველივე ეს კი, წარმოადგენს მნიშვნელოვან ფაქტორს, რომელიც მოცემულ დავას სამოქალაქო სფეროსთან აახლოებს. იმის გათვალისწინებით, რომ ნებისმიერი სახის შეზღუდვის დაწესება რომელიმე მხარის სრული კონფიდენციალობის დაცვით კომუნიკაციის შესაძლებლობაზე, ხელს შეუშლიდა ამ უფლებით პრაქტიკულად სარგებლობას, სასამართლო ასკვნის, რომ კერძო სამართლის ასპექტები მოცემულ დავაში სჭარბობს საჯარო სამართლის ასპექტებს“.

სასამართლოს დასკვნა მომჩივნის საქმეში კონვენციის მე-6 მუხლის სამოქალაქოსამართლებრივი ასპექტის გამოყენებადობაზე შეიძლება მიჩნეულ იქნეს სტრასბურგის სასამართლოს არსებული პრეცედენტული სამართლის ერთგვარ გაგრძელებად. აღნიშნული პრაქტიკის შესაბამისად, ციხის კონტექსტთან მიმართებით დაწესებულ სამართალწარმოებასთან დაკავშირებით სასამართლოს არაერთხელ დაუდგენია, რომ პატიმართა უფლებები ექცევა „სამოქალაქო უფლებების“ სფეროში (დე ტომასო იტალიის წინააღმდეგ,⁶⁹ ენეა იტალიის წინააღმდეგ⁷⁰ და განცი იტალიის წინააღმდეგ⁷¹).

კონვენციის მე-6 მუხლის მიხედვით წარდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის თაობაზე, სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებული დასაბუთება მოიცავს იმ პრეცედენტული სამართლის საინტერესო განხილვას, რომელიც ეხება ზეპირი მოსმენის უფლებას სამოქალაქო სამართალწარმოების კონტექსტში. მომჩივნის საქმეში სასამართლომ დაადგინა, რომ არ არსებობდა საგამონაკლისო გარემოებები, რომლებიც გაამართლებდა აღნიშნულ სადავო სამართალწარმოებაში ზეპირი მოსმენის ჩატარებისგან თავის არიდებას.

⁶⁹ De Tommaso v. Italy [GC], N 43395/09, § 147, 23 თებერვალი, 2017.

⁷⁰ Enea v. Italy [GC], N 74912/01, § 119, ECHR 2009.

⁷¹ Ganci v. Italy, N 41576/98, §§ 20-26, ECHR 2003-XI.

სასამართლოს ხელმისაწვდომობა

გადაწყვეტილება საქმეზე *ნაიტ-ლიმანი შვეიცარიის წინააღმდეგ [დიდი პალატა]*,⁷² ეხებოდა საკითხს, ევალეზა თუ არა ეროვნულ სასამართლოებს საერთაშორისო სამართლის მიხედვით, დაუშვან წამების მსხვერპლთა მიერ ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელები, როდესაც წამება ჩადენილია ექსტრატერიტორიულად, მესამე სახელმწიფოს მიერ ან მისი იურისდიქციის ქვეშ.

მომჩივანი ამტკიცებდა, რომ იგი 1992 წელს, შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით დააკავეს და აწამეს ტუნისში. 1995 წელს, შვეიცარიაში მას პოლიტიკური თავშესაფარი მიაკუთვნეს. 2004 წელს მან შვეიცარიაში ტუნისისა და მინისტრის წინააღმდეგ საქმის წარმოება დაიწყო, წამების შედეგად მიყენებული არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით. შვეიცარიის სასამართლოებმა უარი განაცხადეს სარჩელის განხილვაზე, ფედერალურმა უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ შვეიცარიის სასამართლოებს აკლდათ იურისდიქცია, ვინაიდან საქმის ფაქტობრივ გარემოებებსა და შვეიცარიას შორის კავშირი არ არსებობდა (საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ ფედერალური კანონის მე-3 სექცია).

მომჩივანი კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით დავობდა, რომ შვეიცარიის ეროვნული სასამართლოების მიერ მისი სარჩელის განხილვაზე უარი არღვევდა სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლებას. სტრასბურგის სასამართლოს დიდმა პალატამ ამ მუხლის დარღვევა არ დაადგინა.

დიდმა პალატამ თავიდანვე ხაზგასმით აღნიშნა ფართო საერთაშორისო კონსენსუსი, რომელიც აღიარებს წამების მსხვერპლთათვის კომპენსაციის მოპოვების უფლებას. დიდ პალატას ეჭვი არ შეუტანია, რომ ეს უფლება სავალდებულო იყო სახელმწიფოებისთვის, როდესაც ქმედება განხორციელებულია იურისდიქციის ტერიტორიის ფარგლებში ან იურისდიქციის ფარგლებში მყოფი პირების მიერ. მოცემულ საქმეში უნდა დადგენილიყო ზემოხსენებული უფლება ვრცელდებოდა თუ არა ქმედებებზე, რომლებიც ჩადენილ იქნა ექსტრატერიტორიულად, მესამე სახელმწიფოს მიერ ან მისი იურისდიქციის ქვეშ.

წინამდებარე გადაწყვეტილება აღსანიშნავია იმით, რომ დიდ პალატას მოეთხოვებოდა, წარმოედგინა მოსაზრება საერთაშორისო სამართლის პრინციპების, კერძოდ, „უნივერსალური სამოქალაქოსამართლებრივი იურისდიქციისა“ და „საგამონაკლისო ფორუმის“ შინაარსთან დაკავშირებით. მიზანი იყო იმის დადგენა, საერთაშორისო სამართლის მიხედვით, ეკისრებოდა თუ არა შვეიცარიის სასამართლოებს მომჩივნის სარჩელის განხილვის ვალდებულება, რომელიც ეხებოდა ტუნისში შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით განხორციელებული წამების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებას. თავის მხრივ, ამის განსაზღვრა დაადგენდა მომჩივნის სასამართლო ხელმისაწვდომობის უფლებაზე დაწესებული შეზღუდვის პროპორციულობას.

(i) მოცემულ შემთხვევაში კონვენციის მე-6 მუხლი გამოყენებადად ითვლებო-

⁷² Nait-Liman v. Switzerland [GC], საჩივარი N51357/07, 15 მარტი, 2018.

და, ვინაიდან მომჩივანს ჰქონდა მოთხოვნის უფლება, რომელიც აღიარებული იყო შვეიცარიის კანონმდებლობით. ამასთან დაკავშირებით, დიდი პალატა დაეყრდნო არა მხოლოდ ეროვნული კანონმდებლობით დადგენილ ზოგად პრინციპებს უკანონო ქმედებებისთვის სამოქალაქო პასუხისმგებლობის შესახებ, არამედ საერთაშორისო სამართლის ელემენტებს კერძოდ კი, წამების წინააღმდეგ კონვენციის მე-14 მუხლს, რომელიც უზრუნველყოფს წამების მსხვერპლთა უფლებას, მოიპოვონ სამართლიანი და ადეკვატური კომპენსაცია. წამების საწინააღმდეგო კონვენცია რატიფიცირებულია შვეიცარიის მიერ; მისი დებულებები ეროვნული კანონმდებლობის ნაწილია და ხელისუფლების ორგანოები ვალდებული იყვნენ, ისინი შეესრულებინათ. ამ უფლების ექსტრატერიტორიულობასთან დაკავშირებული დავა, გადამწყვეტი არ იყო კონვენციის მე-6 მუხლის გამოყენებისთვის.

(ii) დიდმა პალატამ განაგრძო საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლისა და უნივერსალური სამოქალაქო სამართლებრივი იურისდიქციის შესახებ კანონის მიმოხილვა, რათა დაედგინა, რომ შვეიცარიის სასამართლოებს არ მოეთხოვებოდათ მომჩივნის საჩივრის განხილვა:

„187. ...უნდა გაკეთდეს დასკვნა, რომ ის სახელმწიფოები, რომლებიც აღიარებენ უნივერსალურ სამოქალაქო სამართლებრივ იურისდიქციას – მოქმედებს რა, ავტონომიურად წამების აქტებთან მიმართებით, ამჟამად გამონაკლისს წარმოადგენენ. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოთა პრაქტიკა ვითარდება, უნივერსალური სამოქალაქო სამართლებრივი იურისდიქციის გავრცელება ჯერ კიდევ არ არის საკმარისი, რომ მიუთითოს საერთაშორისო ჩვეულების უპირატესობაზე, რომელიც შვეიცარიის სასამართლოებს დაავალდებულებდა დაედგინათ, რომ მათ ჰქონდათ მომჩივნის საჩივრის განხილვის იურისდიქცია.“

188. სასამართლო მიიჩნევს, რომ ამჟამად მოქმედი საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართალი ასევე, არ აღიარებს უნივერსალურ სამოქალაქო სამართლებრივ იურისდიქციას წამების აქტებთან მიმართებით, რომელიც სახელმწიფოებს ავალდებულებს, წამების მსხვერპლთათვის ხელმისაწვდომი გახადონ სამოქალაქო სამართლებრივი დაცვის საშუალებები, წამების იმ აქტებთან დაკავშირებით, რომლებიც ჩადენილია სახელმწიფოს ტერიტორიის გარეთ, უცხო ქვეყნის ოფიციალური პირების მიერ“.

ამასთან მიმართებით, დიდმა პალატამ ყურადღებით შეისწავლა წამების საწინააღმდეგო კონვენციის მე-14 მუხლი და დაასკვნა, რომ არც წამების საწინააღმდეგო კომიტეტი, არც კონვენციის მე-14 მუხლის ტექსტი და არც *travaux preparatoires* არ მოითხოვს სახელმწიფოსგან უნივერსალური იურისდიქციის აღიარებას, მაშინაც კი, როდესაც გარკვეული, ბოლო დროს მიღებული და მბოჭავი ძალის არმქონე დოკუმენტები სახელმწიფოებს ამის გაკეთებისგან მოუწოდებენ.

გარდა ამისა, დიდმა პალატამ აგრეთვე დაადგინა, რომ საერთაშორისო ჩვეულებით სამართალში არ არსებობდა რაიმე წესი, რომელიც განამტკიცებდა „საგამონაკლისო ფორუმის“ კონცეფციას, ამგვარი ვალდებულება ასევე არ გამომდინარეობდა რომელიმე საერთაშორისო ხელშეკრულებიდან.

შესაბამისად, საერთაშორისო სამართლით დაკისრებული ვალდებულების არარსებობის პირობებში, მოპასუხე სახელმწიფო სარგებლობდა შეფასების ფართო

ფარგლებით. სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ შვეიცარიის სასამართლოების მიერ საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ ფედერალური კანონის მე-3 სექციის განმარტება, რომლის მიხედვითაც მათ არ უნდა განეხილათ მომჩივნის საჩივარი, არ აჭარბებდა სახელმწიფოსთვის მიკუთვნებული შეფასების ფარგლებს; შვეიცარიის სასამართლოების მიერ მიღებული გადანყვეტილებები არ იყო მისაღწევი ლეგიტიმური მიზნის არაპროპორციული და ამდენად კონვენციის მე-6 მუხლი არ დარღვეულა. ბოლოდროინდელი გადანყვეტილება საქმეზე არლევინი *შვედეთის წინააღმდეგ*,⁷³ განსხვავდება წინამდებარე საქმისგან, ვინაიდან მოთხოვნასა და შვედეთს შორის კავშირები მყარი იყო, ამასთან, ამ საქმეში არ წამოჭრილა „საგამონაკლისო ფორუმთან“ დაკავშირებული საკითხი.

(iii) დაბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლომ შემაჯამებელ დასკვნაში სახელმწიფოებს მოუწოდა ამ კუთხით პროგრესისაკენ.

დიდმა პალატამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ წინამდებარე საქმეზე დარღვევის დაუდგენლობა ეჭვქვეშ არ აყენებს ფართო საერთაშორისო კონსენსუსს წამების მსხვერპლთა მიერ სათანადო და ეფექტიანი ზიანის ანაზღაურების მოპოვების უფლებასთან დაკავშირებით. აგრეთვე, ამ უფლებას ეჭვქვეშ არ აყენებს ის ფაქტი, რომ სახელმწიფოები „მონოდებულნი არიან, მათი იურისდიქციის ფარგლებში არსებულ სასამართლოებს უბიძგონ მსგავსი საჩივრების განხილვისკენ, მათ შორის მაშინაც, როდესაც ისინი ეფუძნება ფაქტებს, რომლებიც ჩადენილია მათი გეოგრაფიული საზღვრებს გარეთ“. ამ მიმართულებით სახელმწიფოების მიერ გამოვლენილი ძალისხმევა ფასდაუდებელია. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს პოზიცია, რომლის მიხედვითაც „საგამონაკლისო ფორუმის“ გამოყენება დამოკიდებული იყო სახელმწიფოსთან გარკვეული დამაკავშირებელი ფაქტორების არსებობაზე, არ იყო არაგონივრული და სტრასბურგის სასამართლო არ გამოირიცხავს მომავალში ამ მიმართულებებით სხვაგვარ განვითარებას. მიუხედავად იმისა, რომ მოცემულ საქმეში სასამართლომ დარღვევა არ დაადგინა,

„სასამართლომ მოუწოდა კონვენციის ხელშემკვრელ სახელმწიფოებს გაითვალისწინონ თავიანთ სამართლებრივ წესრიგში ნებისმიერი სიახლე, რომელიც ხელს უწყობს წამების მსხვერპლთა კომპენსაციის უფლების ეფექტიან განხორციელებას, როდესაც იხილავენ ამ ტიპის საჩივრებს, რათა სადაც საჭიროა განსაზღვრონ ელემენტები, რომლებიც ეროვნულ სასამართლოებს დაავალდებულებს იურისდიქციის ფარგლებში მათ განხილვას“.

გადაწყვეტილება საქმეზე *ზუბაჩი ხორვატიის წინააღმდეგ [დიდი პალატა]*,⁷⁴ ეხებოდა სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლებაზე დაწესებული შეზღუდვის განჭვრეტადობასა და პროპორციულობას.

წინამდებარე საქმე ეხება ხორვატიის უზენაესი სასამართლოს უარს, განეხილა ქონებრივ დავასთან დაკავშირებული საჩივარი. მომჩივნის გარდაცვლილი მეუღლე იყო სამოქალაქო დავის მონაწილე. მან მოთხოვნაში ქონებრივ ღირებუ-

⁷³ Arlewin v. Sweden, საჩივარი N22302/10, 1 მარტი, 2016.

⁷⁴ Zubac v. Croatia [GC], საჩივარი N40160/12, 5 აპრილი, 2018.

ლებად განსაზღვრა 10 000 ხორვატული კუნა (HRK) (დაახლოებით 1 300 ევრო (EUR)). მოგვიანებით, სამართალწარმოების დროს, მან ქონება შეაფასა 105 000 ხორვატული კუნის ოდენობით (დაახლოებით 14 000 ევრო). აღნიშნული ოდენობა დაადასტურა პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოებმა და სასამართლო ხარჯების ოდენობა განისაზღვრა ამ ოდენობაზე დაყრდნობით. უზენაესმა სასამართლომ მომჩივნის საჩივარი დაუშვებლად ცნო *ratione valoris* მიიჩნია რა, რომ ქონების ღირებულება იყო თავდაპირველ მოთხოვნაში მითითებული თანხა (10,000 ხორვატული კუნა) და აღნიშნული ოდენობა ვერ აღწევდა კანონმდებლობით გათვალისწინებულ ზღვარს (100 000 ხორვატული კუნა), რომლის შემდეგაც პირს უზენაესი სასამართლოსთვის მიმართვის უფლება ჰქონდა (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 382-ე მუხლის 1-ლი ნაწილის 1-ლი პუნქტი).

დიდმა პალატამ კონვენციის დარღვევა არ დაადგინა.

მოცემული საქმე ძალიან სპეციფიკურია. წინამდებარე საქმეში სადავო არ იყო *ratione valoris* უზენაესი სასამართლოსთვის მიმართვაზე დაწესებული შეზღუდვების ლეგიტიმურობა, არც ხელისუფლების ორგანოების მიერ მსგავსი შეზღუდვების დაწესების დროს გამოყენებული შეფასების ფარგლები. მოცემული საქმე უფრო მეტად ეხებოდა იმ ფორმას, თუ როგორ უნდა შეფასდეს *ratione valoris* მოთხოვნის გამოყენება.

გადანყვეტილება საინტერესოა, ვინაიდან მასში დეტალურად და სტრუქტურირებულად არის მოცემული სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტული სამართალი სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლებაზე, უფრო კონკრეტულად კი, ზემდგომი სასამართლოების ხელმისაწვდომობაზე დაწესებულ შეზღუდვასთან დაკავშირებით. სასამართლოს პრეცედენტული სამართლიდან დიდმა პალატამ მოიხმო გარკვეული კრიტერიუმები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო, როდესაც განიხილებოდა სააპელაციო/საკასაციო სასამართლოებისადმი ხელმისაწვდომობაზე დაწესებული შეზღუდვები, განსაკუთრებით ისინი, რომლებიც უკავშირდებოდა *ratione valoris*, შეესაბამებოდა თუ არა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის მოთხოვნებს.

უპირველეს ყოვლისა, სტრასბურგის სასამართლოს უნდა შეეფასებინა ზემოთ ხსენებული თავისუფალი შეფასების ფარგლების გამოყენება მოცემულ საქმეში. ამ შეფასების გაკეთებისას, სასამართლოს ყურადღება უნდა გაემახვილებინა (i) რა მოცულობით იქნა შესწავლილი საქმე ქვედა ინსტანციის სასამართლოების მიერ; (ii) ქვედა ინსტანციის სასამართლოების წინაშე სამართალწარმოების დროს ხომ არ არსებობდა სამართლიანობასთან დაკავშირებული საკითხი; და (iii) უზენაესი სასამართლოს როლი.

მეორე, შეზღუდვის პროპორციულობის შესაფასებლად, სასამართლოს უნდა გაეთვალისწინებინა სხვა ფაქტორებიც: (i) შეზღუდვის განჭვრეტადობა; (ii) სამართალწარმოების დროს დაშვებული შეცდომის უარყოფითი შედეგების ტვირთი (რამაც განაპირობა უზენაესი სასამართლოს ხელმისაწვდომობაზე უარი) მომჩივანს უნდა დაეკისროს თუ მოპასუხე სახელმწიფოს; და (iii) სადავო შეზღუდვა მოიცავდა თუ არა „გადაჭარბებულ ფორმალობას“. დიდმა პალატამ თითოეული კრიტერიუმი დეტალურად განიხილა.

- რაც შეეხება მეორე კრიტერიუმს, რომელიც უკავშირდება დაშვებული შეცდომების უარყოფით შედეგს, დიდმა პალატამ დაადასტურა, რომ როდესაც ადგილი აქვს პროცედურულ შეცდომას როგორც მომჩივნის, ასევე შესაბამისი ხელისუფლების ორგანოს მხრიდან, სასამართლო პრაქტიკაში არ არსებობს ჩამოყალიბებული მიდგომა, თუ ვინ უნდა იტვირთოს შედეგები. მიუხედავად იმისა, რომ ამ გადაწყვეტილების მიღება დამოკიდებულია საქმის ყველა გარემოებაზე, სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტული სამართლიდან შესაძლებელია სახელმძღვანელო პრინციპების გათვალისწინება: სამართალწარმოების დროს ჰყავდა თუ არა მომჩივანს წარმომადგენელი; მომჩივანმა/მისმა წარმომადგენელმა გამოავლინა თუ არა საჭირო გულმოდგინება შესაბამისი პროცედურული მოქმედებების შესრულების დროს, პროცედურული უფლებები ხშირად დაკავშირებულია პროცედურულ ვალდებულებებთან; შესაძლებელი იყო, თუ არა შეცდომების თავიდან არიდება დასაწყისიდანვე; და დაშვებული შეცდომები მეტწილად ან ობიექტურად გამონვეულია მომჩივნის თუ სასამართლოების მიერ.
- რაც შეეხება მესამე კრიტერიუმს, რომელიც უკავშირდება „გადაჭარბებულ ფორმალობას“, დიდმა პალატამ განაცხადა, რომ საქმეში ერთმანეთს უპირისპირდებოდა ორი სამართლებრივი სიკეთე. ერთი მხრივ, სამოქალაქო პროცედურული წესების დაცვა „მნიშვნელოვანია და აუცილებელია, ვინაიდან მას შეუძლია დისკრეციის შეზღუდვა, მხარეთა თანასწორობის უზრუნველყოფა, თვითნებობის პრევენცია, გონივრულ ვადაში დავის ეფექტიანი გადაწყვეტის უზრუნველყოფა, სამართლებრივი სიცხადისა და სასამართლოს პატივისცემის დაცვა“. მეორე მხრივ, სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტული სამართლით „კარგად არის დადგენილი“, რომ „გადაჭარბებული ფორმალობა“ შესაძლოა ეწინააღმდეგებოდეს კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნას და უზრუნველყოფილ იქნეს სასამართლოს ხელმისაწვდომობის პრაქტიკული და ეფექტიანი უფლება. დიდმა პალატამ მიიჩნია, რომ „სამართლებრივი განჭვრეტადობა“ და „მართლმსაჯულების სათანადოდ განხორციელება“ ორი ცენტრალური ელემენტი იყო, რომელიც ერთმანეთისგან ასხვავებდა გადაჭარბებულ ფორმალობასა და დასაშვებ პროცედურულ მოთხოვნას; ამდენად, სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლება დაირღვევა, როდესაც პროცედურული წესები არ ემსახურება სამართლებრივი განჭვრეტადობისა და მართლმსაჯულების სათანადოდ განხორციელების ლეგიტიმურ მიზანს და წარმოადგენს ერთგვარ ბარიერს, რომელიც მოსარჩელეს ხელს უშლის მისი საქმე განიხილოს კომპეტენტურმა სასამართლომ.

საბოლოოდ, დიდმა პალატამ ზემოხსენებული პრინციპები მიუსადაგა საქმის ფაქტობრივ გარემოებებს და დაასკვნა, რომ კონვენციის მე-6 მუხლი არ დარღვეულა. სახელმწიფო სარგებლობდა შეფასების ფართო ფარგლებით იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ გამოეყენებინა პროცედურული წესები კონკრეტულ საქმეში: მომჩივნის საქმე განხილული იქნა ორი ინსტანციის სასამართლოს მიერ, რომლებიც სარგებლობდნენ სრული იურისდიქციით, საქმეში არ წამოჭრილა სამართლიანობასთან დაკავშირებული საკითხი და უზენაესი სასამართლოს როლი შეზღუდული იყო სამართლებრივი საკითხების განხილვით. უზენაესი სა-

სამართლოს გადაწყვეტილება არ იყო არაპროპორციული: უზენაესი სასამართლოს ხელმისაწვდომობა სამართლებრივად რეგულირებული იყო განჭვრეტადი ფორმით; დაშვებული შეცდომები უმეტესად და ობიექტურად განპირობებული იყო მომჩივნის ქმედებებით, რომელმაც იწვინა ამ შეცდომების უარყოფითი შედეგები; ამასთან, არ შეიძლებოდა იმის თქმა, რომ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც, მომჩივნის საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნა ცნობილი, წარმოადგენდა გადაჭარბებულ ფორმალობას, რომელიც მოიცავდა პროცედურული დანაწესის არაგონივრულ და განსაკუთრებით მკაცრ გამოყენებას, რამაც გაუმართლებლად შეზღუდა მომჩივნის სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლება.

გადაწყვეტილება საქმეზე *კურსუნი თურქეთის წინააღმდეგ*,⁷⁵ ეხებოდა ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში აფეთქების შედეგად მომჩივნის ქონების განადგურებას.

აფეთქების გამომწვევი მიზეზების დასადგენად და პასუხისმგებელი პირების გამოსავლენად რამდენიმე გამოძიება ჩატარდა. სხვადასხვა გამოძიების შედეგები არ იყო სრულად თანხვედრაში აფეთქებაზე პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით. სისხლისსამართლებრივი სამართალწარმოება დაიწყო Tupras-ის რამდენიმე აღმასრულებლის მიმართ, თუმცა ის შეწყდა ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო. მომჩივანმა Tupras-ის წინააღმდეგ სამოქალაქო სამართალწარმოება დაიწყო, თუმცა კომპენსაციის თაობაზე მისი მოთხოვნა საბოლოოდ საკასაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა, ვინაიდან არ იყო დაცული სარჩელის წარდგენისთვის გათვალისწინებული ერთწლიანი ვადის მოთხოვნა, რომელიც მოცემული იყო ვალდებულებების შესახებ კოდექსის მე-60 მუხლის 1-ელ ნაწილში. ამ დებულების მიხედვით, ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებული მოთხოვნა წარდგენილი უნდა ყოფილიყო ერთი წლის ვადაში იმ დღიდან, როდესაც დაზარალებულმა შეიტყო ზიანისა და მასზე პასუხისმგებელი პირის/დანესებულების შესახებ. საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, მიჩნეულ უნდა იქნეს, რომ მომჩივანმა აფეთქების დღესვე იცოდა, რომ მასზე პასუხისმგებელი Tupras იყო. შესაბამისად, მომჩივნის მოთხოვნა ხანდაზმული გახლდათ.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე მომჩივანი დავობდა, რომ მოცემულ საქმეში დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლი და 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლი.

სასამართლომ მე-6 მუხლის დარღვევა დაადგინა იმის გამო, თუ როგორ გამოიყენა საკასაციო სასამართლომ ხანდაზმულობის ვადა მომჩივნის სამოქალაქო სარჩელთან დაკავშირებით. სხვა საკითხებს შორის, სასამართლომ აღნიშნა, რომ მომჩივნის სარჩელზე უარის თქმამდე რამდენიმე თვით ადრე, საკასაციო სასამართლოს სხვა პალატამ განიხილა კომპენსაციის მოთხოვნა Tupras-ის წინააღმდეგ, რომელიც წარდგენილი იყო იმავე აფეთქების სხვა დაზარალებულების მიერ. აღნიშნულმა პალატამ საპროცესო ვადა დაზარალებულების სასარგებ-

⁷⁵ Kursun v. Turkey, საჩივარი N22677/10, 30 ოქტომბერი, 2018.

ლოდ განმარტა მიუხედავად იმისა, რომ მათ სარჩელი არ წარუდგენიათ აფეთქებიდან ერთი წლის ვადაში. სტრასბურგის სასამართლოსთვის ამ ორ საქმეზე გამოყენებული განსხვავებული მიდგომა მიუთითებდა იმაზე, რომ საკმარისად ცხადი არ იყო შესაბამისი საპროცესო ვადის განმარტება მოცემული საქმის კონტექსტში. უფრო მეტიც, მომჩივნის საქმის განხილველმა პალატამ არ წარმოადგინა მიზეზები, თუ რატომ გამოიყენა წინა გადაწყვეტილებებისგან განსხვავებული მიდგომა. განსაკუთრებით საინტერესოა ის ფაქტი, რომ სტრასბურგის სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ხანდაზმულობის ვადის განმარტებამ საქმის რელევანტური გარემოებების გათვალისწინების გარეშე შესაძლოა გაუმართლებლად შეზღუდოს სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლება. სასამართლომ 103-ე პარაგრაფში აღნიშნა, რომ:

„...საკასაციო სასამართლოს მიერ საპროცესო ვადის განმარტება და გამოყენება, იმ პირობებში, როდესაც მომჩივანს მოეთხოვებოდა სამართალწარმოების დაწყება იმ მომენტში, როდესაც მას რეალურად ვერ ექნებოდა საკმარისი ინფორმაცია ზიანის გამომწვევი მიზეზების ან მასზე პასუხისმგებელი პირების შესახებ, ძალიან ფორმალისტურია...“.

ზემოაღნიშნული ფაქტორების ერთობლიობამ სტრასბურგის სასამართლო მიიყვანა დასკვნამდე, რომ მომჩივანს უარი ეთქვა სასამართლოს ხელმისაწვდომობაზე, კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევით. სტრასბურგის სასამართლოს დასკვნას გავლენა ჰქონდა 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ელ მუხლთან დაკავშირებით წარმოდგენილ დასაბუთებაზე.

გონივრული ვადა

საქმეში *ნიკოლაე ვირგილიუ ტანასე რუმინეთის წინააღმდეგ [დიდი პალატა]*,⁷⁶ სასამართლომ განსაზღვრა სახელმწიფოს პროცედურული ვალდებულებები, რომელიც უკავშირდება იმგვარ საავტომობილო შემთხვევას, რის შედეგადაც პირი იღებს სიცოცხლისთვის საშიშ დაზიანებებს.

წინამდებარე საქმეში მომჩივანი საავტომობილო შემთხვევის მონაწილეა და მიიღო სიცოცხლისთვის საშიში დაზიანებები. მოცემულ ფაქტზე დაიწყო სისხლის სამართლის გამოძიება და შეჩერდა სამჯერ, ბოლო შემთხვევაში კი, ხანდაზმულობის გამო. აღნიშნულ სისხლის სამართალწარმოებაში მომჩივანი წარმოდგენდა სამოქალაქო მხარეს. ამ სისხლისსამართლებრივ პროცესებში სასამართლომ დაადგინა, რომ ხსენებულ საქმეზე ვრცელდებოდა მე-2 მუხლის ფარგლები, თუმცა მიიჩნია, რომ კონვენციის აღნიშნული დანაწესი არ დარღვეულა, აგრეთვე არ იკვეთებოდა მე-13 მუხლის მიხედვით გამოძიების ეფექტურობის შემოწმების საჭიროება და ამასთან, მისი შეფასებით, გამოძიების ხანგრძლივობას არც კონვენციის მე-6 მუხლით განსაზღვრული გონივრული ვადის მოთხოვნისთვის გადაუჭარბებია.

მოცემულ საქმეში, ეროვნული უწყებების მიერ ჩატარებული სისხლისსამარ-

⁷⁶ Nicolae Virgiliu Tănase v. Romania [GC], N 41720/13, 25 ივნისი, 2019.

თლებრივი გამოძიება ხარვეზიანად არ იქნა მიჩნეული. მაშასადამე, შეუძლებელი იყო იმგვარი დასკვნის გაკეთება, რომ მოცემულ საქმეში ეროვნულ დონეზე არსებულმა სამართლებრივმა სისტემამ ვერ შეძლო ადეკვატურად გამკლავებოდა მომჩივნის საქმეს. ამდენად, ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევას. ამ საქმეში საინტერესოა ასევე, ის გარემოება, რომ მას შემდეგ, რაც დადგინდა, რომ გამოძიების ხანგრძლივობას (რვა წელზე მეტი) არ უმოქმედია მის ეფექტიანობაზე (*მუსტაფა ტუნჩი და ფეცირ ტუნჩი თურქეთის წინააღმდეგ [დიდი პალატა]*⁷⁷), დიდმა პალატამ აღნიშნული ხანგრძლივობის საკითხი განცალკევებით – მე-6 მუხლით შეამოწმა (*ფრაიდლენდერი საფრანგეთის წინააღმდეგ [დიდი პალატა]*⁷⁸) და დაასკვნა, რომ აღნიშნული არ იწვევდა მოცემული დანაწესით განსაზღვრული გონივრული ვადის მოთხოვნის დარღვევას.

სამართალწარმოების სამართლიანობა

გადანყვეტილება საქმეზე *რამოს ნუნეს დე კარვალხოე სა პორტუგალიის წინააღმდეგ [დიდი პალატა]*,⁷⁹ ეხებოდა მოსამართლის წინააღმდეგ დისციპლინურ სამართალწარმოებას. დიდმა პალატამ განიხილა მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობის განმხილველი სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის საკითხი, საქმის განხილვის ფარგლები და საჯარო სხდომის არარსებობა.

წინამდებარე საქმე ეხება მომჩივნის მიმართ დანყებულ დისციპლინური სამართალწარმოების სამ ეპიზოდს, რამაც გამოიწვია მისთვის მოსამართლის უფლებამოსილების შეჩერება 240 დღის ვადით. ეს დისციპლინური სახდელი მომჩივანს დააკისრა იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ (CSM). უზენაესმა სასამართლომ განიხილა და ძალაში დატოვა მომჩივნის წინააღმდეგ მიღებული დისციპლინური გადაწყვეტილებები და სახდელები.

მომჩივანი დავობდა, რომ მოცემულ საქმეში დარღვეულ იქნა მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი. სტრასბურგის სასამართლოს დიდმა პალატამ დაადგინა, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობასთან დაკავშირებული საჩივარი დაუშვებელი იყო (დაცული არ იყო საჩივრის წარდგენის დრო), ხოლო კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების საფუძველზე წარდგენილი საჩივრები შეუსაბამო იყო *ratione materiae*. სტრასბურგის სასამართლოს დიდმა პალატამ დაადგინა, რომ კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი არ დარღვეულა უზენაესი სასამართლოს დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობასთან მიმართებით, თუმცა, სასამართლომ ამ დებულების დარღვევა დაადგინა იმ საფუძველით, რომ განხილვის ფარგლები არასაკმარისი იყო და მომჩივნის საქმეზე არ ჩატარებულა საჯარო მოსმენა.

წინამდებარე საქმე არ ეხება უფრო ხშირად განსახილველ შემთხვევებს, როდესაც სტრასბურგის სასამართლო აფასებს ეროვნული სასამართლოს მიერ ად-

⁷⁷ Mustafa Tunc and Fecire Tunc v. Turkey [GC], N 24014/05, § 225, 14 აპრილი, 2015.

⁷⁸ Frydlender v. France [GC], N 30979/96, § 43, ECHR 2000-VII.

⁷⁹ Ramos Nunes de Carvalho e Sa v. Portugal [GC], საჩივრები N55391/13 და 2 სხვა, 6 ნოემბერი, 2018.

მინისტრაციული დისკრეციის გამოყენების განხილვას სამართლის სპეციალიზებულ სფეროში (სოციალური კეთილდღეობა, დაგეგმარება და სხვ.), არამედ ის ეხება მოსამართლის მიმართ მიღებული დისციპლინური გადაწყვეტილების სასამართლო განხილვას. დიდი პალატის დასკვნა, რომ საქმის განმხილველი სამართლო დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი იყო მნიშვნელოვანია პორტუგალიის სამართლებრივი და კონსტიტუციური მოწყობისთვის. რამდენად საკმარისი იყო სასამართლო განხილვა, დიდმა პალატამ შეფასებისას გამოიყენა ბრაიანის საქმეზე დადგენილი კრიტერიუმები (ბრაიანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ⁸⁰), რათა აღენიშნა მოსამართლის როლი და სასამართლოს მნიშვნელობა დემოკრატიულ სახელმწიფოში.

(i) დიდმა პალატამ ცალკე განიხილა უზენაესი სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის ნაკლებობასთან დაკავშირებული საჩივარი და ამ კუთხით კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევა არ დაადგინა.

(ii) რაც შეეხება მე-6 მუხლის საფუძველზე წარდგენილ დანარჩენ ორ საჩივარს (სასამართლო განხილვის ფარგლები და საჯარო მოსმენის არარსებობა), დიდმა პალატამ, როგორც ზემოთ აღინიშნა, გამოიყენა ბრაიანის კრიტერიუმები მოსამართლეთა წინააღმდეგ დისციპლინური სამართალწარმოების სამართლებრივი განხილვის კონკრეტულ კონტექსტში.

ა) ბრაიანის პირველი კრიტერიუმი, რომ სამართლებრივი განხილვა უნდა შეესაბამებოდეს „დავის საგანს“ (მოცემულ საქმეში, დისციპლინურ გადაწყვეტილებას) – მიჩნეულ იქნა, რომ უფრო აქტიურად გამოიყენებოდა მოსამართლეთა წინააღმდეგ მსგავს სამართალწარმოებაზე, რომლებიც „უნდა სარგებლობდნენ პატივისცემით და აუცილებელია მათი ვალდებულებების შესასრულებლად“. დისციპლინური სამართალწარმოება დაკავშირებული იყო განსაკუთრებით სერიოზულ შედეგებთან მოსამართლეთა კარიერასა და ცხოვრებაზე: მოცემულ საქმეში არსებულ ბრალდებებს შეეძლო გამოეწვია მომჩივნის მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლება ან უფლებამოსილების შეჩერება; შესაბამისად, „ძალიან სერიოზული სახდელები, რომელიც დაკავშირებული იყო მნიშვნელოვან სტიგმასთან“. სახელმწიფო როდესაც იწყებს მსგავს დისციპლინურ სამართალწარმოებას, საფრთხის ქვეშაა საზოგადოების ნდობა სასამართლოს დამოუკიდებლობასა და ფუნქციონირებასთან მიმართებით; დემოკრატიულ საზოგადოებაში ეს ნდობა უზრუნველყოფს კანონის უზენაესობის არსებობას. გარდა ამისა, სტრასბურგის სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, ხელისუფლების დანაწილების პრინციპის მზარდი მნიშვნელობა და სასამართლოს დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის საჭიროება.

ბ) რაც შეეხება ბრაიანის მეორე კრიტერიუმს (იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წინაშე პროცედურულ გარანტიებს), დიდმა პალატამ დაადგინა, რომ ნამდვილად არსებობდა გარკვეული გარანტიები. თუმცა, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წინაშე საჯარო მოსმენის არარსებობა ნიშნავდა, რომ საბჭომ საკუთარი დისკრეციული უფლებამოსილება არ განახორციელა ადეკვატურ

⁸⁰ Bryan v. the United Kingdom, 22 ნოემბერი, 1995, Series A no. 335-A.

ფაქტობრივ საფუძველზე დაყრდნობით.

გ) ბრაიანის მესამე კრიტერიუმის მიხედვით (სამართალწარმოება სასამართლოს წინაშე), დიდმა პალატამ განიხილა ოთხი საკითხი: განხილვისთვის წარდგენილი საკითხები; გამოყენებული მეთოდები; სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება; და გადაწყვეტილების მიზეზები. დიდმა პალატამ ყურადღება გაამახვილა საჯარო მოსმენის არარსებობასთან დაკავშირებულ საჩივარზე; გადაწყვეტილება ამ კუთხით პრეცედენტული სამართლის მიმოხილვის ქრილში პედაგოგიურია (§§ 188, 190-91, 210). პრეცედენტული სამართალი ადასტურებს, რომ დისციპლინური სამართალწარმოების კონტექსტში, საჯარო მოსმენისგან გადახვევა გამონაკლისს უნდა წარმოადგენდეს და ის გამართლებული უნდა იყოს სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შუქზე. სადავო კომპლექსური სამართლებრივი და ფაქტობრივი საკითხების გათვალისწინებით, საქმე არ უნდა განხილულიყო მხოლოდ ფურცლებზე, დიდმა პალატამ კიდევ ერთხელ აღნიშნა მოსამართლეთა როლისა და სასამართლოს მნიშვნელობა და სპეციფიკა.

დიდმა პალატამ დაასკვნა შემდეგი:

„214. წინამდებარე საქმის გარემოებებში სასამართლომ გაითვალისწინა მოსამართლის წინააღმდეგ დისციპლინური სამართალწარმოების სპეციფიკური კონტექსტი, სასჯელის სერიოზულობა, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წინაშე პროცედურული გარანტიების შეზღუდული ბუნება, საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და მონმეების შეფასების საჭიროება. სასამართლომ მიიჩნია, ის ფაქტი, რომ უზენაესი სასამართლოს განხილვის ფარგლები არასაკმარისი იყო და საქმეზე არც დისციპლინური სამართალწარმოების დროს და არც სასამართლოს წინაშე არ ჩატარებულა ზეპირი მოსმენა, ნიშნავდა იმას, რომ მომჩივნის საქმე არ იქნა განხილული კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით“.

დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლო

გადაწყვეტილება საქმეზე *რამოს ნუნეს დე კარვალიო ე სა პორტუგალიის წინააღმდეგ [დიდი პალატა]*,⁸¹ სხვა საკითხებთან ერთად, ეხებოდა მოსამართლის წინააღმდეგ დისციპლინური სამართალწარმოების დროს სასამართლო ორგანოს დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობას.

აღსანიშნავია, რომ მოცემული საქმის ერთ-ერთ ასპექტს წარმოადგენდა ის, რომ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები, მათ კარიერასა და დისციპლინურ საკითხთან დაკავშირებით, ექვემდებარებოდნენ იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, რაც როგორც საქმეზე *ოლექსანდრ ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ* დადგინდა სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის თვალსაზრისით პრობლემას წარმოადგენდა. მიუხედავად ამისა, დიდმა პალატამ წინამდებარე საქმე განასხვავა *ვოლკოვის* საქმისგან, ვინაიდან პორტუგალიის დისციპლინური ორ-

⁸¹ Ramos Nunes de Carvalho e Sa v. Portugal [GC], საჩივრები N55391/13 და 2 სხვა, 6 ნოემბერი, 2018.

განო არ ავლენდა სერიოზულ სტრუქტურულ პრობლემებსა და მიკერძოებას, განსხვავებით უკრაინის იუსტიციის უმაღლესი საბჭოსგან (ეს დასაბუთება და-დასტურდა საქმეზე *დენისოვი უკრაინის წინააღმდეგ*⁸²). საინტერესოა, რომ სხვა სამართლებრივი სისტემების გადმოსახედიდან, დიდმა პალატამ აღნიშნა შემდეგი:

„163. ...უფრო ზოგადი თვალსაზრისით, სასამართლო ნორმალურად მიიჩნევს, რომ მოსამართლეებმა, მათი სამოსამართლო მოვალეობის შესრულების დროს და სხვადასხვა კონტექსტში განიხილონ სხვადასხვა საქმეები იმ ცოდნით, რომ მათი კარიერის განსაზღვრულ დროს, შეიძლება იმყოფებოდნენ იმავე პოზიციაში, რომელშიც საქმის მხარეები, მათ შორის მოპასუხე იმყოფება. თუმცა, ამის წმინდად აბსტრაქტული რისკი ვერ მიიჩნევა, რომ წარმოშობს მოსამართლის მიუკერძოებლობის საკითხს, როდესაც არ არსებობს კონკრეტული გარემოებები, რომლებიც დაკავშირებულია მის ინდივიდუალურ სიტუაციასთან. დისციპლინური საქმეების წრილშიც კი, ამ ხასიათის თეორიული რისკი, რომელიც მოიცავს იმ ფაქტს, რომ საქმის განმხილველი მოსამართლეები თავადაც ექვემდებარებიან დისციპლინურ წესებს, თავისთავად არ წარმოადგენს საკმარის საფუძველს მიუკერძოებლობის მოთხოვნების დარღვევის დასადგენად“.

შესაბამისად, და იმის გათვალისწინებით, რომ არსებობდა კონკრეტული გარანტიები უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა გარეგანი ზენოლისგან დასაცავად, მომჩივნის შიშები სასამართლოს მხრიდან დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის ნაკლებობასთან დაკავშირებით, მიჩნეულ იქნა, რომ არ იყო ობიექტურად გამართლებული.

უდანაშაულობის პრეზუმფცია (მუხლი 6 §2)

გადაწყვეტილება საქმეზე *G.I.E.M. S.r.l. და სხვები იტალიის წინააღმდეგ*,⁸³ ეხებოდა ქონების ჩამორთმევას.

მომჩივნები იყვნენ იტალიის კანონმდებლობის საფუძველზე დაფუძნებული კომპანია და იტალიის მოქალაქე, ბ-ნი გირონდა. სასამართლომ მათ წინააღმდეგ გამოსცა ბრძანება, რომლითაც ჩამოერთვათ მიწა და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები იმ საფუძველით, რომ უკანონოდ იყო აშენებული. თუმცა, *G.I.E.M. S.r.l.* კომპანიის დირექტორების წინააღმდეგ არ დანყებულა სისხლის სამართლის საქმის წარმოება; აგრეთვე, მიუხედავად იმისა, რომ ბ-ნი გირონდა ბრალდებული იყო სისხლის სამართლის საქმეზე, სამართალწარმოება შეწყდა ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო. ბ-ნი გირონდა დავობდა, რომ დაერღვა კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი ვინაიდან, მას ქონება ჩამოერთვა სისხლისსამართლებრივი მსჯავრდების გარეშე.

დიდმა პალატამ ბ-ნი გირონდასთან მიმართებით მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის დარღვევა დაადგინა.

მიუხედავად იმისა, რომ ბ-ნი გირონდას წინააღმდეგ სამართალწარმოება შენ-

⁸² Denisov v. Ukraine [GC], საჩივარი N76639/11, §§ 68-72, 25 სექტემბერი, 2018.

⁸³ საჩივარი N1828/06 და 2 სხვა, 28 ივნისი, 2018.

ყა, საკასაციო სასამართლომ დაადასტურა, რომ სახეზე იყო უკანონო განაშენიანების ყველა ელემენტი. კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი იცავს პირებს, რომლებიც გამართლდნენ სისხლისსამართლებრივ ბრალდებაში ან რომელთა მიმართაც შეწყდა სისხლის სამართლის საქმის წარმოება, თანამდებობის მქონე პირებისაგან იმგვარად მოხსენიებისგან, თითქოს ისინი წარდგენილ ბრალდებაში დამნაშავეები არიან (ალენი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ⁸⁴). შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მიერ დანაშაულის გამოცხადება, როდესაც სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყვეტილი იყო ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო, არღვევდა ბ-ნი გირონდას უდანაშაულობის პრეზუმფციას და კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტს. საინტერესოა, რომ საკასაციო სასამართლოს მიერ მომჩივნების ბრალეულობაზე მითითებამ არ გამოიწვია, კანონიერების პრინციპის დარღვევა, კონვენციის მე-7 მუხლის საფუძველზე.

დაცვის უფლებები (მუხლი 6 § 3)

დაცვა სამართლებრივი წარმომადგენლობის გზით

გადანყვეტილება საქმეზე *კორეია დე მატოსი პორტუგალიის წინააღმდეგ*,⁸⁵ ეხებოდა იმ პირის მიერ საკუთარი თავის წარმომადგენლობის უფლებას, რომელსაც მიღებული ჰქონდა იურიდიული განათლება და ამ საკითხთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის (HRC) განსხვავებულ პოზიციებს.

მომჩივანს, განათლებით იურისტს, 1998 წელს მოსამართლის შეურაცხყოფისთვის მსჯავრი დაედო. პორტუგალიის კანონმდებლობის თანახმად, სავალდებულოა, რომ ბრალდებული (სისხლისსამართლებრივ სამართალწარმოებაში) წარმოდგენილი იყოს ადვოკატის მიერ, მიუხედავად მისი იურიდიული განათლებისა (მომჩივანს, პროფესიით იურისტს, შეჩერებული ჰქონდა ადვოკატთა ასოციაციაში ჩარიცხვის უფლება). კონვენციის მე-6 მუხლის 1-ელ პუნქტსა და მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტზე დაყრდნობით, მან მიმართა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს და ასაჩივრებდა, რომ არ ჰქონდა საკუთარი თავის წარმომადგენლობის უფლება და მას დაენიშნა ადვოკატი მისი ნების საწინააღმდეგოდ. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ საჩივარი დაუშვებელი იყო, როგორც ამკარად დაუსაბუთებელი. მომჩივანმა, იმავე ფაქტებზე დაყრდნობით, საჩივრით მიმართა გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს, რომელმაც დაადგინა, რომ დაირღვა *სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის*⁸⁶ მე-14 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი. აღნიშნული დასკვნა გამეორდა საბჭოს No. 32 ზოგად კომენტარსა (2007 წლის 23 აგვისტო, UN Doc. CCPR/C/GC/32, 37-ე პარაგრაფი) და პორტუგალიის მე-4 პერიოდული ანგარიშის შემაჯამებელ დასკვნებში (2012

⁸⁴ Allen v. the United Kingdom[GC], საჩივარი N25424/09, § 127, ECHR 2013.

⁸⁵ Correia de Matos v. Portugal [GC], no. 56402/12, 4 April 2018.

⁸⁶ International Covenant on Civil and Political Rights (ICCPR), 16 დეკემბერი, 1966.

წლის 23 ნოემბერი, UN Doc. CCPR/C/PRT/CO/4, მე-14 პარაგრაფი). ამ უკანასკნელ შემთხვევაში დასკვნაში მოცემული რეკომენდაციის მიხედვით, სავალდებულო წარმომადგენლობის შესახებ დათქმა ნაკლებად მკაცრი უნდა ყოფილიყო. პორტუგალიის კანონმდებლობა არ შეცვლილა.

წინამდებარე საჩივარი ეხება იმავე ფაქტებსა და საჩივრებს. მომჩივანი კვლავ დამნაშავედ იქნა ცნობილი მოსამართლის შეურაცხყოფისათვის, მას უარი ეთქვა სამართალწარმოებაში საკუთარი თავის წარმომადგენლობაზე და მის ინტერესებს იცავდა დანიშნული ადვოკატი. კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტზე დაყრდნობით, მომჩივანი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე დავობდა, რომ მიუხედავად იურიდიული განათლებებისა, მას არ მიეცა საკუთარი თავის წარმომადგენლობის უფლება. სტრასბურგის სასამართლოს დიდმა პალატამ დაადგინა, რომ მოცემულ საქმეში კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი და მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი არ დარღვეულა.

გადანყვეტილება აღსანიშნავია ორი თვალსაზრისით. პირველი, ის ადასტურებს სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს სისხლისსამართლებრივ სამართალწარმოებაში პირის წარმომადგენლობის უფლების ფარგლებთან დაკავშირებით. მეორე, გადანყვეტილებაში განმარტებულია, თუ რის საფუძველზე ინარჩუნებს სტრასბურგის სასამართლო იმავე პოზიციას, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო და საერთაშორისო პრაქტიკა სხვა მიმართულებით განვითარდა.

(i) გადანყვეტილება შეიცავს სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ყოველმხრივ მიმოხილვას მე-6 მუხლის მიხედვით, სისხლისსამართლებრივ სამართალწარმოებაში სავალდებულო იურიდიულ წარმომადგენლობასთან დაკავშირებით. დიდმა პალატამ აღნიშნა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით გადანყვეტილების მიღება ექცევა სახელმწიფოთა თავისუფალი შეფასების ფარგლებში. სახელმწიფოები, სასამართლოსთან შედარებით, უკეთეს პოზიციაში იმყოფებიან, აირჩიონ სათანადო საშუალებები, რომელთა მეშვეობითაც სასამართლო სისტემებში უზრუნველყოფილი იქნება დაცვის უფლებები. დიდმა პალატამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტით უზრუნველყოფილი უფლებების მიზანია, ხელი შეუწყონ მთლიანობაში სამართალწარმოების სამართლიანობის უზრუნველყოფას (იბრაჰიმი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ⁸⁷). ამრიგად, კორეია და მატოს საქმეში შეჯამდა ტესტი, რომლის მიხედვითაც განიხილება სისხლისსამართლებრივ სამართალწარმოებაში სავალდებულო იურიდიული წარმომადგენლობის შესაბამისობა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ელ პუნქტსა და მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტთან:

„143. ...გამოყენებულ უნდა იქნას შემდეგი პრინციპები: ა) კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი და მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი აუცილებლად არ უზრუნველყოფს ბრალდებულის უფლებას, თავად გადანყვიტოს თუ რა ფორმით განხორციელდეს მისი დაცვა; ბ) ამ დებულებაში მოცემული ორი ალტერნატივიდან (დაიცვას თავი პირადად ან მის მიერ არჩეული დამცველის ან გარკვეულ შემთხვევაში, სასამართლოს მიერ დანიშნული ადვოკატის მეშვეობით) თუ რომელი უნდა იყოს გამოყენებული, პრინციპში, დამოკიდებულია

⁸⁷ Ibrahim and Others v. the United Kingdom [GC], nos. 50541/08 და 3 სხვა, § 251, 13 სექტემბერი, 2016.

გამოყენებად ეროვნულ სამართალზე ან სასამართლოს წესებზე; გ) ამ არჩევანთან მიმართებით კონვენციის ხელშემკვერელი სახელმწიფოები სარგებლობენ შეფასების ფარგლებით, თუმცა ეს ფარგლები არ არის შეუზღუდავი. ამ პრინციპების გათვალისწინებით, პირველ რიგში, სტრასბურგის სასამართლომ უნდა შეაფასოს, წარმოდგენილი იყო თუ არა შესაბამისი და საკმარისი მიზეზები, თუ რატომ დაუნიშნეს მომჩივანს ადვოკატი. მეორე, მაშინაც კი, თუ მოცემული იყო შესაბამისი და საკმარისი საფუძვლები, კვლავ საჭიროა განხილულ იქნას, ეროვნულმა სასამართლოებმა, როდესაც გამოიყენეს სადავო ნორმა, შესაბამისად და სათანადოდ დაასაბუთეს თუ არა თავიანთი გადაწყვეტილებები. ამ უკანასკნელ საკითხთან დაკავშირებით რელევანტურია შეფასდეს, მიეცა თუ არა ბრალდებულს სამართალწარმოებაში ეფექტიანად მონაწილეობის შესაძლებლობა“.

დიდმა პალატამ წინამდებარე საქმის ფაქტებთან მიმართებით ზემოხსენებული ტესტი გამოიყენა. სტრასბურგის სასამართლომ გაითვალისწინა საქმის პროცედურული კონტექსტი (კერძოდ, ბრალდებულისთვის ღია რჩებოდა სამართალწარმოებაში პირადად ჩართვის შესაძლებლობა), აგრეთვე სახელმწიფოებისთვის მიკუთვნებული შეფასების ფარგლები და მიიჩნია, რომ მომჩივნისთვის ადვოკატის დანიშვნის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების საფუძვლები შესაბამისი და საკმარისი იყო. აქედან გამომდინარე, ვინაიდან არ არსებობდა საფუძველი, რომელზე დაყრდნობითაც მომჩივნის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი სამართალწარმოება არასამართლიანად იქნებოდა მიჩნეული, სტრასბურგის სასამართლოს დიდმა პალატამ დაადგინა, რომ კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი და მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი არ დარღვეულა.

(ii) მეორე, სახელმწიფოს თავისუფალი შეფასების ფარგლების შემზღუდავი ფაქტორების განხილვის დროს, დიდმა პალატამ გაითვალისწინა სახელმწიფო პრაქტიკა, ისევე როგორც საერთაშორისო და ევროკავშირის სამართლის განვითარება.

საინტერესოა, აღინიშნოს, რომ შესწავლილი სახელმწიფო და საერთაშორისო პრაქტიკა არ იხრებოდა სავალდებულო იურიდიული დაცვის სასარგებლოდ. პირველ ყოვლისა, სტრასბურგის სასამართლოს შედარებითი კვლევა აჩვენებდა სახელმწიფოებს შორის ტენდენციას, რომ ელიარებიან ბრალდებულის უფლება, დაეცვათ საკუთარი თავი პირადად, რეგისტრირებული ადვოკატის დახმარების გარეშე (შესწავლილი ოცდათხუთმეტი ქვეყნიდან, ოცდათერთმეტში ზოგადი წესის სახით დადგენილი იყო საკუთარი თავის დაცვის უფლება, ხოლო ოთხი სახელმწიფო ზოგადი წესის სახით კრძალავდა საკუთარი თავის წარმომადგენლობას). მეორე, ერთმანეთისგან განსხვავდებოდა სტრასბურგის სასამართლოსა და ადამიანის უფლებათა საბჭოს პრაქტიკა. იმავდროულად, დიდმა პალატამ აღნიშნა, რომ კონვენცია შეძლებისდაგვარად განმარტებული უნდა იყოს საერთაშორისო სამართლის სხვა წესების შესაბამისად; დიდმა პალატამ განაცხადა, რომ კონვენციის განმარტების დროს, სასამართლომ არაერთ საქმეზე გაითვალისწინა ადამიანის უფლებათა საბჭოს მოსაზრებები და მათ მიერ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის განმარტება. დიდმა პალატამ აღნიშნა, რომ კონვენციისა და პაქტის დებულებები თითქმის იდენტური იყო. მესამე, ევროპის კავშირის ფუნდამენტური უფლებების შესახებ ქარტიის დებულებები, მისი განმარტებითი ბარათი და 2013.48/eu დირექტივა მიუთითებდა, რომ ქარტიის შესაბამისი დებულებები შეესაბამებოდა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის 1-ელ პუნქტს, მე-2 და მე-3 პუნქტებს.

დირექტივა თითოეულ წევრ სახელმწიფოს უტოვებდა შესაძლებლობას, თავად აერჩია, გამოიყენებდა თუ არა სავალდებულო იურიდიული ნარმომადგენლობის სისტემას.

მიუხედავად ამისა, დიდმა პალატამ სახელმწიფო და საერთაშორისო პრაქტიკა განმსაზღვრელად არ მიიჩნია. დიდი პალატა დაეყრდნო, სტრასბურგის სასამართლოს კარგად დამკვიდრებული პრეცედენტული სამართლით, სახელმწიფოებისთვის მიკუთვნებულ არჩევანის თავისუფლებას, უზრუნველყოთ, რომ მათი სასამართლო სისტემები შეესაბამებოდა კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გარანტირებულ მოთხოვნებს. ასევე, დიდი პალატა დაეყრდნო იმ ფაქტს, რომ აღნიშნული დებულების მიზანი იყო მთლიანობაში სისხლისსამართლებრივი სამართალწარმოების სამართლიანობა. თუმცა, სასამართლომ შენიშნა, რომ სისხლისსამართლებრივ სამართალწარმოებაში პირის მიერ საკუთარი თავის დაცვის უფლების აბსოლუტური აკრძალვა გარკვეულ გარემოებებში, შეიძლება გადაჭარბებული იყოს. სასამართლომ აგრეთვე აღნიშნა, რომ მართალია, კონვენციის ხელშემკვრელ სახელმწიფოებს შორის არსებობდა „ტენდენცია“ იმისა, რომ ელიარებიანთ ბრალდებულის უფლება, რეგისტრირებული ადვოკატის დახმარების გარეშე, დაეცვათ საკუთარი თავი სასამართლოს წინაშე, თუმცა ამ საკითხთან დაკავშირებით არ არსებობდა კონსენსუსი და ის ეროვნული კანონმდებლობებიც კი, რომლებიც უზრუნველყოფდნენ ამ უფლებას, მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა, თუ როდის და როგორ შეიძლებოდა ამ უფლების განხორციელება.

ადეკვატური დრო და შესაძლებლობები მისი დაცვის მოსამზადებლად (მუხლი 6 §3 (ბ))

საქმე *სიგუროურ ეინარსონი და სხვები ისლანდიის წინააღმდეგ*,⁸⁸ ეხებოდა სიტუაციას, სადაც დაცვის მხარეს შეეზღუდა წვდომა მონაცემთა გარკვეულ მოცულობაზე და ასევე, არ მიეცა შესაძლებლობა, ჩართული ყოფილიყო პროკურატურის მიერ ამ მონაცემთა ელექტრონული ფილტრაციის პროცესში მათ შინ, როდესაც ეს უკანასკნელი აგროვებდა გამოძიებისთვის რელევანტურ ინფორმაციას.

მომჩივნები იკავებდნენ მალალ თანამდებობებს ბანკში, რომელმაც ისლანდიაში 2008 წლის საბანკო კრიზისის დროს კოლაფსი განიცადა. მათ ბრალი წაუყენეს ფიდუციური ვალდებულების დარღვევასა და ბაზრის მანიპულირებაში და დამნაშეველად ცნეს. სამართალწარმოებაში მათ იურიდიულ ნარმომადგენელს მიეცა წვდომა საგამოძიებო საქმეში არსებულ დოკუმენტებზე, აგრეთვე სასამართლო პროცესზე წარდგენილ მასალაზე. მიუხედავად ამისა, მომჩივნები დავობდნენ, რომ დაცვის მხარეს არ მიეცა წვდომა პროკურატურის მიერ განურჩევლად შეგროვებულ მონაცემთა დიდ მოცულობაზე, რომელიც საგამოძიებო საქმეში არ იყო ასახული. მათ ძირითად ნაწილს შეადგენდა Clearwell e-Discovery-

⁸⁸ Sigurour Einarsson and Others v. Iceland, N 39757/15, 4 ივნისი, 2019.

ის საძიებო სისტემის გამოყენებით „მონიშნული“ კონკრეტული კატეგორიის მონაცემები. მეტიც, ისინი ხაზს უსვამდნენ, რომ დაცვის მხარისთვის შეუძლებელი იყო, ჩარეულიყო პროკურატურის მიერ ამ მონაცემთა ელექტრონული ფილტრაციის პროცესში და აგრეთვე, მათ არ მიეცათ შესაძლებლობა, გამოეყენებინათ ქლემარველის საძიებო სისტემა, მტკიცებულების მოსაძიებლად, რომელიც პოტენციურად შესაძლოა, გადამწყვეტი მნიშვნელობის ყოფილიყო.

გადამწყვეტილება საყურადღებოა სამი ასპექტის თვალსაზრისით.

პირველი, ის განმარტავს იმ უფლების არსს, რომელიც გულისხმობს დაცვის მოსამზადებლად ადეკვატური შესაძლებლობების ქონას, როდესაც საქმე ეხება პროკურატორის მიერ შეგროვებულ, დიდი მოცულობის დაუმუშავებულ მასალას. სასამართლოსთვის სადავო მონაცემები უფრო მეტად ისეთი მტკიცებულებების მსგავსია, რომელიც შესაძლოა არსებობდა, თუმცა მათი შეგროვება პროკურატურამ ვერ მოახერხა, ვიდრე ისეთი მტკიცებულების, რომლის შესახებაც პროკურატურამ იცოდა, მაგრამ დაცვის მხარეს განზრახ არ აცნობა. ვინაიდან პროკურატურას არ ჰქონდა ინფორმაცია მონაცემთა ძირითადი ნაწილის შინაარსის შესახებ და ამ კუთხით დაცვის მხარესთან შედარებით არ ფლობდა რაიმე უპირატესობას, ამგვარ მონაცემებზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვა არ წარმოადგენდა მტკიცებულების დამალვას ან მის „გაუცხადებლობას“ კლასიკური გაგებით.

მეორე მხრივ, პროკურატურის მიერ ამ მასალის ფილტრაციასა და დამუშავებასთან დაკავშირებით, სასამართლომ კონკრეტულად განსაზღვრა იმ პროცედურულ გარანტიათა ბუნება, რომლებიც სახეზე უნდა იყოს დაცვის მხარისთვის რელევანტური ინფორმაციის დამალვის პრევენციის მიზნით. [ადამიანის უფლებათა ევროპულმა] სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ იმის გადასაწყვეტად, უნდა ყოფილიყო თუ არა მონაცემებზე ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილი, მნიშვნელოვან გარანტიას წარმოადგენდა სასამართლოს მიერ აღნიშნულის შემომხების შესაძლებლობა. აგრეთვე, ფილტრაციის პროცესის მნიშვნელოვანი დაცვითი მექანიზმი იქნებოდა დაცვის მხარის მონაწილეობის უზრუნველყოფა იმ კრიტერიუმების განსაზღვრაში, რომლებიც მასალის საქმესთან რელევანტურობას დაადგენდა. კერძოდ, რაც შეეხება ამგვარი ფილტრაციის შედეგებზე, მაგალითად, მოცემულ საქმეში სადავო, ე.წ. „მონიშნულ“ მონაცემებზე წვდომას, სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ ადეკვატური იქნებოდა, რომ დაცვის მხარეს მისცემოდა შესაძლებლობა პოტენციურად გამამართლებელი მტკიცებულების მოსაპოვებლად ძიება ჩატარებინა და აღნიშნულის აკრძალვა დაცვის მხარისთვის პრინციპში მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის პარაგრაფის მიხედვით სადავო საკითხს წამოჭრიდა.

საბოლოოდ კი, საინტერესო საკითხს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ სასამართლომ მთლიანობაში, სადავო სამართალწარმოების სამართლიანობის შეფასებისას შემდეგი ფაქტორები მიიღო მხედველობაში:

- მიუთითეს თუ არა მომჩივნებმა რაიმე კონკრეტულ საკითხზე, რომელიც შესაძლოა შემდგომი ძიების ჩატარების შედეგად დაზუსტებულიყო.
- ფორმალურად მოითხოვეს თუ არა მომჩივნებმა სასამართლო ორდერის (გან-

ჩინების) გამოცემა, რომელიც საშუალებას მისცემდათ, ნვდომა ჰქონოდათ პროკურატურის მიერ შეგროვებულ მოცულობით მასალაზე ან ჩაეტარებინათ დამატებითი საძიებო ღონისძიებები.

- მოიაზრებდნენ თუ არა შემდგომი საგამოძიებო ღონისძიებების ჩატარებას – ისეთის, როგორიცაა მაგალითად, სრულიად ახალი ძიება სპეციფიკური საკვანძო სიტყვების გამოყენებით.

მოცემულ საქმეში, სასამართლომ მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტისა და მე-3 პუნქტის ქვეპუნქტის დარღვევა არ დაადგინა იმიტომ, რომ სადავო მონაცემებზე ხელმისაწვდომობის ნაკლებობა არ იყო იმგვარი, რომ მომჩივნებს ვერ ესარგებლათ სამართლიანი სასამართლოს უფლებით. დარღვევის დადგენა შეუძლებელი იყო, ვინაიდან მათ ვერ მოახერხეს, კონკრეტულად მიეთითებინა იმ მტკიცებულების ტიპზე, რის მოპოვებასაც ცდილობდნენ და რაც უფრო მნიშვნელოვანია, მათთვის სრულიად შესაძლებელი იყო, მოეთხოვათ აღნიშნულის სასამართლოს მიერ შემოწმება.

სსკპა უფლებები სისხლის სამართლის სამართალწარმოების
მიმართულებით

**პირის უფლება არ იქნეს გასამართლებული და დასჯილი ორჯერ
(მე-7 დამატებითი ოქმი – მუხლი 4)**

საქმეში *მიჰალაჩე რუმინეთის წინააღმდეგ*,⁸⁹ სასამართლომ ჩამოაყალიბა კრიტერიუმები, რომლებიც განსაზღვრავენ სასამართლოს განაჩენი წარმოადგენს „გამართლებას“ თუ „მსჯავრდებას“ და არის თუ არა ის „საბოლოო“.

პროკურატურამ შეწყვიტა სისხლის სამართალწარმოება მომჩივნის წინააღმდეგ მას შემდეგ, რაც მან უარი თქვა ჩაეტარებინა ბიოლოგიური ტესტი მის სისხლში ალკოჰოლის დონის დასადგენად და მას ადმინისტრაციული ჯარიმა დააკისრა. მომჩივანმა სადავოდ არ გახადა აღნიშნული გადაწყვეტილება ეროვნული სამართლით განსაზღვრულ, გასაჩივრების ოცდღიანი ვადის ფარგლებში და ჯარიმა გადაიხადა. რამდენიმე თვის შემდეგ, იმ მოტივით, რომ ადმინისტრაციული ჯარიმა იყო შეუსაბამო, ზემდგომმა საპროკურორო ორგანომ გადაწყვეტილება გააუქმა, მომჩივანი დაიბარეს სასამართლოში და მიუსაჯეს ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა.

მომჩივანი სტრასბურგის სასამართლოს წინაშე სამართალწარმოების პროცესში დავობდა, რომ ის ერთი და იმავე დანაშაულისთვის ორჯერ გაასამართლეს და სასჯელიც ორჯერ მიუსაჯეს, რაც არღვევდა კონვენციის მე-7 დამატებითი ოქმის მე-4 მუხლს. მისი შეფასებით, კონვენციის მე-4 მუხლის მე-2 ქვეპუნქტში ჩამოყალიბებულ კრიტერიუმებთან შეუსაბამო იყო ასევე მის მიმართ სამართალწარმოების განახლება. სასამართლოს დიდმა პალატამ მე-7 დამატებითი ოქმის მე-4 მუხლის დარღვევა დაადგინა.

გადაწყვეტილება საყურადღებოა ოთხი ასპექტის მიმართულებით.

(i) სასამართლომ პირველად განმარტა მე-7 დამატებითი ოქმის მე-4 მუხლში გამოყენებული ტერმინის – „გამართლებული ან მსჯავრდებული“ ფარგლები და ამ კუთხით ზოგადი კრიტერიუმები ჩამოაყალიბა.

უპირველეს ყოვლისა, იურიდიული ჩარევა არაა საჭირო იმისათვის, რომ განაჩენი მიჩნეულ იქნეს „გამართლებად“ ან „მსჯავრდებად“. აღსანიშნავია, რომ კონვენციის მე-7 დამატებითი ოქმის მე-4 მუხლის ფრანგული ვერსია მიუთითებს, რომ შესაბამისი პირი უნდა იყოს „გამართლებული ან მსჯავრდებული განაჩენის საფუძველზე“, ხოლო ინგლისური ვერსიის თანახმად, საჭიროა, პირი იყოს „საბოლოოდ გამართლებული ან მსჯავრდებული“. სასამართლოს დაკვირვებით, ის, რაც ნებისმიერ საქმეში მთავარია, გადაწყვეტილება მიღებული იყოს შესაბამის იურიდიულ სისტემაში მართლმსაჯულების განხორციელებაში მონაწილე სახელმწიფო ორგანოს მიერ, რომელსაც ეროვნული კანონმდებლობის საფუძველზე აქვს კომპეტენცია, განსაზღვროს შესაბამისი სასჯელი და დასაჯოს ბრალდებული უკანონო ქმედებისთვის. ის ფაქტი, რომ გადაწყვეტილება არ

⁸⁹ Mihalache v. Romania [GC], no. 54012/10, 8 ივლისი, 2019.

იღებს განაჩენის ფორმას, ვერ დააყენებს ბრალდებულის გამართლების ან მსჯავრდების საკითხს, რადგან ამგვარი პროცედურული და ფორმალური ასპექტი ვერ იქონიებს გავლენას გადაწყვეტილებაზე.

მეორე მხრივ, იმის გადასაწყვეტად კონკრეტული გადაწყვეტილება წარმოადგენს „გამართლებას“ თუ „მსჯავრდებას“, სასამართლო ითვალისწინებს გადაწყვეტილების რეალურ შინაარსს და აფასებს მის გავლენას მომჩივნის მდგომარეობაზე, კერძოდ მოხდა თუ არა მისთვის „სისხლისსამართლებრივი“ პასუხისმგებლობის დაკისრება ეროვნული სამართლით განსაზღვრული, გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების მქონე ორგანოს მიერ საქმის გარემოებათა შეფასების შედეგად. საქმის არსებით სამართლებრივი ასპექტების გადაწყვეტა [ადამიანის უფლებათა ევროპული] სასამართლოს მიერ, დამოკიდებული იქნება სამართალწარმოების განვითარებაზე. ამ კუთხით, სასამართლომ შესაძლოა მხედველობაში მიიღოს შემდეგი ფაქტორები:

- იყო თუ არა სისხლისსამართლებრივი გამოძიება დაწყებული მას შემდეგ, რაც ბრალი წაყენა შესაბამის პირს;
- დაიკითხა თუ არა დაზარალებული;
- მოხდა თუ არა მტკიცებულებათა შეგროვება და შემოწმება კომპეტენტური ორგანოს მიერ;
- იქნა თუ არა მიღებული დასაბუთებული გადაწყვეტილება აღნიშნულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით; და
- განისაზღრა თუ არა სასჯელი იმ ქმედებიდან გამომდინარე, რომლის ჩადენაც შესაბამის პირს შეეცა.

(ii) სასამართლომ ასევე, განმარტა ის კრიტერიუმები, რომლებიც მხედველობაში უნდა იყოს მიღებული იმ საკითხის გადაწყვეტისას, არის თუ არა გადაწყვეტილება „საბოლოო“. მისი შეფასებით, აღნიშნული ტერმინის განმარტება ავტონომიურად უნდა მოხდეს, როდესაც ეს წონადი მიზეზებითაა გამართლებული. იმის გადასაწყვეტად, არის თუ არა გადაწყვეტილება „საბოლოო“ მე-7 დამატებითი ოქმის მე-4 მუხლის მნიშვნელობიდან გამომდინარე, უნდა დადგინდეს, ექვემდებარება თუ არა ის „სამართლებრივი დაცვის ჩვეულებრივ საშუალებას“ ანუ იმგვარ საშუალებას, რომელიც ხასიათდება მკაფიო ფარგლებითა და პროცედურით, ხელმისაწვდომია მხარეებისთვის კონკრეტულად განსაზღვრული ვადით და შედეგად, აკმაყოფილებს სამართლებრივი განჭვრეტადობის პრინციპის მოთხოვნას.

მოცემულ საქმეში საგულისხმოა, რომ სასამართლოს კითხვის ნიშნის ქვეშ არ დაუყენებია ზემდგომი პროკურატურის შესაძლებლობა, საკუთარი ინიციატივით შეემოწმებინა ქვემდგომი პროკურატურის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძლიანობა. თუმცა, სამართალწარმოების განახლებისა და გადაწყვეტილების საფუძლების ხელახალი შეფასების შესაძლებლობა, რომელიც არანაირი ვადით არაა შეზღუდული, ვერ იქნება მიჩნეული „სამართლებრივი დაცვის ჩვეულებრივ საშუალებად“. „ჩვეულებრივი“ მხოლოდ ის საშუალება იყო, რომელიც ხელმისაწვდომს ხდიდა მომჩივნისთვის ჯარიმის სადავოდ გახდომის შე-

საძლებლობას ოცი დღის განმავლობაში. ვინაიდან მომჩივანმა არ ისარგებლა აღნიშნული საშუალებით, გადაწყვეტილება მისთვის ჯარიმის დაკისრების შესახებ „საბოლოო“, ამ ტერმინის ავტონომიური, კონვენციური მნიშვნელობიდან გამომდინარე გახდა ოცდღიანი ვადის გასვლის შემდეგ ანუ ბევრად უფრო ადრე, ვიდრე ზემდგომი პროკურატურა სისხლისამართლებრივი სამართალწარმოების განახლების მიზნით საკუთარი დისკრეციით ისარგებლებდა.

(iii) სასამართლომ ასევე განმარტა, რომ ის პირობები, რომლებიც შესაძლებელს ხდის საქმის განახლებას მე-7 დამატებითი ოქმის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული გამონაკლისის მნიშვნელობიდან გამომდინარე, კერძოდ, ახალი/ახლად აღმოჩენილი ფაქტების გამოვლენა ან წინა სამართალწარმოებაში ფუნდამენტური ხარვეზის არსებობა, წარმოადგენენ არა კუმულაციურ, არამედ ალტერნატიულ პირობებს.

(iv) საბოლოოდ კი, სასამართლომ ჩამოაყალიბა მე-7 დამატებითი ოქმის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული „ფუნდამენტური ხარვეზის“ კონცეფცია. ბრალდებულის საუარესოდ სამართალწარმოების განახლებას საფუძვლად შესაძლებელია დაედოს პროცედურული ნორმის მხოლოდ სერიოზული დარღვევა, რომელიც მნიშვნელოვნად არყვეს წინა სამართალწარმოების სამართლიანობას. შედეგად, ამგვარ საქმეებში პროკურატურის ან ზედა ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმის მტკიცებულების უბრალო, ხელახალი შეფასება ვერ დააკმაყოფილებდა აღნიშნულ კრიტერიუმს. თუმცა, სიტუაციებში, როდესაც სამართალწარმოების განახლება შესაძლოა ბრალდებულისთვის უფრო ხელსაყრელი იყოს, უპირველეს ყოვლისა უნდა შეფასდეს ხარვეზის ბუნება, რათა დადგინდეს, ჰქონდა თუ არა ადგილი დაცვის მხარის უფლებების დარღვევას და შესაბამისად, მიადგა თუ არა ზიანი მართლმსაჯულების სათანადო განხორციელებას.

სსკა უფლებები და თავისუფლებები

პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება (მუხლი 8)

საქმეში *ბრეიერი გერმანიის წინააღმდეგ*,⁹⁰ სასამართლომ გამოიკვლია ეროვნულ დონეზე სერვისის მიმწოდებლებისთვის დაკისრებული ვალდებულება, შეენახათ იმ მომხმარებელთა პერსონალური ინფორმაცია, რომლებმაც იყენებდნენ მობილური ტელეფონის წინასწარ გადახდილ სიმბარათებს.

2004 წლის ივნისში, „ტელეკომუნიკაციების შესახებ“ კანონში შესული ცვლილებები ითვალისწინებდა ტელეკომუნიკაციის მიმწოდებლების სამართლებრივ ვალდებულებას, მოეპოვებინათ და შეენახათ მათი მომხმარებლების პერსონალური მონაცემები, მათ შორის იყვნენ მომხმარებლები, რომელთა მონაცემებიც არ იყო საჭირო თანხის გადახდის ან სხვა სახელშეკრულებო მიზეზებისთვის, მაგალითად, პირები, რომლებმაც იყიდეს წინასწარ გადახდილი სიმ ბარათები. ეს ცვლილებები ეროვნულმა ხელისუფლებამ საჭიროდ მიიჩნია, რათა შეესრულებინათ ევროკავშირის კანონმდებლობიდან გამომდინარე ვალდებულებები. მომჩივნებმა შეიძინეს წინასწარ გადახდილი სიმ ბარათები. სერვისის მიმწოდებლებთან სიმ ბარათის აქტივაციის დროს, მათ მოთხოვეს გარკვეული პერსონალური მონაცემების დარეგისტრირება (მათ შორის, მობილური ტელეფონის ნომრის, მათი სახელის, მისამართისა და საცხოვრებელი ადგილის). მომჩივნებმა მიმართეს ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოს, რომელმაც დაადგინა, რომ ამგვარი ვალდებულება არ იყო ძირითად კანონთან შეუსაბამო. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ „ტელეკომუნიკაციების შესახებ“ კანონის 111-ე მუხლში მოცემული ვალდებულება არ ეწინააღმდეგებოდა კონვენციის მე-8 მუხლს.

გადაწყვეტილება საინტერესოა, ვინაიდან ის ეხება მონაცემთა დაცვის ახალ საკითხს. ის აგრეთვე, შეიცავს მე-8 მუხლის მიხედვით სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ყოვლისმომცველ მიმოხილვას, პერსონალური მონაცემების დამუშავების დროს პირადი ცხოვრების დაცვასთან დაკავშირებით, უფრო კონკრეტულად კი, ინფორმაციული თვითგამორკვევის პრინციპს (*Satakunnan Markkinapörssi Oy and Satamedia Oy v. Finland* [GC]⁹¹).

(i) რაც შეეხება მე-8 მუხლით გათვალისწინებულ უფლებებში ჩარევის ბუნებას, სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნა, რომ პირის პირად ცხოვრებასთან დაკავშირებული მონაცემის უბრალოდ შენახვა წარმოადგენს ჩარევას მე-8 მუხლის მნიშვნელობის ფარგლებში (ლინდერი *შვედეთის წინააღმდეგ*⁹²). ამასთან დაკავშირებით, სასამართლომ გაითვალისწინა ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნა, რომ ეროვნული კანონმდებლობით ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლების დაცვის ფარგლები არ იყო შეზღუდული იმ ინფორმაციით, რომელიც თავისი ბუნებით ძალიან სენსიტიური იყო და არ არსებობდა პერსონალური მონაცემი (მიუხედავად მისი გამოყენების კონტექსტისა), რომელიც თავისთავად უმნიშვნელო იყო.

⁹⁰ *Breyer v. Germany*, საჩივარი N50001/12, 30 იანვარი, 2020.

⁹¹ საჩივარი N931/13, § 137, 27 ივნისი, 2017.

⁹² *Leander v. Sweden*, 26 marti, 1987, § 48, Series A no. 116.

(ii) ჩარევის კანონიერებასთან დაკავშირებით სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ მონაცემის შენახვა გათვალისწინებული იყო კანონით („ტელეკომუნიკაციების შესახებ“ კანონის 111-ე მუხლით), რომელიც საკმარისად ნათელი და განჭვრეტადი იყო. უფრო მეტიც, ნათლად იყო რეგულირებული მონაცემთა შენახვის ხანგრძლივობა და ცალსახად იყო აღწერილი მონაცემთა შენახვის ტექნიკური მხარეც. რაც შეეხება გარანტიებს, მესამე პირების მიერ ხელმისაწვდომობას და შენახული მონაცემების შემდგომში გამოყენებას, 111-ე მუხლი ნაკითხულ უნდა იყოს კანონის სხვა მუხლებთან ერთად; სასამართლომ ამ საკითხის შეფასება სათანადოდ მიიჩნია პროპორციულობის საკითხის განხილვის დროს.

(iii) ჩარევის პროპორციულობის შეფასებისას, სტრასბურგის სასამართლომ ყურადღება გაამახვილა რამდენიმე საკითხზე.

სასამართლომ აღიარა, რომ მობილური ტელეფონების მომხმარებლების წინასწარი რეგისტრაცია არსებითად ამარტივებდა სამართალდამცავი ორგანოების მიერ გამოძიების წარმოებას და ხელს უწყობდა გადაცდომის ან დანაშაულის პრევენციას. ამასთან მიმართებით სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ ეროვნული უსაფრთხოების კონტექსტში ხელისუფლების ორგანოები სარგებლობდნენ შეფასების გარკვეული ფარგლებით, როდესაც ირჩევდნენ ლეგიტიმური მიზნის მიღწევის საშუალებებს და ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებს შორის არ არსებობდა კონსენსუსი წინასწარ გადახდილი სიმ ბარათების მომხმარებლების შესახებ ინფორმაციის შენახვასთან დაკავშირებით. ამრიგად, სტრასბურგის სასამართლო დაეთანხმა, რომ „ტელეკომუნიკაციების შესახებ“ კანონის 111-ე მუხლის მიხედვით, მომხმარებლის შესახებ ინფორმაციის შენახვის ვალდებულება ზოგადად, კომუნიკაციების ქცევისა და ტელეკომუნიკაციების საშუალებებში განხორციელებული ცვლილების სათანადო პასუხი იყო.

მნიშვნელოვანი იყო, რომ ხდებოდა მხოლოდ ლიმიტირებული მონაცემების შენახვა: ეს მონაცემი არ მოიცავდა ძალიან პერსონალურ ინფორმაციას, აგრეთვე შესაძლებელი არ იყო მობილური ტელეფონების მომხმარებლების გადაადგილებაზე თვალის მიდევნება. გარდა ამისა, არ ინახებოდა მონაცემები, რომლებიც ეხებოდა ინდივიდუალურ კომუნიკაციებს. შესაბამისად, სასამართლომ წინამდებარე საქმეზე ჩარევა განასხვავა წინარე საქმეებისგან, რომლებიც ეხებოდა უფრო სენსიტიური მონაცემების შენახვას, აგრეთვე საქმეებისგან, სადაც კონკრეტული მონაცემთა ბაზის შექმნა იწვევდა შემდგომ შემოწმებებს ან პირადი ინფორმაციის შეგროვებას. ამასთან დაკავშირებით, სასამართლომ მიუთითა ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს დასკვნებზე, რომლებიც გააკეთა საქმეზე *Ministerio Fiscal*.⁹³ საბოლოოდ, სტრასბურგის სასამართლომ დაასკვნა, რომ ჩარევა შეზღუდული ბუნების იყო.

ამ კონტექსტში სასამართლომ ყურადღება გაამახვილა გარკვეულ გარანტიებზე.

პირველი, სასამართლომ აღნიშნა, რომ მონაცემთა შენახვასთან დაკავშირებით არ არსებობდა ტექნიკური ხარვეზები, აგრეთვე მონაცემთა შენახვის ხანგრძლი-

⁹³ Ministerio Fiscal, C-207/16, 2 octomberi, 2018, EU:C:2018:788.

ვობა შეზღუდული იყო სახელმწიფოებო ურთიერთობის დასრულების მომდევნო კალენდარული წლით; გარდა ამისა, შენახული მონაცემი შემოიფარგლებოდა მხოლოდ იმ ინფორმაციით, რომელიც აუცილებელი იყო შესაბამისი მომხმარებლის იდენტიფიცირებისთვის.

მეორე, სასამართლომ შეისწავლა შენახული მონაცემის სამომავლო ხელმისაწვდომობისა და გამოყენების შესაძლებლობა, კერძოდ, „ტელეკომუნიკაციების შესახებ“ კანონის 112-ე და 113-ე მუხლების მიხედვით ინფორმაციის მოთხოვნის შესაძლებლობა. სასამართლომ მნიშვნელოვნად მიიჩნია, რომ კანონის 112-ე მუხლში დასახელებული ორგანოები, რომლებსაც შეეძლოთ მოეთხოვათ შენახული მონაცემები, უკავშირდებოდა სამართალდამცავ ორგანოებს ან ეროვნული უსაფრთხოების დაცვას. მართალია, კანონის 113-ე მუხლში მოცემული ორგანოები, რომლებსაც შეეძლოთ მსგავსი მოთხოვნის დაყენება, იდენტიფიცირებულნი იყვნენ მხოლოდ მათ მიერ შესრულებული ფუნქციებით და შესაბამისად არ იყო მოცემული მათი ჩამონათვალი, თუმცა, მათ უნდა წარედგინათ წერილობითი მოთხოვნა და ნორმის ფორმულირება საკმარისად დეტალური იყო, რათა განჭვრეტადი ყოფილიყო, თუ რომელ ორგანოს შეეძლო მსგავსი ინფორმაციის მოთხოვნა. გარდა ამისა, ზემოხსენებული მუხლების საფუძველზე წარდგენილი მოთხოვნები ექვემდებარებოდა განხილვასა და ზედამხედველობას. სტრასბურგის სასამართლომ განმარტა, რომ განხილვისა და ზედამხედველობის დონე მნიშვნელოვანი, თუმცა არა გადამწყვეტი ელემენტი იყო შეზღუდული მონაცემების შეგროვებისა და შენახვის პროპორციულობის შეფასების დროს. რაც შეეხება ინფორმაციის მინოდების შესახებ მოთხოვნების განხილვასა და ზედამხედველობას, ვინაიდან ტელეკომუნიკაციების მიმწოდებლებს არ ჰქონდათ კომპეტენცია თავად განეხილათ მოთხოვნის დასაშვებობა, ვინაიდან ინფორმაცია მოთხოვნილი იყო წერილობითი ფორმით სამართლებრივ საფუძველზე მითითებით, ინფორმაციის მოთხოვნის კანონიერებას ამონმებდა შესაბამისი სააგენტო. თუმცა, სასამართლომ აღნიშნა, რომ საჭიროების შემთხვევაში ქსელების ფედერალური სააგენტოს ჰქონდა მონაცემთა დადაცემის დასაშვებობის განხილვის კომპეტენცია; მონაცემის თითოეული ნახვა და ნახვის შესახებ რელევანტური ინფორმაცია ინახებოდა მონაცემთა დაცვის დამოუკიდებელი ორგანოს მიერ ზედამხედველობის მიზნებისთვის; ზემოხსენებული ორგანოს მიმართაც შეიძლებოდა ინდივიდუალური საჩივრის წარდგენა საჯარო ორგანოს მიერ პერსონალური მონაცემის შეგროვების, დამუშავების ან გამოყენების თაობაზე; ინფორმაციის ამოღების საფუძველზე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა შესაძლებელი იყო ეროვნული კანონმდებლობის ზოგადი წესების თანახმად.

პოზიტიური ვალდებულებები

აღსანიშნავია გადამწყვეტილება საქმეზე *ბუტურუგა რუმინეთის წინააღმდეგ*,⁹⁴ ვინაიდან სტრასბურგის სასამართლომ, კონვენციის მე-3 და მე-8 მუხლების საფუძველზე, *პირველად განიხილა* კიბერბულინგი, როგორც ქალთა მიმართ ძა-

⁹⁴ Buturuga v. Romania, საჩივარი N56867/15, 11 თებერვალი, 2020.

ლადობის ასპექტი.

მომჩივანმა ხელისუფლების ორგანოების წინაშე გაასაჩივრა ყოფილი მეუღლის მხრიდან ძალადობრივი ქმედებები. ის ადმინისტრაციული წესით დაჯარიმდა. მოძალადის მიმართ სისხლისსამართლებრივი საქმისწარმოება შეწყდა, ძირითადად, იმ საფუძველზე, რომ მისი ქმედება არ იყო საკმარისად მძიმე, რომ სისხლის სამართლის დანაშაულად ჩათვლილიყო. უფრო მეტიც, ხელისუფლების ორგანოებმა სადავო ქმედებები არ განიხილეს ოჯახში ძალადობის ქრილში. სამართალწარმოების ფარგლებში მომჩივანმა მოითხოვა საოჯახო კომპიუტერის შესწავლა, ამტკიცებდა რა, რომ მისმა ყოფილმა ქმარმა უკანონოდ შეაღწია მის ელექტრონულ ანგარიშებში, მათ შორის ფეისბუქ ანგარიშზე და მისი პირადი მიმოწერების, დოკუმენტების და სურათების ასლი გააკეთა. აღნიშნული მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა იმ საფუძველზე, რომ ჩხრეკის შედეგად მოპოვებული მტკიცებულება არ იყო რელევანტური მისი ყოფილი მეუღლის მიერ სავარაუდოდ ჩადენილ დანაშაულთან. მომჩივნის შემდეგი საჩივარი, რომელიც ეხებოდა ყოფილი მეუღლის მიერ კორესპონდენციის კონფიდენციალურობის დარღვევას, არ დაკმაყოფილდა საქმის არსებითი გარემოებების განხილვის გარეშე. ამასთან დაკავშირებით სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ ხელისუფლების ორგანოებმა ვერ შეასრულეს კონვენციის მე-3 და მე-8 მუხლებით გათვალისწინებული პოზიტიური ვალდებულებები.

გადანყვეტილება აღსანიშნავია, ვინაიდან სტრასბურგის სასამართლომ პირველად განიხილა კიბერბულინგი, როგორც ქალთა მიმართ ძალადობის ასპექტი.

ამ კონტექსტში სტრასბურგის სასამართლომ განაცხადა, რომ ოჯახში ძალადობის ფენომენი არ იყო შეზღუდული მხოლოდ ფიზიკური ძალადობით, არამედ ის, სხვა ფორმებთან ერთად, მოიცავდა ფსიქოლოგიურ ძალადობას ან დევნას (შეადარეთ *ოპუზი თურქეთის წინააღმდეგ*,⁹⁵ *T.M. and C.M. მოლდოვას რესპუბლიკის წინააღმდეგ*,⁹⁶ *ტალპისი იტალიის წინააღმდეგ*⁹⁷). დამატებით, კიბერბულინგი ახლახან აღიარებულ იქნა ქალთა და გოგონათა მიმართ ძალადობის ერთ-ერთ ფორმად და შესაძლოა სხვადასხვა ფორმით გამოვლინდეს, მათ შორისაა პირადი ცხოვრების დარღვევა, მსხვერპლის კომპიუტერში შეჭრა, პირადი მონაცემებისა და ფოტოების გაზიარება და სხვაგვარი მანიპულაცია. ოჯახში ძალადობის კონტექსტში, კიბერ თვალთვალი ხშირად ხორციელდებოდა პირის ინტიმური პარტნიორის მიერ. შესაბამისად, სტრასბურგის სასამართლომ განაცხადა, რომ იმგვარი ქმედებები, როგორცაა პარტნიორის კორესპონდენციის უკანონო ხელმისაწვდომობა, მონიტორინგი ან შენახვა ეროვნულმა ხელისუფლებამ შესაძლებელია გაითვალისწინოს ოჯახში ძალადობის საქმეების გამოძიების დროს.

სტრასბურგის სასამართლომ აგრეთვე ხაზგასმით აღნიშნა ოჯახში ძალადობის ყველა ფორმასთან გამკლავების საჭიროება (იხ.: *ტალპისი*, ციტირებულია ზემოთ, §129). როდესაც იხილავდნენ მომჩივნის ბრალდებას კიბერბულინგის შე-

⁹⁵ *Opuz v. Turkey*, საჩივარი N33401/02, §§ 132 და 138, ECHR 2009.

⁹⁶ *T.M. and C.M. v. the Republic of Moldova*, საჩივარი N26608/11, § 47, 28 იანვარი, 2014.

⁹⁷ *Talpis v. Italy*, საჩივარი N41237/14, §§ 129-30, 2 მარტი, 2017.

სახე და მის მოთხოვნას კომპიუტერის ჩხრეკასთან დაკავშირებით, ეროვნული ხელისუფლების ორგანოებმა ზედმეტად ფორმალური მიდგომა გამოავლინეს, როდესაც უარყვეს ამ საკითხის კავშირი ოჯახში ძალადობასთან. შესაბამისად, მომჩივანი ვალდებული გახდა, წარედგინა ახალი საჩივარი კორესპონდენციის კონფიდენციალურობის დარღვევასთან დაკავშირებით. ამ საჩივრის განხილვის დროს, ხელისუფლების ორგანოებმა ვერ გაითვალისწინეს, რომ ოჯახში ძალადობა სხვადასხვა ფორმით შეიძლება განხორციელდეს.

ეროვნული სასამართლოებისგან განსხვავებით, სტრასბურგის სასამართლომ გამოავლინა ყოველმხრივი მიდგომა, როდესაც ფიზიკური ძალადობისა და კიბერბულინგის ბრალდებები, კონვენციის მე-3 და მე-8 მუხლების საფუძველზე, ერთობლიობაში შეისწავლა.

გადანყვეტილება საქმეზე *ჰუდოროვიჩი და სხვები სლოვენის წინააღმდეგ*,⁹⁸ ადგენს კრიტერიუმებს, რომლებიც განსაზღვრავს არსებობს თუ არა კონვენციის მე-8 მუხლის მიხედვით სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება, უზრუნველყოს უსაფრთხო სასმელი წყლის ხელმისაწვდომობა.

მომჩივნები ეკუთვნოდნენ ბოშათა თემს, რომლებიც ცხოვრობდნენ უკანონო დასახლებაში. ისინი დავობდნენ, რომ მათთვის უზრუნველყოფილი არ იყო ძირითადი კომუნალური მომსახურებების კერძოდ, უსაფრთხო სასმელი წყლისა და წყალკანალის ხელმისაწვდომობა. მუნიციპალურმა ხელისუფლებამ გადადგა გარკვეული ნაბიჯები, რათა მომჩივნებისთვის ხელმისაწვდომი გამხდარიყო უსაფრთხო სასმელი წყალი. ერთ დასახლებაში მუნიციპალიტეტის თანადაფინანსებით დამონტაჟდა სულ მცირე, ერთი წყლის ავზი, რომელიც სასმელი წყლით იყო სავსე. მეორე დასახლებაში მუნიციპალიტეტმა დააფინანსა და დამონტაჟა საჯარო წყლის წერტილი, რომელზეც შესაძლებელი იყო ინდივიდუალური კავშირების მიერთება. მომჩივნებმა ეს ზომები არასაკმარისად მიიჩნიეს. სასამართლომ დაადგინა, რომ თუნდაც ეს მუხლები გამოყენებადი ყოფილიყო, ადგილი არ ჰქონდა კონვენციის მე-8 და მე-3 მუხლების დარღვევას, ცალკე აღებული და მე-14 მუხლთან ერთობლიობაში.

გადანყვეტილება აღსანიშნავია იმით, რომ სასამართლომ პირველად განსაზღვრა ის პირობები, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს კონვენციის მე-8 მუხლის გამოყენება სახელმწიფოს მიერ კომუნალური მომსახურების კერძოდ, უსაფრთხო სასმელი წყლის უზრუნველყოფასთან მიმართებით. სტრასბურგის სასამართლომ აგრეთვე განავითარა კრიტერიუმები, რომლებიც ადგენენ კონვენციის მე-8 მუხლისა და მისი საბოლოო შინაარსის მიხედვით სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების არსებობას.

(i) საქმეში *დენისოვი უკრაინის წინააღმდეგ*,⁹⁹ მოცემულ შედეგზე დაფუძნებულ მიდგომაზე დაყრდნობით, სასამართლომ შემდეგნაირად განმარტა სიმძი-

⁹⁸ Hudorovic and Others v. Slovenia, საჩივარი N24816/14 და 25140/12, 10 მარტი, 2020.

⁹⁹ Denisov v. Ukraine [GC], საჩივარი N76639/11, 25 სექტემბერი, 2018.

მის ზღვარი, რომელსაც შეუძლია ამ კონტექსტში მე-8 მუხლის ამოქმედება: „უსაფრთხო სასმელი წყლის ხელმისაწვდომობის ნაკლებობა ხანგრძლივი დროის განმავლობაში,“ რამაც გამოიწვია „უარყოფითი შედეგები ჯანმრთელობასა და ადამიანის ღირსებაზე, რაც ანგრევს პირადი ცხოვრებისა და საცხოვრისის არსს“.

(ii) ამ კუთხით პოზიტიური ვალდებულების არსებობა უნდა დადგინდეს ამ პრობლემის ქვეშ არსებული ადამიანების კონკრეტული გარემოებების, საკანონმდებლო ჩარჩოსა და სახელმწიფოს ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის გათვალისწინებით. სტრასბურგის სასამართლოს მოსაზრებით, სახელმწიფოები შეფასების ფართო ფარგლებით უნდა სარგებლობდნენ მსგავს საკითხებში, რაც ასევე გულისხმობს ყველასთვის წყლის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად გასატარებელი კონკრეტული ღონისძიებების განსაზღვრას.

- რაც შეეხება სლოვენის ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობას, სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნა, რომ სლოვენის მოსახლეობის არცთუ უმნიშვნელო ნაწილი ცხოვრობდა იმგვარ ადგილებში, სადაც მათთვის ხელმისაწვდომი არ იყო წყლისა და კანალიზაციის სისტემები;
- რაც შეეხება მარეგულირებელ ჩარჩოს, სასამართლომ გონივრულად მიიჩნია, რომ სახელმწიფომ ან ადგილობრივმა ხელისუფლებამ პასუხისმგებლობა იკისრა საზოგადოებისთვის ამ მომსახურების განწევაზე, თუმცა სახლებში წყლის ინდივიდუალური დამონტაჟება მესაკუთრეებს მიანდო [მათივე ხარჯებით]. ანალოგიურად, გონივრული იყო პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების შეთავაზება იმ ადგილებში, რომლებიც ჯერ არ იყო წყალმომარაგებით დაფარული. აღნიშნული ალტერნატიული გზები იყო: ინდივიდუალური წყლის ავზების ან წვიმის წყლის რეზერვის შექმნა.
- მომჩივანთა კონკრეტულ გარემოებებთან დაკავშირებით, სასამართლოსთვის მთავარი გასათვალისწინებელი ფაქტი იყო ის, რომ ისინი მიეკუთვნებოდნენ სოციალურად დაუცველ ჯგუფს, რომლებიც კომუნალური მომსახურებების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით უფრო დიდ წინააღობებს აწყდებოდნენ, ვიდრე მოსახლეობის უმრავლესობა.

პირველი, სასამართლომ გაითვალისწინა სახელმწიფოს მხრიდან ბოშათა თემის ცხოვრების პირობების გაუმჯობესების მიზნით გადადგმული ყველა პოზიტიური ნაბიჯი, რაც მოიცავდა მათ მიერ კონკრეტული ღონისძიებების გატარებას, რათა მომჩივნებისთვის ხელმისაწვდომი ყოფილიყო უსაფრთხო სასმელი წყალი. მიუხედავად იმისა, რომ პრობლემის გადაჭრის გზა არ იყო იდეალური ან მუდმივი, ეს გადადგმული ნაბიჯები ცხადყოფდა, რომ ხელისუფლების ორგანოები აცნობიერებდნენ მომჩივნების, როგორც მონყვლადი ჯგუფის წევრების, მდგომარეობას და მათ კონკრეტულ საჭიროებებთან მიმართებით ჩართულობას აჩვენებდნენ.

მეორე, მომჩივნები, რომლებიც საკუთარი სურვილით რჩებოდნენ შესაბამის დასახლებებში, არ ცხოვრობდნენ უკიდურეს გაჭირვებაში. ისინი იღებდნენ სოციალურ შეღავათებს, რომელთა გამოყენებაც შეეძლოთ მათი საცხოვრებელი პი-

რობების გაუმჯობესებისთვის, მაგალითად, კერძო წყლისა და ავზის ან წვიმის წყლის შენახვის სისტემის დამონტაჟებაში ან პრობლემის გადაჭრის სხვა ალტერნატიულ გზაში. საბოლოოდ, სასამართლომ მიიჩნია, რომ მართალია, სახელმწიფოს ევალეზობდა გამკლავებოდა უსაფრთხო სასმელის ხელმისაწვდომობის კუთხით არსებულ უთანასწორობას, რაც არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებდა ბოშათა თემს, თუმცა ეს არ შეიძლება იმგვარად განმარტებულიყო, რომ სახელმწიფოს ეკისრებოდა ვალდებულება, მთლიანი ტვირთი თავის თავზე აეღო და მომჩივნების სახლებში წყალი ინდივიდუალურად შეეყვანა.

ამასთან, მომჩივნებმა დამარწმუნებლად ვერ აჩვენეს, რომ სახელმწიფოს მარცხმა, მათთვის უზრუნველყო უსაფრთხო სასმელი წყლის ხელმისაწვდომობა, გამოიწვია უარყოფითი შედეგები მათ ჯანმრთელობასა და ღირსებაზე, რამაც ძირი გამოუთხარა მე-8 მუხლით გათვალისწინებული უფლებების არსს. თუნდაც მე-8 მუხლი გამოყენებადი ყოფილიყო და მსგავს საკითხებთან მიმართებით სახელმწიფოს შეფასების ფართო ფარგლების გათვალისწინებით, სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფოს მიერ მომჩივანთათვის უსაფრთხო სასმელი წყლის უზრუნველსაყოფად გადადგმული ნაბიჯები ითვალისწინებდა მათ მონყვლად მდგომარეობას და აკმაყოფილებდა კონვენციის მე-8 მუხლის მოთხოვნებს.

საქმეში *მიფსუდი მალტას წინააღმდეგ*,¹⁰⁰ სტრასბურგის სასამართლომ შეისწავლა მამობის დადგენის შესახებ სამართალწარმოების დროს გენეტიკური ანალიზების წარდგენის ვალდებულება.

მომჩივანი დაახლოებით, 88 წლის იყო, როდესაც ქალბატონმა (რომელიც იმ დროისთვის, დაახლოებით 55 წლის იყო და სჯეროდა, რომ მომჩივნის შვილი იყო) შეიტანა სამოქალაქო სარჩელი და ითხოვდა მამობის ტესტის შესახებ ბრძანების მოპოვებას, მორალური და ფინანსური მიზეზების გამო. აღნიშნული სარჩელი მოგვიანებით დაკმაყოფილდა, რის შემდეგაც მომჩივანმა იგი გაასაჩივრა იმ საფუძველით, რომ ასეთი ბრძენების შესრულებით ირღვეოდა მისი უფლებები. სამოქალაქო სასამართლოებმა საქმე გადასცეს საკონსტიტუციო სასამართლოს. მიუხედავად სადავო ეროვნული დებულებების სავალდებულო ხასიათისა, სასამართლოებმა ტესტის ჩატარების შესახებ ბრძანების მიღებამდე დეტალურად გამოიკვლიეს ფაქტები და რაც მთავარია, საქმეში არსებული დაპირისპირებული ინტერესები.

მომჩივანი დაემორჩილა სასამართლო ბრძანებას და გაიკეთა ტესტი, რომელმაც დაადასტურა მისი მამობა, რის შემდეგაც, სასამართლომ გამოსცა ბრძანება ქალბატონის დაბადების მონმობაში შესწორების შეტანის შესახებ. მომჩივანი მე-8 მუხლის საფუძველზე ასაჩივრებდა, რომ მას დაევალა მამობის დამდგენი ტესტის გაკეთება. სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის ნორმები.

მამობის დამდგენი ტესტის მოთხოვნით სარჩელის შეტანა უმეტესად ხდება სა-

¹⁰⁰ Mifsud v. Malta, no. 62257/15, 29 იანვარი, 2019.

ვარაუდო ქალიშვილების ან ვაჟიშვილების მიერ, რომლებიც მშობლების ვინაობის დადგენას ცდილობენ ან სავარაუდო მშობლების მიერ, რომლებსაც სურთ უარი თქვან მამობაზე ან დაადგინონ ეს საკითხი. შესაბამისად, ამგვარი სარჩელების განხილვა მიმდინარეობს ეროვნულ სამართალწარმოებაში.

სტრასბურგის სასამართლო *პირველად განიხილავს* ეროვნულ სამართალწარმოებაში მოპასუხის საჩივარს, რომელსაც დაეკისრა მამობის დამდგენი ტესტის ჩატარება. გადაწყვეტილების მიღების დროს, სტრასბურგის სასამართლომ პირველად განაცხადა, რომ პირს მართლაც შეიძლება დაევალოს გენეტიკური ანალიზის ჩატარება მამობის დადგენის შესახებ, სადავო სამართალწარმოების დროს. სტრასბურგის სასამართლოსთვის განსახილველ საკითხს წარმოადგენდა, დასვეს თუ არა ეროვნულმა სასამართლოებმა სწორი კითხვები და დაადგინეს თუ არა სათანადო ბალანსი დაპირისპირებულ ინტერესებს შორის (მამის ფიზიკური მთლიანობა და პირადი ცხოვრების დაცულობის უფლება, შვილის მორალური და ფინანსური ინტერესების საწინააღმდეგოდ, სცოდნოდა მისი ბიოლოგიური წარმოშობის შესახებ). სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა (პარაგრაფი 77), რომ:

„წინამდებარე საქმეში ეროვნულმა სასამართლოებმა დაადგინეს სამართლიანი ბალანსი დაპირისპირებულ ინტერესებს შორის, კერძოდ, ხ-ს ინტერესს, რომელსაც სურდა მამობის დადგენა და მომჩივნის ინტერესს შორის, რომელსაც არ სურდა დნმ-ის ტესტის ჩატარება. ვინაიდან ეროვნულმა სასამართლოებმა მომჩივნის მიმართ დნმ-ის ტესტის გაკეთების ბრძანების გამოცემამდე, დააბალანსეს დაპირისპირებული ინტერესები სასამართლო სამართალწარმოებაში, რომელშიც მომჩივანი მის მიერ არჩეული დამცველის მეშვეობით მონაწილეობდა და სადაც მისი დაცვის უფლება, მოპასუხის თანაბარ დონეზე, უზრუნველყოფილი იყო“.

მალტას კანონმდებლობაში არსებული სავალდებულო მოთხოვნის გათვალისწინებით, წინამდებარე გადაწყვეტილება არ ეხებოდა სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების საკითხს, რომ დაენესებინა ასეთი სავალდებულო ტესტები. შესაბამისად, სასამართლოს პოზიცია რჩება უცვლელი, როგორც ეს მოცემულია საქმეში *მიკულიჩი ხორვატიის წინააღმდეგ*,¹⁰¹ მესამე პირთა დაცვამ შეიძლება ხელი შეუშალოს მათ იძულებას გაიარონ ნებისმიერ სახის სამედიცინო ტესტირება, ხოლო სისტემა, რომელიც არ ავალდებულებს სავარაუდო მამას გაიკეთოს დნმ-ის ტესტი, შეიძლება ჩაითვალოს მე-8 მუხლის ვალდებულებებთან თავსებადად.

მიუხედავად ამისა, მაინც საინტერესოა აღინიშნოს წინამდებარე საქმეში სტრასბურგის სასამართლოს დასაბუთება. კერძოდ, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ მე-8 მუხლი „არ კრძალავს სამედიცინო პროცედურის ჩატარებას ბრალდებულის ნების საწინააღმდეგოდ ან მონმის ნების საწინააღმდეგოდ, მტკიცებულების მოპოვების მიზნით“ და ასეთი მეთოდები მათ შორის, როგორც სასამართლომ აღნიშნა, სამოქალაქო სფეროში „თავისთავად არ ეწინააღმდეგება კანონის უზენაესობას და ბუნებით სამართალს“. სტრასბურგის სასამართლომ ხაზი გაუსვა, ასეთ საქმეებში სახელმწიფოს ლეგიტიმური მიზნის „განსაკუთ-

¹⁰¹ Mikulic v. Croatia, no. 53176/99, ECHR 2002-I.

რებულ მნიშვნელობას“ – შეასრულოს პოზიტიური ვალდებულება, რომელსაც ითვალისწინებს მე-8 მუხლი ბავშებთან მიმართებით (სურთ, დაადგინონ მათ დაბადებასთან დაკავშირებული ბიოლოგიური რეალობა).

საქმეში *ბეგჰალი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*,¹⁰² სტრასბურგის სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება ტერორიზმის კანონმდებლობის თანახმად, სასაზღვრო კონტროლზე გაჩერების, ჩხრეკისა და დაკითხვის უფლებამოსილების შესახებ.

მომჩივანი იყო საფრანგეთის მოქალაქე, რომელიც ცხოვრობდა გაერთიანებულ სამეფოში. მან მოინახულა ქმარი, ასევე საფრანგეთის მოქალაქე, პარიზის ციხეში, სადაც იგი ელოდებოდა სასამართლო პროცესს ტერორიზმის ბრალდებით. გაერთიანებულ სამეფოში დაბრუნებისას, მომჩივანი აეროპორტში გააჩერეს სასაზღვრო გამშვები პუნქტის თანამშრომლებმა. ისინი მოქმედებდნენ 2000 წლის „ტერორიზმის შესახებ“ კანონის მე-7 დამატების შესაბამისად მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, რომელიც გამოიყენება იმ პირების მიმართ, რომლებიც შემოდიან ან გადიან გაერთიანებული სამეფოს პორტებში. სასაზღვრო გამშვები პუნქტის თანამშრომლებმა აცნობეს მომჩივანს, რომ საჭირო იყო მასთან საუბარი იმის დასადგენად, იყო თუ არა იგი „პირი, რომელიც მონაწილეობდა ტერორისტული აქტების მომზადებაში, განხორციელებასა ან წაქეზებაში“. მას მოგვიანებით შეატყობინეს, რომ იგი არ იყო ტერორიზმში ეჭვმიტანილი და არ იყო დაკავებული. მომჩივანი და მისი ბარგი გაჩხრიკეს. მომჩივანმა უარი განაცხადა პასუხი გაეცა მისთვის დასმულ უმეტეს კითხვაზე. დაახლოებით, ორი საათის შემდეგ, მას უთხრეს, რომ „შეეძლო წასულიყო“. შემდგომში, მომჩივანს სხვა დანაშაულებთან ერთად, ბრალი წაუყენეს მე-7 დამატებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობაში, კითხვებზე პასუხის გაცემაზე უარის გამო. საბოლოოდ, უზენაესმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა მომჩივნის სარჩელი მის მიმართ გამოყენებულ ზომებთან დაკავშირებით.¹⁰³

სტრასბურგის სასამართლოს წინაშე მომჩივანი სხვა საკითხებთან ერთად, დავობდა, რომ ზემოხსენებული მე-7 დამატებით გათვალისწინებული უფლებამოსილებები არღვევდა კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებულ მის უფლებებს. სტრასბურგის სასამართლო დაეთანხმა მომჩივანს და დაადგინა, რომ ადეკვატური გარანტიების არარსებობის გათვალისწინებით, მის უფლებაში ჩარევა არ იყო „კანონის შესაბამისი“. აღსანიშნავია, ქვემოთ მოცემული საკითხები.

პირველი, სასამართლომ აღიარა (და ასევე, მთავრობამ), რომ ადგილი ჰქონდა მომჩივნის პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებაში ჩარევას. კერძოდ, სა-

¹⁰² Beghal v. the United Kingdom, no. 4755/16, 28 თებერვალი, 2019.

¹⁰³ მე-7 მუხლში შესწორებები შევიდა უზენაესი სასამართლოს მიერ მომჩივნის საჩივრის განხილვამდე. 2014 წელს მიღებული საკანონმდებლო ცვლილებები ითვალისწინებს უფრო მკაცრ გარანტიებს. უზენაესმა სასამართლომ მომჩივნის საჩივარი განიხილა მე-7 დამატების შესწორებული ვერსიის შესაბამისად.

სამართლომ განასხვავა მომჩივნის სიტუაცია „იმ ჩხრეკისგან, რომლებსაც მგზავრები უპრობლემოდ ემორჩილებიან აეროპორტში“ (გილანი და კუინტონი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ¹⁰⁴) და დაადგინა, რომ მომჩივნის საქმეში გამოყენებული მე-7 დამატებით გათვალისწინებული უფლებამოსილებები აშკარად უფრო ფართო იყო, ვიდრე საიმიგრაციო უფლებამოსილებები, რომლებსაც მგზავრები შეიძლება გონივრულად ელიან, რომ დაემორჩილონ.

მეორე, სასამართლომ სადავო უფლებამოსილებებთან დაკავშირებით ანალიზი გააკეთა სახელმწიფოს ლეგიტიმური საჭიროების კონტექსტში, რომ ებრძოლოს საერთაშორისო ტერორიზმს და აკონტროლოს ტერორისტების საერთაშორისო გადაადგილება. სასამართლომ კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ სახელმწიფოები სარგებლობენ თავისუფალი შეფასების ფარგლებით, როდესაც საქმე ეხება ეროვნული უსაფრთხოების საკითხებს. სასამართლომ აქვე ხაზგასმით აღნიშნა, რომ პორტები და სასაზღვრო კონტროლი აუცილებლად ფოკუსირდება ტერორისტების ამოცნობასა და მათი გადაადგილების ან/და ტერორისტული აქტების აღმოფხვრაზე.

მესამე, და რაც მთავარია, სასამართლომ დაადგინა, რომ ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული გარანტიები, იმ დროისთვის, როდესაც მომჩივანი გააჩერეს, იყო არასაკმარისი მე-7 დამატებით გათვალისწინებული უფლებამოსილებების შეზღუდვისათვის, რათა მომჩივნისთვის შეეთავაზებინა ადეკვატური დაცვა, მისი პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებაში თვითნებური ჩარევის საწინააღმდეგოდ. სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ ხელისუფლებას მინიჭებული ჰქონდა ძალზე ფართო დისკრეცია, რათა გადაეწყვიტა, გამოეყენებინა თუ არა ან როდის აღნიშნული უფლებამოსილებები (იხ.: ზემოთ, მომჩივნის შეჩერების მეთოდი). აღსანიშნავია, რომ მომჩივნის საქმეზე სასაზღვრო გამშვები პუნქტის თანამშრომლების მიერ უფლებამოსილების გამოყენება სასამართლომ თავისთავად უკანონოდ არ მიიჩნია იმის გამო, რომ არ არსებობდა პირის ტერორიზმში მონაწილეობის შესახებ საფუძვლიანი ეჭვი. მან აღნიშნა, რომ მაგალითად, შემომწმებელ ოფიცრებს მიცემული ჰქონდათ მითითებები, სადაც გარკვევით იყო აღნიშნული, თუ როდის უნდა გამოეყენებინათ დისკრეციული უფლებამოსილება კონკრეტული პირების გასაჩერებლად. ამის მიუხედავად, სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივნის გაჩერების დროისთვის, მე-7 დამატების სქემა არ შეიძლებოდა მიჩნეულიყო კონვენციის შესაბამისად, შემდეგი მიზეზების გამო:

- (i) პირთა შემომწმება დასაშვები იყო მაქსიმუმ, ცხრა საათის განმავლობაში და ისინი იძულებულნი იყვნენ, ეპასუხათ მათთვის დასმულ კითხვებზე ადვოკატის დასწრების უფლების გარეშე;
- (ii) შემომწმებელი ოფიცრისთვის „გონივრული ეჭვის“ წარმოდგენის ვალდებულების არარსებობა, პირებს ურთულებდა სასამართლოში მე-7 დამატებით გათვალისწინებული უფლებამოსილებების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების კანონიერების გასაჩივრებას.

¹⁰⁴ Gillan and Quinton v. the United Kingdom, no. 4158/05, § 64, ECHR 2010 (ამონარიდები).

(iii) მიუხედავად იმისა, რომ ტერორიზმის შესახებ კანონმდებლობის დამოუკიდებელი შემფასებელი დამოუკიდებლად აფასებდა უფლებამოსილების გამოყენებას, სტრასბურგის სასამართლომ არ მიიჩნია, რომ ამგვარ ზედამხედველობას შეეძლო არასაკმარისი გარანტიების კომპენსაცია მოეხდინა.

საქმეში *ალტაი თურქეთის წინააღმდეგ (no.2)*,¹⁰⁵ სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ ადვოკატსა და კლიენტს შორის ზეპირი კომუნიკაცია ექცევა „პირადი ცხოვრების“ ცნების ქვეშ.

მომჩივანი იხდოდა უვადო სასჯელს. 2005 წლის სექტემბრიდან მას ადვოკატთან კონსულტაციების ჩატარება უნებდა ციხის თანამშრომლის თანდასწრებით. აღნიშნული ზომა დაანესა ეროვნულმა სასამართლომ მას შემდეგ, რაც აღმოჩნდა, რომ ადვოკატი მოქმედებდა მისი პროფესიის სტანდარტებთან შეუსაბამოდ, როდესაც ცდილობდა მომჩივნისთვის გაეგზავნა საკითხავი მასალა, რომელიც დაკავშირებული არ იყო მის დაცვის უფლებებთან. სტრასბურგის სასამართლოს წინაშე მომჩივანი აცხადებდა, რომ მის ადვოკატთან კონსულტაციების კონფიდენციალურობაზე დანესებული შეზღუდვა არ შეესაბამებოდა მე-8 მუხლით გათვალისწინებულ მის უფლებებს. ევროპული სასამართლო დაეთანხმა მომჩივნის პოზიციას.

გადაწყვეტილება აღსანიშნავია, ვინაიდან სტრასბურგის სასამართლომ *პირველად დაადგინა*, რომ იურიდიული დახმარების განწევის კონტექსტში, პირის ზეპირი კომუნიკაცია ადვოკატთან პირადი ცხოვრების სფეროს მიეკუთვნება, ვინაიდან ამგვარი ურთიერთკავშირის მიზანია, პირმა მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილება საკუთარი ცხოვრების შესახებ. სასამართლომ ამ საკითხთან მიმართებით დაადგინა (პარაგრაფი 49):

„...ხშირად, ადვოკატისთვის გადაცემული ინფორმაცია მოიცავს ინტიმურ და პირად ან მგძობიარე საკითხებს. აქედან გამომდინარე, როგორც სამოქალაქო ან სისხლისსამართლებრივი სამართალწარმოების დროს დახმარების ასევე, ზოგადი სამართლებრივი კონსულტაციის კონტექსტში, პირებს, რომლებიც ადვოკატს მიმართავენ, გონივრულად შეუძლიათ მოლოდინი ჰქონდეთ, რომ მათი კომუნიკაცია იქნება პირადი და კონფიდენციალური“.

სტრასბურგის სასამართლომ გაითვალისწინა მისი ადრეული სასამართლო პრაქტიკა მე-8 მუხლთან დაკავშირებით, კერძოდ, ადვოკატსა და კლიენტს შორის ურთიერთობის პრივილიგირებული ხასიათი, პატიმარსა და მის ადვოკატს შორის კორესპონდენციის კონტექსტში. საქმეში *კემპბელი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*,¹⁰⁶ სასამართლომ ვერ დაინახა საფუძველი იმისა, რომ ადვოკატებთან კორესპონდენცია სხვადასხვა კატეგორიულად დაეყო. მან დაადგინა, რომ მიზნის მიუხედავად, ისინი ეხებოდნენ პირადი და კონფიდენციალური ხასიათის საკითხებს. რაც მთავარია, მოცემულ საქმეში (პარაგრაფი 51) სასამართლომ განაცხადა, რომ

¹⁰⁵ Altay v. Turkey (no. 2), no. 11236/09, 9 აპრილი, 2019.

¹⁰⁶ Campbell v. the United Kingdom, 25 მარტი, 1992, § 46, Series A no. 233.

„ეს პრინციპი განსაკუთრებით ეხება ადვოკატთან პირისპირ კომუნიკაციას. აქედან გამომდინარე, პრინციპში, ზეპირი კომუნიკაცია – როგორც ადვოკატსა და მის კლიენტს შორის მიმონერა, დაცულია კონვენციის მე-8 მუხლის მიხედვით“.

მიუხედავად იმისა, რომ ადვოკატთან კონფიდენციალური კომუნიკაციის უფლება არ არის აბსოლუტური, ამ უფლებაში ნებისმიერი ჩარევა გამართლებული უნდა იყოს მე-8 მუხლის მე-2 პარაგრაფის მოთხოვნების შესაბამისად. მომჩივნის საქმეში სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ სადავო შეზღუდვამ ვერ დააკმაყოფილა ტესტი, რომლის მიხედვითაც ის „კანონით უნდა იყოს გათვალისწინებული“. მან აღნიშნა, რომ ეროვნულმა სასამართლომ შეზღუდვა დაანესა ადვოკატის მცდელობის საპასუხოდ, რომ მომჩივნისთვის გაეგზავნა საკითხავი მასალა, რომელიც არ იყო დაკავშირებული მის დაცვის უფლებებთან. თუმცა, კორესპონდენციის აკრძალვა მხოლოდ იმიტომ, რომ იგი არ ეხებოდა დაცვის უფლებებს, არ იყო გათვალისწინებული იმ კანონით, რომელსაც ეროვნულმა სასამართლოებმა ადვოკატთან კონფიდენციალური კონსულტაციების აკრძალვა დააფუძნეს. სტრასბურგის სასამართლომ მიიჩნია, რომ მომჩივნის საქმის გარემოებებთან მიმართებით, ეროვნული კანონმდებლობის გამოყენებისა და განმარტების ფორმა აშკარად არაგონივრული იყო და შესაბამისად, ის არ იყო გათვალისწინებული მე-8 მუხლის მე-2 პარაგრაფით.

საქმეში **ლოპეზ რიბალდა და სხვები ესპანეთის წინააღმდეგ [დიდი პალატა]**,¹⁰⁷ სტრასბურგის სასამართლომ განავითარა სასამართლო პრაქტიკა, რომელიც ეხება დასაქმებულთა პირადი ცხოვრების უფლებას სამუშაო ადგილზე და დამსაქმებლის მიერ ვიდეოთვალთვალის უფლების ფარგლებს.

მომჩივნები მუშაობდნენ სუპერმარკეტში მოლარეებად და გაყიდვების ასისტენტებად. გარკვეული ზარალის გამოსაკვლევადა, დამსაქმებელმა სათვალთვალო კამერების დაყენება გადაწყვიტა. ზოგიერთი კამერა, რომელიც მაღაზიის შესასვლელებს და გასასვლელებს ადევნებდა თვალს, ადვილად შესამჩნევი იყო, მაშინ როცა სხვა კამერები, რომლებიც სალარო აპარატებისა და სალაროებისკენ იყვნენ მიმართული, დამალული იყო. ეროვნული კანონმდებლობა ითვალისწინებდა ოფიციალურ და მკაფიო ნორმატიულ ჩარჩოებს, რომლებიც ვიდეო მეთვალყურეობის სისტემაზე პასუხისმგებელ პირს ავალდებულებდა, თუნდაც საჯარო ადგილზე, წინასწარ გაეფრთხილებინა პირები, რომლებზეც ხორციელდებოდა სისტემატური კონტროლი. მიუხედავად ამისა, მომჩივნებს მხოლოდ ხილული კამერების შესახებ აცნობეს; მომჩივანთა ნაწილი სამუშაო დღის განმავლობაში შესაძლებელია გადაღებული ყოფილიყო. ვიდეოთვალთვალი ათი დღე გაგრძელდა და შეწყდა მაშინ, როდესაც ვიდეომასალით გამოვლინდა, რომ მომჩივნები ნივთებს იპარავდნენ. ისინი სამსახურიდან გაათავისუფლეს სადავო ვიდეოჩანანერის საფუძველზე.

სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევას.

¹⁰⁷ Lopez Ribalda and Others v. Spain [დიდი პალატა], nos. 1874/13 და 8567/13, 17 ოქტომბერი, 2019.

გადაწყვეტილება აღსანიშნავია იმით, რომ ანაცვლებს საქმეში ბარბულესკუ რუმინეთის წინააღმდეგ,¹⁰⁸ დადგენილ პრინციპებს, სამუშაო ადგილზე დამსაქმებლის მიერ ვიდუოთვალთვალის ზომების მიღების თაობაზე, ზოგიერთი ზემოაღნიშნული პრინციპი მომდინარეობს ადრინდელი გადაწყვეტილებიდან კოპკე გერმანიის წინააღმდეგ,¹⁰⁹ რომლის ფაქტებიც წინამდებარე საქმის მსგავსია.

დიდმა პალატამ ამით განსაზღვრა შემდეგი ფაქტორები, რომლებიც მხედველობაში უნდა იქნას მიღებული, როდესაც ფასდება მსგავსი ვიდუოთვალთვალის პროპორციულობა და საქმეში შეპირისპირებული ინტერესები:

(i) ეცნობა თუ არა თანამშრომელს დამსაქმებლის მიერ ვიდუოთვალთვალის ზომების მიღების შესაძლებლობის და მისი განხორციელების შესახებ – თუმცა, პრაქტიკაში თანამშრომლებს შეიძლება სხვადასხვა ფორმით მიენოდოთ ცნობები, რაც დამოკიდებულია თითოეული საქმის კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებებზე. ჩვეულებრივ, შეტყობინება უნდა იყოს ნათელი მონიტორინგის ბუნების შესახებ და ის ცნობილი უნდა იყოს ზომების მიღებამდე.

აღსანიშნავია, სტრასბურგის სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ გამჭვირვალობის მოთხოვნა და ინფორმაციის მიღების უფლების უზრუნველყოფა ფუნდამენტური ხასიათისაა, განსაკუთრებით შრომით ურთიერთობებში, როდესაც დამსაქმებელს აქვს მნიშვნელოვანი უფლებამოსილებები დასაქმებულთან მიმართებით და ამ უფლებამოსილებების ნებისმიერი ბოროტად გამოყენება თავიდან უნდა იქნეს აცილებული. შესაბამისად, ინფორმაციის წინასწარ მიუწოდებლობა შესაძლოა გაამართლოს მხოლოდ უფრო მნიშვნელოვანმა საჭიროებამ, რომელიც დაკავშირებულია არსებითი საჯარო და კერძო ინტერესების დაცვასთან.

მეორე მხრივ, ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ ეროვნული დებულება, რომელიც სავალდებულოდ ხდის მონიტორინგისა და მისი მოცულობის თაობაზე ინფორმაციის მიწოდებას, წარმოადგენს მხოლოდ ერთ კრიტერიუმს, რომელიც გათვალისწინებული უნდა იყოს მოცემული შემთხვევის მსგავსი ზომის პროპორციულობის შეფასებისას. თუმცა, თუ ასეთი ინფორმაცია არ არსებობს, სხვა კრიტერიუმებიდან გამომდინარე გარანტიები იქნება „უფრო მნიშვნელოვანი“.

(ii) დამსაქმებლის მიერ მონიტორინგის მოცულობა და დასაქმებულის პირად ცხოვრებაში შეჭრის ხარისხი – ამასთან დაკავშირებით, მხედველობაში უნდა იყოს მიღებული დროისა და სივრცის ნებისმიერი შეზღუდვა და იმ ადამიანთა ოდენობა, რომლებსაც გააჩნიათ წვდომა შედეგებზე, აგრეთვე პირადი ცხოვრების დაცულობის ხარისხი მონიტორინგის არეალში.

რაც შეეხება ამ უკანასკნელ ფაქტორს, სტრასბურგის სასამართლომ განმარტა, რომ პირადი ცხოვრების დაცულობის მოლოდინი, რომელიც თანამშრომელს გონივრულად შეიძლება ჰქონდეს, ძალიან დიდია ისეთ ადგილებში რომლებიც

¹⁰⁸ Barbulescu v. Romania, no. 61496/08, 5 სექტემბერი, 2017 (ამონარიდები).

¹⁰⁹ Kopke v. Germany (განჩინება), no 420/07, 5 ოქტომბერი, 2010.

თავისი ბუნებით პირადია, მაგალითად, საპირფარეოები ან გასახდლები, სადაც გაუმჯობესებული დაცვა ან თუნდაც ვიდეოთვალთვალის სრული აკრძალვა, გამართლებულია. მოლოდინი ასევე მაღალია დახურულ სამუშაო ადგილებში, როგორცაა ოფისები. ხოლო, ამჟამად დაბალია იმ ადგილებში, რომლებიც თვალსაჩინო და ხელმისაწვდომია კოლეგების ან როგორც მოცემულ შემთხვევაში – ფართო საზოგადოებისთვის.

(iii) ნარმოადგინა თუ არა დამსაქმებელმა ლეგიტიმური მიზეზები მონიტორინგის და მისი მოცულობის გასამართლებლად – მონიტორინგი, რაც უფრო იჭრება პირად ცხოვრებაში, უფრო „ნონადი“ მიზეზებია საჭირო, მის გასამართლებლად.

სტრასბურგის სასამართლომ განმარტა, იგი ვერ დაეთანხმება, რომ ზოგადად, მცირედი ეჭვი თანამშრომლების მხრიდან უკანონო მითვისებასა თუ რაიმე სხვა დანაშაულზე, შეიძლება ამართლებდეს დამსაქმებლის მიერ ვიდეო სათვალთვალო კამერის დამონტაჟებას. გონივრული ეჭვის არსებობა, რომ სახეზეა სერიოზული გადაცდომა და გამოვლენილი ზარალის ოდენობა, შეიძლება ნარმოადგენდეს მნიშვნელოვან დასაბუთებას. მით უფრო ისეთი სიტუაციის დროს, როდესაც საფრთხე ემუქრება კომპანიის გამართულ ფუნქციონირებას და ეჭვი არსებობს არა მხოლოდ ერთი თანამშრომლის გადაცდომის მიმართ, არამედ რამდენიმე თანამშრომლის შეთანხმებული ქმედების თაობაზე, რადგან ეს უნდობლობის ატმოსფეროს ქმნის სამუშაო ადგილზე.

(iv) შესაძლებელი იქნებოდა თუ არა მონიტორინგის სისტემის შექმნა ნაკლებად ჩამრევი მეთოდებისა და ზომების გამოყენებით – ამასთან დაკავშირებით, უნდა მოხდეს თითოეული საქმის გარემოებების შეფასება, შეიძლებოდა თუ არა დამსაქმებლის მიერ დასახული მიზნის მიღწევა დასაქმებულის პირად ცხოვრებაში ნაკლები ჩარევით.

(v) დასაქმებულისთვის დაწესებული მონიტორინგის შედეგები – განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს დამსაქმებლის მიერ მონიტორინგის შედეგების გამოყენებას და იმას, გამოყენებული იქნა თუ არა ასეთი შედეგები დასახული მიზნის მისაღწევად.

(vi) უზრუნველყოფილია თუ არა დასაქმებული შესაბამისი გარანტიებით, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც დამსაქმებლის მიერ განხორციელებული მონიტორინგის ზომები ჩარევას ითვალისწინებს – ამგვარი გარანტიები, შეიძლება მოიცავდეს თანამშრომლისთვის ან პერსონალის ნარმომადგენლებისთვის მონიტორინგის დაწესების და მისი მასშტაბის შესახებ ინფორმაციით უზრუნველყოფას, დამოუკიდებელი ორგანოსთვის ამგვარი ზომების დეკლარაციას ან გასაჩივრების შესაძლებლობას.

სტრასბურგის სასამართლოს დიდმა პალატამ ხაზი გაუსვა, რომ ზემოაღნიშნული ფაქტორები გამოყენებული უნდა იქნეს სამუშაო ურთიერთობების სპეციფიკისა და ახალი ტექნოლოგიების განვითარების გათვალისწინებით, რამაც შეიძლება ხელი შეუწყოს ისეთი ზომების მიღებას, რომლებიც უფრო მეტად ერევა თანამშრომელთა პირად ცხოვრებაში.

წინამდებარე საქმის გარემოებებზე დაყრდნობით, დიდმა პალატამ დაადგინა, რომ მომჩივანთა პირად ცხოვრებაში შეჭრას არ მიუღწევია სერიოზულობის მაღალი ხარისხისთვის და ვიდუოთვალთვალის გამამართლებელი მიზეზები წონადი იყო. ასევე, ესპანეთის კანონმდებლობით მოცემული მნიშვნელოვანი გარანტიების და მათ შორის, სხვა საშუალებების გათვალისწინებით, რომლებიც მომჩივნებს არ გამოუყენებიათ, დიდმა პალატამ დაადგინა, რომ ეროვნულმა ხელისუფლებამ შეასრულა მე-8 მუხლით გათვალისწინებული პოზიტიური ვალდებულება და არ გადააჭარბა საკუთარ თავისუფალი შეფასების ფარგლებს.

საქმე *სტრენდ ლობენი და სხვები ნორვეგიის წინააღმდეგ [დიდი პალატა]*,¹¹⁰ ეხებოდა გადანყვეტილების მიღების პროცესში არსებულ ხარვეზებს, რის შედეგადაც მოწყვლადი ბავშვი გაშვილებული იქნა მინდობით აღმზრდელ ოჯახზე.

მომჩივნები იყვნენ დედა და მისი ვაჟი. ვაჟის დაბადებიდან ოთხ დღეში, ორივე გადავიდა მშობელთა და ბავშვთა მზრუნველობის დანესებულებაში. სამი კვირის შემდეგ, დედამ უარი თქვა დანესებულებაში დარჩენაზე. დედის მიერ შვილისათვის ძირითადი მზრუნველობის მინოდების შესაძლებლობასთან დაკავშირებით, დანესებულების მხრიდან გამოთქმული სერიოზული შემფოთების გამო, ბავშვი გადაეცა მინდობით აღსაზრდელად. ეროვნულმა სასამართლოებმა დედას შვილის ნახვის უფლება მისცეს ყოველწლიურად, ექვსი ორსაათიანი ვიზიტის ფარგლებში, რაც შემდგომში შემცირდა ოთხი ორსაათიანი ვიზიტით. დაახლოებით სამი წლის შემდეგ და დედის სურვილის საწინააღმდეგოდ, დედას ჩამოერთვა მშობლის უფლებები და მინდობით აღმზრდელმა მშობლებმა მიიღეს ვაჟის შვილად აყვანის უფლება. ეროვნულმა სასამართლოებმა დაადგინეს, რომ არსებობდა წონადი მიზეზები, რათა დაედასტურებინათ ბავშვის შვილად აყვანის მოთხოვნა. მიუხედავად იმისა, რომ დედის ზოგადი მდგომარეობა გაუმჯობესდა (იგი დაქორწინდა და შეეძინა ქალიშვილი, რომელზე ზრუნვაც შეეძლო), იგი ვერ შეძლებდა საკმარისად გაეგო ვაჟიშვილის განსაკუთრებული მოვლის საჭიროებები. რამდენიმე ექსპერტი ბავშვს მიიჩნევდა მოწყვლადად, რომელსაც ბევრი სიმშვიდე, დაცვა და მხარდაჭერა სჭირდებოდა, ხოლო შვილად აყვანა მინდობით აღმზრდელი მშობლების მიერ, რომელსაც ის შეჩვეული იყო, შეუქმნიდა უსაფრთხოების განცდას.

დიდმა პალატამ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა.

დიდი პალატის გადანყვეტილება მნიშვნელოვანია იმ პრინციპების გამოყენების მეთოდით, რომლებიც შემუშავებულ იქნა საქმეებში *ოლსონი შვედეთის წინააღმდეგ* (no.1),¹¹¹ *იოჰანსენი ნორვეგიის წინააღმდეგ*¹¹² და *კ. და თ. ფინეთის წინააღმდეგ [დიდი პალატა]*,¹¹³ კერძოდ, პრინციპები რომლებიც ეხება სახელ-

¹¹⁰ Strand Lobben and Others v. Norway [დიდი პალატა], no. 37283/13, 10 სექტემბერი, 2019.

¹¹¹ Olsson v. Sweden (no. 1), 24 მარტი, 1988, Series A no. 130.

¹¹² Johansen v. Norway, 7 აგვისტო, 1996, გადანყვეტილებათა და განჩინებათა ანგარიშები, 1996-III.

¹¹³ K. and T. v. Finland [დიდი პალატა], no. 25702/94, ECHR 2001-VII.

მნიშვნელოვან პოზიტიურ ვალდებულებას – ოჯახის გაერთიანების უზრუნველსაყოფად მიიღონ ზომები მაშინვე, როგორც კი ეს გონივრულად ჩაითვლება.

დიდი პალატის მთავარ განსახილველ საკითხს წარმოადგენდა, გადაწყვეტილების მიღების პროცესში (რომლის შედეგიც იყო მშობლის უფლებების ჩამორთმევა და ბავშვის შვილად აყვანა) უზრუნველყოფილ იქნა თუ არა, რომ მომჩივნის ყველა შეხედულება და ინტერესი გათვალისწინებულიყო; აგრეთვე, აღნიშნულ პროცესს თან ახლდა თუ არა გარანტიები, რომლებიც თანაზომიერია ჩარევის სიმძიმესა და სადავო ინტერესების სერიოზულ ხასიათთან. დიდმა პალატამ კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა დაადგინა და გამოავლინა მთელი რიგი ხარვეზები.

პირველი, დიდმა პალატამ დაადგინა, რომ ეროვნულმა ხელისუფლებამ არ დაადგინა ბალანსი ბავშვის ინტერესებსა და მისი ბიოლოგიური ოჯახის ინტერესებს შორის, არამედ ყურადღება გაამახვილა მხოლოდ ბავშვის ინტერესებზე ისე, რომ სერიოზულად არ დაფიქრებულა ბავშვისა და მისი ბიოლოგიური ოჯახის გაერთიანებაზე. მაგალითად, აღნიშნა, რომ პირისპირ შეხვედრები მიზნად ისახავდა საკუთარ ფესვებთან ურთიერთობის შენარჩუნებას და არა მის ბიოლოგიურ დედასთან მომავალ დაბრუნებას. შეხვედრების ორგანიზების წესი ხელს არ უწყობდა მომჩივნებს თავისუფლად დაემყარებინათ ერთმანეთთან კავშირი და მიუხედავად იმისა, რომ ეს შეხვედრები ხშირად კარგად არ მიმდინარეობდა, ბევრი რამ არ გაკეთებულა ალტერნატიული ზომების მისაღებად.

მეორე, დედის ბავშვზე მზრუნველობის შესაძლებლობის შეფასება, რაც ეროვნული სასამართლოსთვის მთავარი ფაქტორი აღმოჩნდა, ხარვეზიანი იყო რამდენიმე მიზეზის გამო. შესაბამისი საექსპერტო დასკვნები, რომლებიც გაკეთდა სამართალწარმოების ადრეულ ეტაპზე, სადავო გადაწყვეტილების მიღებიდან ორი წლით ადრე იყო მომზადებული. ამ დასკვნებიდან მხოლოდ ერთი ეფუძნებოდა მომჩივნებს შორის ურთიერთდამოკიდებულებაზე დაკვირვების შედეგებს და ისიც მხოლოდ ორი შეხვედრის საფუძველზე. ნებისმიერ შემთხვევაში, ბავშვის მინდობით აღმზრდელ მშობლებთან ყოფნის პერიოდში, მისი და მომჩივნის იშვიათი შეხვედრებიდან მხოლოდ მცირე მტკიცებულებების მიღება შეიძლება. გარდა ამისა, ხელისუფლებამ არ გაითვალისწინა დედის ახალი ოჯახის მდგომარეობის პოტენციური მნიშვნელობა (მისი ქორწინება და მეორე შვილის დაბადება). ამ გარემოებებში, ახალი ექსპერტიზის არარსებობამ არსებითად შეზღუდა იმ დროისთვის მისი მზრუნველობის შესაძლებლობების ფაქტობრივი შეფასება.

მესამე, ეროვნული სასამართლოების მსჯელობა ბავშვის განსაკუთრებულ საჭიროებებსა და მონყვლადობასთან დაკავშირებით არ იყო საკმარისი, განსახილველი ინტერესის სერიოზული ხასიათიდან გამომდინარე. კერძოდ, ახსნილი არ იყო, თუ რატომ იყო ბავშვი კვლავ მონყვლადი, იმის მიუხედავად, რომ სამი კვირის ასაკიდან მინდობით აღმზრდელ მშობლებთან ცხოვრობდა. გარდა ამისა, თითქმის არ ყოფილა გაანალიზებული მისი მონყვლადობის ხასიათი, ექსპერტების მოკლე აღწერის გარდა, რომ იგი მარტივად განიცდიდა სტრესს და სჭირდებოდა სინყნარე, დაცვა და მხარდაჭერა.

საქმე *გუიმონი საფრანგეთის წინააღმდეგ*,¹¹⁴ ეხებოდა ტერორისტულ დანაშაულში მსჯავრდებული პირისთვის, თანმხლებ პირებთან ერთად, ციხის დატოვებაზე უარს იმისათვის, რომ პატივი მიეგო ახლადგარდაცვლილი მამისთვის.

მომჩივანი, ტერორისტული ორგანიზაცია ETA-ს წევრი, 11 წლის განმავლობაში იმყოფებოდა პატიმრობაში სერიოზული ხასიათის ტერორისტული დანაშაულების გამო, როდესაც მან მოითხოვა თანმხლებ პირებთან ერთად ციხის შენობის დატოვება გარდაცვლილი მამის დაკრძალვაზე დასასწრებლად. მას მამა არ უნახავს 5 წლის განმავლობაში, რადგან ის ციხეში ვერ მიდიოდა ჯანმრთელობის მდგომარეობისა და იმ ფაქტის გამო, რომ ციხის შენობა შორს იყო. მომჩივანმა ციხის დატოვების მოთხოვნა დროულად წარადგინა და ხელისუფლებას 6 დღე ჰქონდა, რომ მოემზადებინა მისი ესკორტი. მომჩივნის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა ლოჯისტიკური მიზეზების გამო, ისევე როგორც ყველა მისი საჩივარი.

საქმე საინტერესოა იმით, რომ ის განმარტავს სასამართლო პრაქტიკას თანმხლებ პირებთან ერთად პატიმრის მიერ ციხის დატოვებასთან დაკავშირებით იმ მიზნით, რომ ის დაკრძალვას დაესწროს (*პლოსკი პოლონეთის წინააღმდეგ*,¹¹⁵ *კუბიაკი პოლონეთის წინააღმდეგ*¹¹⁶ და *კანალასი რუმინეთის წინააღმდეგ*¹¹⁷).

სტრასბურგის სასამართლომ მოცემულ საქმეში კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა არ დაადგინა.

ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ეროვნული სასამართლო ხელისუფლების თანახმად, მომჩივნის კრიმინალური წარსულის გათვალისწინებით (იგი მსჯავრს იხდიდა რამდენიმე ტერორისტული აქტის გამო და კვლავ რჩებოდა ETA-ს წევრად), ესკორტთან დაკავშირებული ზომები განსაკუთრებით მკაცრი უნდა ყოფილიყო. ასევე, მათ გაითვალისწინეს ის კონტექსტი, რომლის ფარგლებშიც უნდა მომხდარიყო ციხის დატოვების ორგანიზება (ბასკი მსჯავრდებული აქტივისტის ბასკების ქვეყანაში დაბრუნება, სადაც მას დიდი მხარდაჭერა ჰქონდა); და ისეთი საკითხები, როგორიცაა დაახლოებით 650 კმ. გეოგრაფიული მანძილი.

სტრასბურგის სასამართლომ ვერ დაინახა რაიმე საფუძველი, რათა ეჭვქვეშ დაეყენებინა მთავრობის განცხადება იმის შესახებ, რომ არსებული დრო არასაკმარისი იყო, რათა ესკორტი დაეკომპლექტებინათ ტერორისტული დანაშაულებისთვის მსჯავრდებული პატიმრის გადაყვანასა და ზედამხედველობაში სპეციალურად მომზადებული ოფიცრებით; აგრეთვე შენობის წინასწარი შემოწმების ორგანიზებისათვის. შესაბამისად, უარი იყო დასახული ლეგიტიმური მიზნების პროპორციული, რომლებიც მიზნად ისახავდნენ საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფას, აგრეთვე გაქცევის და საჯარო წესრიგის დარღვევისა და დანაშაულის თავიდან აცილებას.

¹¹⁴ Guimon v. France, no. 48798/14, 11 აპრილი, 2019.

¹¹⁵ Ploski v. Poland, no. 26761/95, 12 ნოემბერი, 2002.

¹¹⁶ Kubiak v. Poland, no. 2900/11, 21 აპრილი, 2015.

¹¹⁷ Kanalas v. Romania, no. 20323/14, 6 დეკემბერი, 2016.

გამოსატვის თავისუფლება (მუხლი 10)

გადანყვეტილება საქმეზე *Magyar Kétfarkú Kutya Párt უნგრეთის წინააღმდეგ [დიდი პალატა]*,¹¹⁸ ეხებოდა რეფერენდუმის ან არჩევნების კონტექსტში პოლიტიკური პარტიების გამოსატვის თავისუფლებაზე დაწესებული შეზღუდვების განჭვრეტადობას.

2016 წელს, უნგრეთში ჩატარდა რეფერენდუმი, რომელიც ეხებოდა ევროპის კავშირის მიგრანტების რელოკაციის გეგმას. რეფერენდუმამდე მცირე ხნით ადრე, მომჩივანმა პოლიტიკურმა პარტიამ ამომრჩევლებისთვის ხელმისაწვდომი გახადა მობილური ტელეფონის აპლიკაცია, რომლის მეშვეობითაც მათ შეეძლოთ ბიულეტენისთვის გადაღებული ფოტოების ანონიმურად ატვირთვა და გაზიარება. ეროვნულ საარჩევნო კომისიაში კერძო პირის მიერ წარდგენილი საჩივრის შემდეგ, მომჩივანი პარტია დაჯარიმდა კენჭისყრის საიდუმლოებისა და სამართლიანობის, აგრეთვე იმ პრინციპის დარღვევისთვის, რომლის მიხედვითაც „უფლებები მათი მიზნების შესაბამისად უნდა იქნას გამოყენებული“. უნგრეთის უზენაესმა სასამართლომ ძალაში დატოვა საარჩევნო კომისიის დასკვნა ამ უკანასკნელ პრინციპთან მიმართებით, თუმცა მიიჩნია, რომ კენჭისყრის საიდუმლოებისა და სამართლიანობის პრინციპი არ დარღვეულა. მომჩივანი პარტიის საკონსტიტუციო საჩივარი დაუშვებლად გამოცხადდა.

სტრასბურგის სასამართლომ საკითხი შეისწავლა კონვენციის მე-10 მუხლის მიხედვით, გამოყენებული ღონისძიების კანონიერების თვალსაზრისით. დიდმა პალატამ მიიჩნია, რომ კანონმდებლობა, რომელიც ითვალისწინებდა პრინციპს, რომლის მიხედვითაც „უფლებები, მათი მიზნების შესაბამისად უნდა იქნას გამოყენებული“, არ იყო საკმარისი სიზუსტით ფორმულირებული, რათა გამორიცხულიყო თვითნებობა. სასამართლომ მე-10 მუხლის დარღვევა დაადგინა.

გადანყვეტილება აღსანიშნავია, ვინაიდან ის აზუსტებს სტრასბურგის სასამართლოს განხილვის ფარგლებს საარჩევნო კონტექსტში პოლიტიკური პარტიების გამოსატვის თავისუფლებაზე დაწესებულ შეზღუდვებთან მიმართებით.

(i) საარჩევნო კონტექსტში პოლიტიკური პარტიების გამოსატვის თავისუფლებაზე დაწესებული შეზღუდვები უნდა ექვემდებარებოდეს მკაცრ ზედამხედველობას. იგივე შეიძლება ითქვას რეფერენდუმზეც, რომელიც მიზნად ისახავს ამომრჩეველთა მოსაზრების დაზუსტებას საჯარო ინტერესის მქონე საკითხთან დაკავშირებით.

(ii) მსგავსი მკაცრი ზედამხედველობა ვრცელდება იმის შემონიშნებაზე, რამდენად საკმარისად განჭვრეტადი იყო სამართლებრივი საფუძველი, რომელსაც ხელისუფლების ორგანო დაეყრდნო პოლიტიკური პარტიის გამოსატვის თავისუფლების შეზღუდვის დროს და გამორიცხავდა თუ არა ის თვითნებობას. მკაცრი ზედამხედველობა მიზნად ისახავს დემოკრატიის, ისევე როგორც პოლიტიკური პარტიების დაცვას ხელისუფლების ორგანოს მხრიდან თვითნებური ჩარევებისგან, ვინაიდან ამ კონტექსტში გამოსატვის თავისუფლებაზე დაწესებულ-

¹¹⁸ საჩივარი N201/17, 20 იანვარი, 2020.

მა ნებისმიერმა შეზღუდვამ საკმარისად განჭვრეტადი რეგულაციების გარეშე, შესაძლოა დააზიანოს ღია პოლიტიკური დებატები, ხმის მიცემის პროცესის ლეგიტიმურობა, არჩევნების შედეგები და საბოლოოდ მოქალაქეთა ნდობა დემოკრატიული ინსტიტუტებისადმი.

წინამდებარე საქმეზე სასამართლომ აღნიშნა, რომ მომჩივანი პოლიტიკური პარტია ცდილობდა ამომრჩევლისთვის ხელმისაწვდომი გაეხადა ფორუმი, სადაც შეძლებდნენ არამხოლოდ მოსაზრებების გამოხატვას, არამედ აგრეთვე პოლიტიკური მესიჯების გაგზავნას რეფერენდუმის შესახებ (აპლიკაციის სახელი იყო „დაითვალე ბათილი ბიულეტენები“). შესაბამისად, ადგილი ჰქონდა პარტიის გამოხატვის უფლებაში ჩარევას ორივე ასპექტთან მიმართებით: როგორც მესამე პირთათვის ფორუმის უზრუნველყოფის, აგრეთვე ინფორმაციისა და იდეების გავრცელების კუთხით.

საქმის საკვანძო საკითხი იყო შემდეგი: პოლიტიკურმა პარტიამ იცოდა ან საჭიროების შემთხვევაში, სათანადო სამართლებრივი რჩევის მიღების შემდეგ, უნდა ცოდნოდა თუ არა, რომ მისი ქმედება დაარღვევდა საარჩევნო კანონმდებლობას იმ პირობებში, როდესაც ეროვნულ კანონმდებლობაში არ არსებობდა ჩანაწერი, რომელიც ცალსახად მოაწესრიგებდა ბიულეტენებისთვის სურათების გადაღებისა და ანონიმური ფორმით მათ მობილურ აპლიკაციაში ატვირთვასთან დაკავშირებულ საკითხს, როდესაც ხმის მიცემა კვლავ გრძელდებოდა.

სტრასბურგის სასამართლომ შენიშნა, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა იმ პრინციპის ბუნდოვანება, რომელსაც ხელისუფლება დაეყრდნო და რომლის მიხედვითაც „უფლებები მათი მიზნების შესაბამისად უნდა იქნას გამოყენებული“. შესაბამისი კანონმდებლობა არ ადგენდა, რა არღვევდა აღნიშნულ პრინციპს, ის არ ითვალისწინებდა რაიმე კრიტერიუმს, რომელიც განსაზღვრავდა, რა მდგომარეობაში დაირღვეოდა ეს პრინციპი და არც რაიმე მაგალითს მოიცავდა. რელევანტური ეროვნული საკანონმდებლო ჩარჩო ხმის მიცემასთან დაკავშირებული ექსპრესიული ქცევის შეზღუდვას დასაშვებად მიიჩნევდა ყოველ კონკრეტულ ინდივიდუალურ საქმეზე და შესაბამისად, საარჩევნო ორგანოებსა და ეროვნულ სასამართლოებს ძალიან ფართო დისკრეციას ანიჭებდა. მიუხედავად იმისა, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ შეზღუდა აღნიშნული პრინციპის გამოყენება ხმის მიცემასთან დაკავშირებულ ქმედებასთან, რომელსაც ჰქონდა „უარყოფითი შედეგები“, არ დადგენილა სადავო შეზღუდვა როგორც იყო „დაკავშირებული, პოტენციურ ან რეალურ, კონკრეტულ უარყოფით შედეგთან“, ვინაიდან მომჩივან პარტიას არ დაურღვევია რეფერენდუმის სამართლიანობა ან კენჭისყრის ფარულობა.

არჩევნების ან რეფერენდუმის კონტექსტში პოლიტიკური პარტიის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის დროს, კანონმდებლობის განჭვრეტადობის განსაკუთრებული მნიშვნელობის გათვალისწინებით, სტრასბურგის სასამართლომ დაასკვნა, რომ სადავო სამართლებრივი დებულებების პოტენციურ გავლენასთან დაკავშირებით არსებობდა მნიშვნელოვანი გაურკვეველობა, რაც აჭარბებდა კონვენციის მე-10 მუხლის მიხედვით დასაშვებ ფარგლებს.

გადანყვეტილება საქმეზე **ბალდასი და სხვები საფრანგეთის წინააღმდეგ**,¹¹⁹ ეხებოდა ბოიკოტის გამოცხადების უფლებას, როგორც გამოხატვის კონკრეტულ ფორმას.

მოცემული საქმე ეხებოდა აქტივისტების სისხლისსამართლებრივ მსჯავრდებას, რომლებიც ჩართულნი იყვნენ პალესტინის არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ დაწყებულ საერთაშორისო კამპანიაში „ბოიკოტი, მხილება და სანქციები“, მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდა საერთაშორისო სასამართლოს დასკვნა, რომელიც ეხებოდა ისრაელის გამყოფი ბარიერის უკანონობას. საერთაშორისო სასამართლოს მიზანი იყო ისრაელზე განეხორციელებინათ ზენოლა, რათა მას შეესრულებინა საერთაშორისო სამართალი. პრესის თავისუფლების შესახებ 1881 წლის 29 ივლისის კანონის 24-ე მუხლის მე-8 ნაწილის საფუძველზე, მომჩივნები დამნაშავედ ცნეს ეკონომიკური დისკრიმინაციის ნაქეზებაში იმის გამო, რომ ისინი ჩართულნი იყვნენ ისრაელის წარმოებული პროდუქტების ბოიკოტში.

მომჩივნები ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე დავობდნენ, რომ დაირღვა კონვენციის მე-7 და მე-10 მუხლები. კერძოდ, ისინი აღნიშნავდნენ, რომ კანონში მოცემული სიტყვების – „დისკრიმინაციის ნაქეზება“, ზოგადი ბუნება ეწინააღმდეგებოდა კონვენციის მე-7 მუხლს, ვინაიდან ძალიან ფართო ტერმინი გამოიყენებოდა არაერთმნიშვნელოვან კონცეფციასთან, კერძოდ, დისკრიმინაციასთან მიმართებით. სასამართლომ კონვენციის მე-7 მუხლის დარღვევა არ დაადგინა, თუმცა მიიჩნია, რომ საქმეზე დარღვეული იქნა მე-10 მუხლი.

სტრასბურგის სასამართლოს იშვიათად ჰქონდა შესაძლებლობა განეხილა ბოიკოტის თავსებადობა კონვენციის მე-10 მუხლთან, ერთი ასეთი საქმე იყო *ვილემი საფრანგეთის წინააღმდეგ*.¹²⁰ მოცემული საქმე *პირველი შემთხვევა*, როდესაც სტრასბურგის სასამართლომ ბოიკოტი მოიხსენია საპროტესტო მოსაზრებების გამოთქმის საშუალებად, თუმცა ხელახლა აღნიშნა, რომ არსებობს საზღვარი, რომელიც არ უნდა გადალახონ კონვენციის მე-10 მუხლის მიხედვით:

„63. პირველ ყოვლისა, ბოიკოტი არის საჯარო პროტესტის გამოხატვის საშუალება. ბოიკოტისკენ მოწოდება, რომელიც მიზნად ისახავს პროტესტის შემცველი მოსაზრებების გადმოცემას, კონკრეტული ქმედებებისკენ მოწოდებასთან ერთად, შესაბამისად, პრინციპში, დაცულია კონვენციის მე-10 მუხლით.

64. თუმცა, ბოიკოტისკენ მოწოდება გამოხატვის თავისუფლების სპეციალური ფორმაა, ვინაიდან ის აერთიანებს პროტესტის შემცველი მოსაზრების გამოხატვას განსხვავებული მოპყრობისკენ ნაქეზებასთან ერთად, რომელიც კონკრეტული გარემოებიდან გამომდინარე, შეიძლება უტოლდებოდეს სხვების მიმართ დისკრიმინაციის მოწოდებას. დისკრიმინაციის ნახალისება არის შეუწყნარებლობის ნახალისების ფორმა, რომელიც ძალადობისა და სიძულვილის მოწოდებასთან ერთად, არის ერთ-ერთი ზღვარი, რომელიც არ უნდა იყოს გადალახული გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობის დროს

¹¹⁹ Baldassi and Others v. France, საჩივარი N15271/16 და 6 სხვა, 11 ივნისი, 2020.

¹²⁰ Willem v. France, საჩივარი N10883/05, 16 ივლისი, 2009.

(იხ.: მაგალითად, *პერინჩეკი*, §240). მიუხედავად ამისა, განსხვავებული მოპყრობის ნაქეზება აუცილებლად არ არის დისკრიმინაციის ნახალისების ტოლფასი“.

ჩარევის (მომჩივანთა მსჯავრდება) აუცილებლობის განხილვის დროს, სასამართლომ გამოიყენა სამეტაპიანი მიდგომა:

(i) პირველი, სასამართლომ აღნიშნა, რომ ვილემის საქმე, სადაც მან მე-10 მუხლის დარღვევა არ დაადგინა, მოცემულ საქმეზე პრეცედენტად არ გამოდგება, ვინაიდან ბ-ნი ვილემი დამნაშავედ იქნა ცნობილი არა დისკრიმინაციული ქმედების, არამედ პოლიტიკური მოსაზრებების გამო.

ზემოხსენებულ საქმეში მომჩივანი იყო მერი, რომელმაც 2002 წელს, მუნიციპალური საბჭოს სხდომაზე, რომელსაც ჟურნალისტებიც ესწრებოდნენ და მოგვიანებით, მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე განაცხადა, რომ მუნიციპალური კვების სამსახურებს სთხოვა ბოიკოტი გამოეცხადებინათ ისრაელის საკვები პროდუქტებისთვის, პალესტინელების მიმართ ისრაელის პრემიერ-მინისტრის პოლიტიკის გაპროტესტების ნიშნად. გადაწყვეტილების გამოცხადების დროს მომჩივანი მოქმედებდა, როგორც მერი და იყენებდა მერის უფლებამოსილებას, რითაც უგულებელყო ნეიტრალურობის ვალდებულება. მან განაცხადება გააკეთა წინასწარი დებატების ან მუნიციპალურ საბჭოში კენჭისყრის გარეშე; შესაბამისად, ის ვერ განაცხადებდა, რომ ხელს უწყობდა თავისუფალ დისკუსიას საჯარო ინტერესის მქონე საკითხთან დაკავშირებით.

სასამართლომ წინამდებარე საქმესა და ვილემის საქმეს შორის განასხვავა შემდეგი გარემოებები: მოცემულ საქმეში მომჩივნები იყვნენ ჩვეულებრივი მოქალაქეები, რომლებიც არ იყვნენ შეზღუდულნი მერის მანდატიდან გამომდინარე ვალდებულებებითა და პასუხისმგებლობებით; მათი გავლენა მომხმარებლებზე ვერ შეედრებოდა მერის გავლენას მუნიციპალიტეტის სერვისებზე; მომჩივნების მხრიდან ბოიკოტისკენ მოწოდება მიზნად ისახავდა სუპერმარკეტის მომხმარებლებს შორის დებატების დანყებას, რამაც საბოლოოდ განაპირობა მომჩივანთა მსჯავრდება, რასაც ისინი სტრასბურგის სასამართლოს წინაშე ასაჩივრებდნენ.

(ii) სასამართლომ გაიმეორა ზღვარი, რომლის გადალახვაც დაუშვებელი იყო გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობის დროს და აღნიშნა, რომ მომჩივნები არ იყვნენ დამნაშავედ ცნობილნი რასისტული ან ანტისემიტური განცხადებების ან სიძულვილისა და ძალადობის მოწოდების გამო; მათ მსჯავრი ასევე, არ დაედოთ ძალადობაში ჩართულობის ან ზიანის მიყენების საფუძველზე.

(iii) სტრასბურგის სასამართლომ, ისე რომ ეჭვქვეშ არ დააყენა იმ კანონის განმარტება, რომელსაც ეფუძნებოდა მომჩივანთა მსჯავრდება, შეაფასა ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილებათა დასაბუთება. სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნა, რომ საფრანგეთის კანონმდებლობა, რომელიც მოცემულ საქმეზე იქნა გამოყენებული და განმარტებული, კრძალავდა ბოიკოტისკენ ნებისმიერ მოწოდებას გეოგრაფიული წარმოშობის გამო, მიუხედავად მსგავსი მოწოდების მიმართულების, საფუძვლისა და გარემოებებისა.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ მსჯავრდების

სამართლებრივი საფუძვლის შეფასების დროს, ეროვნულმა სასამართლომ ვერ უზრუნველყო დეტალური მიზეზების წარმოდგენა, რაც მოცემულ საქმეში არსებითი მნიშვნელობის იქნებოდა, ვინაიდან ის ეხებოდა სიტუაციას, როდესაც კონვენციის მე-10 მუხლი მოითხოვდა გამოხატვის თავისუფლების მაღალი ხარისხით დაცვას. ნამდვილად, ერთი მხრივ, მომჩივანთა ქმედებები და განცხადებები ეხებოდა საჯარო ინტერესის მქონე საკითხს, კერძოდ, ისრაელის სახელმწიფოს მიერ საერთაშორისო საჯარო სამართლის მოთხოვნების შესრულებას და პალესტინის ოკუპირებულ ტერიტორიაზე ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ მდგომარეობას, რაც ასევე თანამედროვე დებატების ნაწილი იყო საფრანგეთსა და საერთაშორისო საზოგადოებაში. მეორე მხრივ, მომჩივანთა ქმედებები და განცხადებები ექცეოდა პოლიტიკური ან საომარი განწყობილების გამოხატვის ფარგლებში.

სტრასბურგის სასამართლომ, ფაქტების სათანადო შეფასებასა და კონვენციის მე-10 მუხლში მოცემულ პრინციპებზე დაყრდნობით, დაასკვნა, რომ მომჩივანთა მსჯავრდება არ ეფუძნებოდა რელევანტურ და საკმარის საფუძვლებს. შესაბამისად, ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევას.

დისკრიმინაციის აპრძალვა (მუხლი 14)

მე-14 მუხლი მე-2 მუხლთან ერთობლიობაში

გადაწყვეტილება საქმეზე **მაკუჩიანი და მინასიანი აზერბაიჯანის და უნგრეთის წინააღმდეგ**,¹²¹ ეხებოდა ხელშემკვრელი სახელმწიფოების ვალდებულებას მსჯავრდებულ პირთა სხვა სახელმწიფოსთვის გადაცემის კონტექსტში. აღნიშნული გადაწყვეტილება აგრეთვე ეხებოდა ეთნიკური სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისთვის საზღვარგარეთ დაკისრებული სასჯელის აღუსრულებლობის დისკრიმინაციულ ბუნებას.

აზერბაიჯანელმა ოფიცერმა (რ.ს-მ), რომელიც ბუდაპეშტში მონაწილეობას იღებდა NATO-ს მიერ დაფინანსებულ კურსში, მოკლა სომეხი ოფიცერი (მეორე მომჩივნის დისპილი) და დაიმუქრა, რომ კიდევ ერთ სომეხ ჯარისკაცს (პირველ მომჩივანს) მოკლავდა. რ.ს-ს უნგრეთში სამუდამო პატიმრობა მიესაჯა. მას შემდეგ, რაც მან საპატიმრო დაწესებულებაში 8 წელი მოიხადა, ის გადაყვანილ იქნა აზერბაიჯანში მსჯავრდებულ პირთა გადაცემის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის შესაბამისად. აზერბაიჯანში დაბრუნების შემდეგ რ.ს. შეინყაღეს, გაათავისუფლეს და დაანინაურეს საჯარო ცერემონიაზე. მას აგრეთვე გადაუხადეს განაცდური იმ პერიოდისთვის, რომელიც მან ციხეში გაატარა და ბინის გამოყენების უფლება მისცეს. რ.ს-ს ქმედებისა და მისი შეწყალების გამამართლებელი კომენტარები გააკეთა აზერბაიჯანის სხვადასხვა მაღალჩინოსანმა.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე მომჩივნები დავობდნენ

¹²¹ Makuchyan and Minasyan v. Azerbaijan and Hungary, no. 17247/13, 26 მაისი, 2020.

კონვენციის მე-2 მუხლზე დაყრდნობით, ცალკე აღებული და მე-14 მუხლთან ერთობლიობაში. სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ შეიარაღებული ძალების წარმომადგენლის მიერ პირადი სტატუსით ჩადენილი დანაშაულის აშკარა „მონონება“ და „გამართლება“ აზერბაიჯანის მხრიდან არ იწვევდა სახელმწიფოს პასუხისმგებლობას კონვენციის მე-2 მუხლის მატერიალურსამართლებრივი ასპექტის მიხედვით. მიუხედავად ამისა, აზერბაიჯანის მიერ უნგრეთში დაკისრებული საპატიმრო სასჯელის აღუსრულებლობა, რასაც ახლდა „გმირის შესაბამისი დახვედრა“ და ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე რ.ს-სთვის სხვადასხვა პრივილეგიის მინიჭება, შეუთავსებელი იყო კონვენციის მე-2 მუხლიდან გამომდინარე პროცედურულ ვალდებულებასთან და, უფრო მეტიც, წარმოადგენდა ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციას კონვენციის მე-14 მუხლის მნიშვნელობის ფარგლებში მე-2 მუხლის პროცედურულ ასპექტთან ერთად. სასამართლომ მე-2 მუხლის პროცედურული ვალდებულების დარღვევა არ დაადგინა უნგრეთთან მიმართებით და აღნიშნა, რომ უნგრეთმა დაიცვა მსჯავრდებულ პირთა გადაცემის შესახებ კონვენციის პროცედურა, რათა უზრუნველყო, რომ რ.ს. სასჯელს აზერბაიჯანში მოიხდიდა.

სტრასბურგის სასამართლომ მოცემულ გადაწყვეტილებაში **განავითარა** გარკვეულწილად, ახალი და მნიშვნელოვანი პრინციპები, რომლებიც ეხებოდა სახელმწიფოს პასუხისმგებლობის ფარგლებს იმ ქმედებისთვის, რომელშიც სახელმწიფოს ბრალი არ მიუძღვოდა; აღნიშნული პრინციპები ასევე ეხებოდა ხელშემკვრელი სახელმწიფოების ვალდებულებებს მსჯავრდებულ პირთა გადაცემის კონტექსტში.

(i) პირველი საკითხი, რომელიც სასამართლომ განიხილა იყო შემდეგი: იყო თუ არა აზერბაიჯანი პასუხისმგებელი სადავო დანაშაულებზე და შესაბამისად, დაირღვა თუ არა კონვენციის მე-2 მუხლის მატერიალურსამართლებრივი ნაწილი. სასამართლომ გადამწყვეტი მნიშვნელობა მიანიჭა იმ ფაქტს, რომ რ.ს. არ მოქმედებდა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს ან ხელმძღვანელის ბრძანებით. სასამართლომ აგრეთვე, უარყო მომჩივანთა არგუმენტი, რომელიც ეფუძნებოდა საერთაშორისო უკანონო ქმედებებზე სახელმწიფოთა პასუხისმგებლობის შესახებ გაეროს დებულებების¹²² მე-11 მუხლს. სასამართლომ აღნიშნა, რომ მე-11 მუხლი სახელმწიფოთა პასუხისმგებლობის კონტექსტში ადგენდა ძალიან მაღალ ზღვარს. ეს ზღვარი არ შემოიფარგლებოდა შესაბამისი ქმედების მხოლოდ „გამართლებითა“ და „მონონებით“, არამედ ის მოითხოვდა ორი კუმულატიური პირობის შესრულებას: ცალსახა და არაორაზროვანი „აღიარება“ და „დადასტურება“ იმისა, რომ სადავო ქმედება, თავად სახელმწიფოს მიერ იყო განხორციელებული. მართალია, აზერბაიჯანის მთავრობის მიერ განხორციელებული ღონისძიებები აშკარად ნათელყოფდნენ რ.ს-ს სისხლისსამართლებრივი ქმედებების „მონონებასა“ და „გამართლებას“, თუმცა დამაჯერებლად არ ყოფილა ნაჩვენები (საერთაშორისო სამართლის ძალიან მკაცრი სტანდარტის საფუძველზე), რომ აზერბაიჯანის სახელმწიფომ „ცალსახად და არაორაზროვნად“ „აღიარა“ და „დადასტურა“ რ.ს-ს ქმედებები, როგორც „საკუ-

¹²² Draft Articles on Responsibility of States for Internationally Wrongful Acts, Report of the International Law Commission on the Work of its 53rd Session (2001), UN Doc. A/56/10.

თარი, რითაც შესაბამისად, პირდაპირ და ერთმნიშვნელოვნად აიღო ვალდებულება დაზარალებული პირის მკვლელობასა და მეორე პირის მკვლელობის მცდელობაზე“. აზერბაიჯანის მიერ გადადგმული ნაბიჯები შეიძლება განმარტებული ყოფილიყო, როგორც იმ მიზნის მქონე, რომ საჯაროდ გამოესწორებინათ რ.ს-ის პირადი, პროფესიული და ფინანსური მდგომარეობა, რაც ხელისუფლების წარმომადგენლების მოსაზრებით გამოიწვია უნგრეთში ჩატარებული სისხლისსამართლებრივი სამართალწარმოების ხარვეზიანობამ. სტრასბურგის სასამართლო ამ ყოველივეს გაუმართლებლად მიიჩნევდა.

(ii) მოცემულ საქმეში სასამართლომ აგრეთვე გამოიყენა დადგენილი პრეცედენტული სამართალი სახელმწიფოს წინააღმდეგ (აზერბაიჯანი) მე-2 მუხლის (პროცედურული ნაწილი) იურისდიქციისა და *ratione loci* შესაბამისობის თაობაზე, როდესაც მსჯავრდებული პირი სასჯელის შემფარდებელი სახელმწიფოდან გადაყვანილია სამშობლოში იმ მიზნით, რომ სასჯელის მოხდა იქ გააგრძელოს. სტრასბურგის სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ სიცოცხლის უფლების კონტექსტში დაკისრებული სასჯელის აღსრულება მიჩნეული უნდა იქნას კონვენციის მე-2 მუხლის მიხედვით, სახელმწიფოს პროცედურული ვალდებულების განუყოფელ ნაწილად. იმისგან დამოუკიდებლად თუ სად იქნა დანაშაული ჩადენილი და იმის გათვალისწინებით, რომ აზერბაიჯანი დათანხმდა და მსჯავრდებულ პირთა გადაცემის შესახებ კონვენციის თანახმად, იკისრა ვალდებულება, აღსრულებინა რ.ს-ს საპატიმრო სასჯელი, ის ვალდებული იყო ამგვარად მოქცეულიყო, კონვენციის მე-2 მუხლის პროცედურული ვალდებულების დაცვით. შესაბამისად, არსებობდა „კონკრეტული მახასიათებლები“, რამაც გამოიწვია აზერბაიჯანის იურისდიქციული კავშირის არსებობა კონვენციის მე-2 მუხლის პროცედურული ვალდებულების ქრილში (კიტანოვსკა და სტანოჟკოვიჩი და სხვები ყოფილი იუგოსლავიის ქვეყანა მაკედონიის წინააღმდეგ¹²³ და გიუზელიურთლუ და სხვები კვიპროსისა და თურქეთის წინააღმდეგ¹²⁴). აზერბაიჯანის ქმედებები, რომლის შედეგადაც რ.ს. წონადი საფუძვლების გარეშე, დაუსჯელი დარჩა ეთნიკური სიძულვილით მოტივირებული ძალიან სერიოზული დანაშაულის გამო, არ იყო თავსებადი კონვენციის მე-2 მუხლიდან გამომდინარე ვალდებულებასთან, ეფექტიანად აღეკვეთათ ინდივიდთა სიცოცხლის წინააღმდეგ დანაშაული.

(iii) გარდა ამისა, სასამართლომ **პირველად განიხილა** სასჯელის შემფარდებელი სახელმწიფოს (უნგრეთი) ვალდებულება, უზრუნველყო პატიმრის სასჯელის აღსრულება სხვა ქვეყნისთვის მისი გადაცემის შემდეგ, უფრო კონკრეტულად, დანაშაულის დაზარალებულისა და მათი ახლო ნათესავების უფლებების დაცვის ფონზე. სასამართლომ დაადგინა, რომ უნგრეთის ხელისუფლებამ ამ თვალსაზრისით სათანადო ზომები მიიღო და დაიცვა პროცედურა, რომელიც განსაზღვრულია მსჯავრდებულ პირთა გადაცემის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციით. მათ აზერბაიჯანის ხელისუფლებას მოთხოვეს, დაეზუსტებინათ რა პროცედურა იქნებოდა დაცული რ.ს-ს დაბრუნების შემთხვევაში. მიუხედავად იმისა, რომ აზერბაიჯანის ხელისუფლების პასუხი არასრული იყო და ამას-

¹²³ Kitanovska Stanojkovic and Others v. the former Yugoslav Republic of Macedonia, no. 2319/14, 13 ოქტომბერი, 2016.

¹²⁴ Guzelyurtlu and Others v. Cyprus and Turkey [GC], no. 36925/07, 29 იანვარი, 2019.

თან, ზოგადი ფრაზებით ფორმულირებული, არ არსებობდა ხელშესახები მტკიცებულება იმისა, რომ უნგრეთის ხელისუფლებამ აშკარად იცოდა ან უნდა სცოდნოდა, რომ აზერბაიჯანში დაბრუნების შემთხვევაში რ.ს. ციხიდან გათავისუფლდებოდა. მართლაც, უნგრეთის სასჯელაღსრულების დანესებულებაში რ.ს.-ის მიერ გატარებული დროის გათვალისწინებით, სასამართლო ვერ ხედავს, უნგრეთის ხელისუფლების შესაბამის ორგანოებს რა უნდა მოემოქმედებინათ გარდა იმისა, რომ დაეცვათ გადაცემის შესახებ კონვენციის პროცედურა და ევა-რაუდათ, რომ ევროპის საბჭოს წევრი ქვეყანა კეთილსინდისიერად მოიქცეო-და.

საბოლოოდ, გადანყვეტილება აღსანიშნავია იმ თვალსაზრისით, თუ როგორ შე-აფასა სტრასბურგის სასამართლომ შემდეგი საკითხი: ეთნიკური ნიშნით ჩადე-ნილი დანაშაულის გამო საზღვარგარეთ დაკისრებული სასჯელის სახელმწი-ფოს მიერ აღუსრულებლობა, შეიძლება თუ არა ჩაითვალოს განსხვავებულ მოპ-ყრობად კონვენციის მე-14 მუხლის მნიშვნელობის ფარგლებში კონვენციის მე-2 მუხლის პროცედურულ ნაწილთან ერთად. გადანყვეტილება ასევე საინტერე-სოა იმის გამო, თუ როგორ გაანაწილა სტრასბურგის სასამართლომ მტკიცების ტვირთი (ნაჩოვა და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ¹²⁵). საქმის კონკრეტული მახასიათებლების გათვალისწინებით (რ.ს.-ის დანაშაულება, არაერთი პრივილე-გიის მიკუთვნება ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, მისი გმი-რად განდიდება რამდენიმე მაღალჩინოსნის მიერ, ისევე როგორც პრეზიდენ-ტის ვებგვერდზე რ.ს.-ისადმი მადლიერების გამომხატველი სპეციალური გვერ-დის შექმნა), მიჩნეულ იქნა, რომ მომჩივნებმა წარმოადგინეს საკმარისად მყა-რი, ნათელი და თანმიმდევრული დასკვნები, რათა შეექმნათ სარწმუნო *prima facie* საქმე, რომ გამოყენებული ღონისძიებები რასობრივად იყო მოტივირებუ-ლი. იქედან გამომდინარე, რომ მომჩივნებისთვის რთული იყო გონივრულ ეჭვს მიღმა ამგვარი მოტივის არსებობის დადასტურება, სასამართლომ საქმის კონ-კრეტული გარემოებების გათვალისწინებით, შეცვალა მტკიცების ტვირთი და აზერბაიჯანს დააკისრა მათი მხრიდან დისკრიმინაციის არსებობის უარყოფის ვალდებულება, რაც ამ უკანასკნელმა ვერ შეძლო.

მე-14 მუხლი მე-8 მუხლთან ერთობლიობაში

გადანყვეტილებაში საქმეზე **ბეიზარასი და ლევიცკასი ლიეტუვას წინააღ-მდეგ**,¹²⁶ სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა აუცილებლობა იმისა, რომ სისხლის სამართალი პასუხობდეს ჰომოფობიურ დამოკიდებულებაზე დაყრდნობით გან-ხორციელებულ პირდაპირ სიტყვიერ შეურაცხყოფასა და ფიზიკური ძალადო-ბის მუქარას.

აპლიკანტებმა, ორმა ახალგაზრდა მამაკაცმა Facebook-ზე ატვირთეს სურათი, სადაც ერთმანეთს კოცნიდნენ. სურათზე ასობით ჰომოფობიური კომენტარი

¹²⁵ Nachova and Others v. Bulgaria [GC], nos.43577/98 and 43579/98, § 157, ECHR 2005-VII.

¹²⁶ Beizaras and Levickas v. Lithuania, no. 41288/15, 14 January 2020.

(მაგალითად, მოწოდებები მომჩივნების კასტრაციის, მკვლელობისა და დაწვის თაობაზე) დაინერა. მომჩივანთა თხოვნით, არასამთავრობო ორგანიზაციამ (NGO), რომლის წევრებიც ისინი თავად იყვნენ და რომელიც ჰომოსექსუალ პირთა უფლებებს იცავდა, პროკურატურას მოთხოვა სისხლის სამართლის საქმის წარმოების დაწყება სიძულვილის გაღვივებისა და ჰომოსექსუალთა მიმართ ძალადობის გამო (სისხლის სამართლის კოდექსის 170-ე მუხლის თანახმად, რომელიც სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ადგენდა დისკრიმინაციის წაქეზებისთვის სხვებს შორის, სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე). პროკურატურამ და სასამართლოებმა უარი განაცხადეს სისხლის სამართლის საქმისწარმოებაზე და დაადგინდეს, რომ მომჩივანთა ქმედება „ექსცენტრიული“ იყო, არ შეესაბამებოდა ლიეტუვაში არსებულ „ტრადიციულ ოჯახურ ღირებულებებს“ და სადავო კომენტარებმა ვერ მიაღწიეს იმ ზღვარს, რომ ისინი დანაშაულებრივად ჩათვლილიყო. სტრასბურგის სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მომჩივნების მიმართ ადგილი ჰქონდა დისკრიმინაციას მათი სექსუალური ორიენტაციის ნიშნით, კონვენციის მე-14 მუხლის დარღვევით, მე-8 მუხლთან ერთობლიობაში. სტრასბურგის სასამართლომ ასევე, დაადგინა კონვენციის მე-13 მუხლის დარღვევა, ვინაიდან მომჩივნებს უარი ეთქვათ სამართლებრივი დაცვის ეფექტიან საშუალებებზე მათ საჩივართან მიმართებით, რომელიც ეხებოდა პირადი ცხოვრების უფლების დარღვევას იმის გამო, რომ სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე მათ მიმართ ადგილი ჰქონდა დისკრიმინაციას.

გადანყვეტილება აღსანიშნავია, ვინაიდან ის აზუსტებს შემდეგ ორ საკითხს:

(i) აუცილებელია თუ არა სისხლისსამართლებრივი ღონისძიებების გამოყენება დისკრიმინაციული მოტივით განხორციელებული სიტყვიერი შეურაცხყოფისა და ფიზიკური ძალადობის მუქარასთან მიმართებით (რ.ბ. *უნგრეთის წინააღმდეგ*,¹²⁷ *კირალი და დომოტორი უნგრეთის წინააღმდეგ*¹²⁸ და *ალკოვიჩი მონტენეგროს წინააღმდეგ*¹²⁹);

(ii) წარმოშობს თუ არა ცალკე განსახილველ საკითხს კონვენციის მე-13 მუხლის საფუძველზე წარმოდგენილი საჩივარი, რომლის მიხედვითაც დისკრიმინაციულ მიდგომას გავლენა ჰქონდა სამართლებრივი დაცვის საშუალებების ეფექტიანობაზე ეროვნული კანონმდებლობის გამოყენების დროს.

(i) რაც შეეხება ამ კონტექსტში სისხლისსამართლებრივი ღონისძიებების აუცილებლობას, სტრასბურგის სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ სისხლისსამართლებრივი სანქციები, მათ შორის, იმ პირთა წინააღმდეგ, რომლებიც პასუხისმგებელნი არის სიძულვილის ყველაზე სერიოზულ გამოხატვასა და სხვებისთვის ძალადობისკენ მოწოდებაზე, შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც *ultima ratio* ღონისძიება. ეს თანაბრად ვრცელდება სიძულვილის ენაზე, რომელიც ეხება პირის სექსუალურ ორიენტაციასა და სექსუალურ ცხოვრებას. თუმცა, წინამდებარე საქმე ეხება მომჩივანთა ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ხელშეუხებლობაზე თავდასხმის დაუფარავ მოწოდებებს, რაც საჭიროებდა სისხლის

¹²⁷ R.B. v. Hungary, no. 64602/12, §§ 80 და 84-85, 12 აპრილი, 2016.

¹²⁸ Király and Dömötör v. Hungary, no. 10851/13, § 76, 17 იანვარი, 2017.

¹²⁹ Alković v. Montenegro, no. 66895/10, §§ 8, 11, 65 და 69, 5 დეკემბერი, 2017.

სამართლის კანონმდებლობით დაცვას. მიუხედავად იმისა, რომ ლიეტუვას სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებდა ამგვარ დაცვას, ის არ იყო უზრუნველყოფილი მომჩივნებისთვის, ხელისუფლების ორგანოების დისკრიმინაციული მიდგომის გამო. პოზიტიური ვალდებულება ხელისუფლების ორგანოებისგან მოითხოვდა, რომ ეფექტიანად გამოეძიებინათ, სადავო კომენტარები წარმოადგენდა თუ არა სიძულვილისა და ძალადობის ნაქეზებას. სტრასბურგის სასამართლომ უარყო მთავრობის არგუმენტი, რომ მომჩივნებს შეეძლოთ მიემართათ სხვა (სამოქალაქოსამართლებრივი) საშუალებებისთვის, როდესაც ეროვნულმა სასამართლოებმა უარი განაცხადეს კომენტარების დანაშაულებრივად ცნობაზე. სტრასბურგის სასამართლომ გაითვალისწინა, რომ მოცემულ გარემოებებში აშკარად არაგონივრული იყო მომჩივნებისთვის სხვა სამართლებრივი დაცვის საშუალებების ამონურვის მოთხოვნა და ეს შეამცირებდა კომენტარების სერიოზულობას.

(ii) სტრასბურგის სასამართლომ აგრეთვე, განიხილა, შეიძლება დაირღვეს თუ არა კონვენციის მე-13 მუხლი იმ სიტუაციაში, როდესაც ზოგადად, ეფექტიანი სამართლებრივი დაცვის საშუალება კონკრეტულ საქმეზე არ იქნა ეფექტიანად გამოყენებული დისკრიმინაციული მიდგომების გამო, რამაც უარყოფითი გავლენა იქონია ეროვნული კანონმდებლობის გამოყენებაზე. ამასთან დაკავშირებით, სასამართლომ აღნიშნა, რომ მსგავს საფუძველზე დაყრდნობით, კონვენციის მე-13 მუხლის მიხედვით წარდგენილ საქმეებში, სასამართლო ხშირად საჭიროდ არ მიიჩნევდა ცალკე განეხილა საჩივრები კონვენციის მე-13 მუხლის მიხედვით, როდესაც დადგენილი იყო კონვენციის მე-14 მუხლის დარღვევა კონვენციის სხვა მუხლთან ერთობლიობაში (*ოპუზი თურქეთის წინააღმდეგ*).¹³⁰ თუმცა, მომჩივანთა საქმეზე დადგენილი დარღვევის ბუნებისა და არსის გათვალისწინებით, სტრასბურგის სასამართლომ მიიჩნია, რომ საჭირო იყო მომჩივნის საჩივრის ცალკე განხილვა მე-13 მუხლის მიხედვით. ეროვნული სასამართლოების პრაქტიკის, წარმოდგენილი სტატისტიკური ინფორმაციისა და საერთაშორისო ორგანიზაციების დასკვნების გათვალისწინებით, სასამართლომ დაასკვნა, რომ მოცემულ საქმეში დაირღვა კონვენციის მე-13 მუხლი ძირითადად, შემდეგ საფუძველებზე დაყრდნობით:

- აშკარა არ იყო, რომ უზენაეს სასამართლოს ჰქონდა შესაძლებლობა ნათლად განემარტა სტანდარტები, რომლებიც უნდა გამოყენებულიყო ამ სიმძიმის სიძულვილის ენასთან დაკავშირებულ საქმეებზე: ეროვნული პრაქტიკის გამოყენების ფორმა არ უზრუნველყოფდა ეროვნული სამართლებრივი დაცვის ეფექტიან საშუალებას ჰომოფობიური ნიშნით დისკრიმინაციის საჩივრებზე;
- სექსუალური უმცირესობის მიმართ შეუწყნარებლობის მზარდი მაჩვენებელი მეტწილად შეუმონმებელი რჩებოდა;
- სამართალდამცავმა ინსტიტუტებმა დისკრიმინაცია არ აღიარეს მსგავსი დანაშაულის მოტივად და არ გამოავლინეს მიდგომა, რომელიც სიტუაციის სერიოზულობის ადეკვატური იქნებოდა;

¹³⁰ Opuz v. Turkey, no. 33401/02, § 205, ECHR 2009.

- ხელისუფლების ორგანოებს არ ჰქონდათ ყოველმხრივი სტრატეგია, რათა ებრძოლათ ჰომოფობიური სიძულვილის ენის პრობლემის წინააღმდეგ.

მე-14 მუხლი 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ელ მუხლთან ერთობლიობაში

გადანყვეტილება **ჯ.დ. და ა გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ**,¹³¹ ეხებოდა ტესტს, რომელიც გამოყენებული უნდა ყოფილიყო სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკის ზომების დასაბუთებასთან დაკავშირებით („ძალიან წონადი მიზეზები“ ან „ამკარად გონივრული საფუძვლის გარეშე“).

ორი მომჩივანი, სოციალური პროგრამის ფარგლებში, ბინას ქირაობდა შეღავათიან ფასად. 2012 წელს კანონით დადგენილ პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შემდეგ, საცხოვრებელი ბინის შეღავათი, რომლითაც მანამდე მომჩივნები სარგებლობდნენ, შემცირდა, რადგან შეცვლილი პროგრამის თანახმად, მათ დამატებითი საძინებელი ჰქონდათ. ცვლილების მიზანი იყო სახელმწიფო სახსრების დაზოგვა, სოციალური შეღავათით მოსარგებლე „დამატებითი“ საძინებლის მქონე პირთა ნაქეზებით, რომ გადასულიყვნენ შედარებით პატარა სახლებში.

მომჩივნები მე-14 მუხლის საფუძველზე, 1-ელ დამატებით ოქმთან ერთობლიობაში დავობდნენ, რომ აღნიშნული ცვლილებები მათ, პირადი გარემოებების გათვალისწინებით, სხვებთან შედარებით მეტად არასაიმედო მდგომარეობაში აყენებდნენ. კერძოდ, მათთვის აუცილებელი იყო საკუთარ სახლებში დარჩენა, რადგან: პირველი მომჩივანი მთელი დღის განმავლობაში ზრუნავდა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) შვილზე, ხოლო მეორე მომჩივანი სარგებლობდა და ცხოვრობდა „თავშესაფრის შესახებ პროგრამის“ ფარგლებში, რომელიც იცავდა მათ, ვინც დაექვემდებარნენ ოჯახში ძალადობას ან იმყოფებოდნენ ოჯახური ძალადობის სერიოზული რისკის ქვეშ.

პალატამ არ დაადგინა დარღვევა პირველ მომჩივანთან მიმართებით: მიუხედავად იმისა, რომ მისთვის ხელისშემშლელი და არასასურველი იქნებოდა საცხოვრებლის შეცვლა, მის შემთხვევაში გამოყენებული ღონისძიების ეფექტი პროპორციული იყო, რადგან შეეძლო უფრო პატარა, სათანადოდ ადაპტირებულ საცხოვრებელ სახლში გადასვლა. პალატამ დაადგინა დარღვევა მეორე მომჩივნის შემთხვევაში: საცხოვრებლის შეღავათის შემცირების მიზანი (პატარა სახლში გადასვლის წახალისება) ეწინააღმდეგებოდა „თავშესაფრის შესახებ პროგრამის“ მიზანს (დარჩეს საკუთარ სახლში საკუთარი უსაფრთხოებისთვის), წონადი მიზეზები არ ყოფილა წარმოდგენილი ერთი ლეგიტიმური მიზნის, მეორეზე უფრო პრიორიტეტულად მიჩნევის გასამართლებლად და ამ დაპირისპირების გათვალისწინებით, დისკრეციული სარგებლის არსებობა აღნიშნულ პროგრამას პროპორციულად არ გადააქცევდა.

გადანყვეტილება აღსანიშნავია სტრასბურგის სასამართლოს მიერ შესაბამისი ტესტის დაზუსტების მხრივ, რომელიც გამოყენებული უნდა იქნეს სოციალური

¹³¹ J.D. and A v. the United Kingdom, nos. 32949/17 და 34614/17, 24 ოქტომბერი, 2019 (არასაბოლოო).

და ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიების გასასამართლებლად, მე-14 მუხლთან მიმართებით 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ელ მუხლთან ერთობლიობაში.

(i) აღნიშნული წარმოადგენდა საკვანძო საკითხს ეროვნული სასამართლოების წინაშე, რომლებიც არ დაეთანხმნენ წინამდებარე საქმეში გამამართლებელი ტესტის გამოყენებას, კერძოდ:

- საჭირო იყო თუ არა იმის ჩვენება, რომ გატარებული ღონისძიება იყო „ამ-კარად დაუსაბუთებელი“. ტესტი, რომელსაც ითვალისწინებს 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლი და რომლითაც სახელმწიფოს ენიჭება თავისუფალი შეფასების ფართო ფარგლები; ან
- საჭირო იყო თუ არა „ნონადი მიზეზები“ გატარებული ღონისძიების გასასამართლებლად. ტესტი, რომელსაც ითვალისწინებს კონვენციის მე-14 მუხლი და რომლის მიხედვითაც სახელმწიფოს თავისუფალი შეფასების ფარგლები უფრო ვიწროა.

(ii) სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნა, რომ მართალია, თავისუფალი შეფასების ფარგლები ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის ზოგადი ღონისძიებების კონტექსტში იყო ფართო, თუმცა ასეთი ღონისძიებები უნდა განხორციელდეს იმ ფორმით, რომ არ დაირღვეს კონვენციით დადგენილი დისკრიმინაციის აკრძალვა; ამასთან, ღონისძიებები უნდა შეესაბამებოდეს პროპორციულობის მოთხოვნებს. შესაბამისად, ეკონომიკურ ან სოციალურ სფეროში სახელმწიფოსთვის მიკუთვნებული შეფასების ფართო ზღვარი არ ამართლებს იმ კანონებს ან პრაქტიკას, რომლებიც არღვევენ დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპს. ამრიგად, გამოყენებული უნდა იყოს შემდგომი ტესტები:

- მე-14 მუხლის 1-ელი დამატებითი ოქმის 1-ელ მუხლთან ერთობლიობის კონტექსტში, სტრასბურგის სასამართლომ დაადასტურა, რომ მან გამოიყენა „ამ-კარად დაუსაბუთებლობის“ ტესტი მხოლოდ იმ გარემოებებზე, სადაც სადავო განსხვავებული მოპყრობა გამოიწვია გარდამავალმა ღონისძიებამ, რომელიც განკუთვნილი იყო ისტორიული უთანასწორობის გამოსასწორებლად (იხ.: *სტეკი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*,¹³² *რანკი და უაითი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*¹³³ და *ბრიტანეთის გურქთა კეთილდღეობის საზოგადოება გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*¹³⁴).
- ამ კონტექსტის მიღმა და როდესაც სავარაუდო დისკრიმინაცია განხორციელდა შეზღუდული შესაძლებლობებისა და სქესის საფუძველზე, საჭიროა „ძალიან ნონადი მიზეზები“ მომჩივანთა მიმართ გატარებული სადავო ღონისძიებების გასასამართლებლად. სტრასბურგის სასამართლომ განმარტა, რომ შშმ პირთა დისკრიმინაციის აღკვეთისა და საზოგადოებაში მათი სრული ჩართულობის და ინტეგრაციის ხელის შეწყობის აუცილებლობის გათვალისწინებით, სახელმწიფოთა თავისუფალი შეფასების ფარგლები, შშმ პირებთან მიმართებით სხვადასხვა სამართლებრივი მოპყრობის დადგენისას, მნიშვნელოვ-

¹³² *Stec and Others v. the United Kingdom* [დიდი პალატა], nos. 65731/01 და 65900/01, §§ 61-66, ECHR 2006-VI.

¹³³ *Runkee and White v. the United Kingdom*, nos. 42949/98 და 53134/99, §§ 40-41, 10 მაისი, 2007.

¹³⁴ *British Gurkha Welfare Society and Others v. the United Kingdom*, no. 44818/11, § 81, 15 სექტემბერი, 2016.

ნად შემცირდა; შუამ პირთა განსაკუთრებული მოწყვლადობის გათვალისწინებით, ასეთი მოპყრობის გასასამართლებლად საჭიროა „ძალიან ნონადი მიზეზები“ (გუბერინა ხორვატიის წინააღმდეგ¹³⁵). გარდა ამისა, გენდერული თანასწორობის განვითარება წარმოადგენს ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოთა მთავარ მიზანს, შესაბამისად, „ძალიან ნონადი მიზეზები“ უნდა არსებობდეს, რათა სქესის ნიშნით განსხვავებული მოპყრობა ჩაითვალოს კონვენციასთან შესაბამისად (კონსტანტინ მარკინი რუსეთის წინააღმდეგ¹³⁶). აღსანიშნავია, რომ ეს ტესტი დადგენილი იყო მოცემული საქმის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით (შეზღუდული შესაძლებლობებისა და სქესის საფუძველზე სავარაუდო დისკრიმინაცია), მიუხედავად იმისა, რომ გადანყვეტილება პირდაპირ არ ზღუდავდა ტესტის გამოყენებას მასთან მიმართებით.

შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება (მუხლი 11)

მშვიდობიანი შეკრების თავისუფლება

გადაწყვეტილებაში საქმეზე *ნავალნი რუსეთის წინააღმდეგ*,¹³⁷ მომჩივანი იყო პოლიტიკური აქტივისტი, ანტიკორუფციული მოძრაობის აქტიური წევრი და პოპულარული ბლოგერი, ასევე ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ოპოზიციონერი რუსეთში. აღნიშნული საქმე ეხება 2012 წლის მარტიდან 2014 წლის თებერვლამდე პერიოდში განხორციელებულ შვიდ ეპიზოდს, როდესაც მომჩივანი დააკავეს და ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად ცნეს იმის გამო, რომ მან მონაწილეობა მიიღო არასანქცირებულ, თუმცა მშვიდობიან შეკრებაში.

სტრასბურგის სასამართლოს დიდმა პალატამ დაადგინა კონვენციის მე-5 და მე-6 მუხლების დარღვევა: მისი დაკავება გაუმართლებელი და თვითებური იყო (მე-5 მუხლი) და შვიდი სამართალწარმოებიდან ექვსში გაკეთებული დასკვნები არ ეფუძნებოდა ფაქტების მისაღებ შეფასებას (მე-6 მუხლი). დიდმა პალატამ აგრეთვე, დაადგინა კონვენციის მე-11 მუხლის დარღვევა. სასამართლომ განაცხადა, რომ კონვენციის მე-18 მუხლის საფუძველზე წარდგენილი საჩივარი მოითხოვდა ცალკე განხილვას და საბოლოოდ მიიჩნია, რომ აღნიშნული მუხლიც დარღვეული იყო. გარდა ამისა, სტრასბურგის სასამართლოს დიდმა პალატამ კონვენციის 46-ე მუხლის საფუძველზე სახელმწიფოს მიუთითა, თუ რა ზოგადი ხასიათის ღონისძიებები უნდა გაეტარებინა.

(i) მოცემულ საქმეში აღსანიშნავია ორი ასპექტი, რომელიც უკავშირდება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომას კონვენციის მე-11 მუხლთან:

- დიდმა პალატამ განცალკევებით განიხილა ხელისუფლების ორგანოების მიერ მისაღწევი ლიგიტიმური მიზანი (მიზნები). მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს სერიოზული ეჭვები ჰქონდა, ემსახურებოდა თუ არა ხუთი დაკა-

¹³⁵ Guberina v. Croatia, no. 23682/13, § 73, 22 მარტი, 2016.

¹³⁶ Konstantin Markin v. Russia [დიდი პალატა] no. 30078/06, § 127, ECHR 2012 (ამონარიდები).

¹³⁷ Navalnyy v. Russia [GC], nos. 29580/12 და 4 სხვა, 15 ნოემბერი, 2018.

ვებიდან რომელიმე ლეგიტიმური მიზნის მიღწევას, მან დაადგინა მე-11 მუხლის დარღვევა იმ საფუძვლით, რომ მე-5 და მე-6 დაკავებები არ ემსახურებოდა ლეგიტიმური მიზნის მიღწევას. შესაბამისად, ეს საქმე ერთ-ერთი იმ იშვიათ საქმეთაგანია,¹³⁸ სადაც ლეგიტიმური მიზნის არარსებობა თავისთავად იწვევდა კონვენციის დარღვევას.

- დიდმა პალატამ აგრეთვე დაადგინა, რომ დარჩენილი ხუთი პატიმრობა არაპროპორციულად ზღუდავდა კონვენციის მე-11 მუხლით გათვალისწინებულ მომჩივნის შეკრების თავისუფლების უფლებას. ეს დარღვევა ეფუძნებოდა იმავე დასაბუთებას, რომელიც წარმოდგენილი იქნა ხელისუფლების მხრიდან არასანქცირებული, თუმცა მშვიდობიანი შეკრების შეუწყნარებლობის მიმართ.¹³⁹ თუმცა, დიდმა პალატამ აგრეთვე განაგრძო საკუთარი დასკვნების გაფართოება. მან მიიჩნია, რომ აღნიშნული ხუთი ეპიზოდი მიუთითებდა ხელისუფლების ორგანოების თანმიმდევრულ მარცხზე, გამოეჩინათ საჭირო შემწყნარებლობა, მიუხედავად ამის თაობაზე სტრასბურგის სასამართლოს მხრიდან რუსეთის მიმართ გაკეთებული ცალსახა მითითებისა. შემწყნარებლობის ნაკლებობა მიჩნეულ იქნა მარეგულირებელი ჩარჩოს სტრუქტურული არაადეკვატურობის კიდევ ერთ გამოვლინებად. ზემოხსენებული ჩარჩო ვერ უზრუნველყოფდა ეფექტიან სამართლებრივ გარანტიებს შეკრების თავისუფლებაში თვითნებური ჩარევის წინააღმდეგ. ეროვნული კანონმდებლობის მიერ ეფექტიანი გარანტიების არარსებობა დაადასტურა მოცემულ საქმეში იმ დასკვნამაც, რომ დაკავების ორი ეპიზოდი არ ემსახურებოდა ლეგიტიმურ მიზანს.

(ii) დამატებით, ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც სტრასბურგის სასამართლომ კონვენციის მე-18 მუხლის დარღვევა დაადგინა მე-11 მუხლთან ერთობლიობაში.

(iii) საბოლოოდ, დიდმა პალატამ კონვენციის 46-ე მუხლის მიხედვით განსაზღვრა გარკვეული ზოგადი ღონისძიებები, რომლებიც უნდა გატარდეს. მან მოპასუხე სახელმწიფოს მოუწოდა მიეღო სათანადო საკანონმდებლო და/ან სხვა ზოგადი ღონისძიება, რათა უზრუნველყო ეროვნული მექანიზმი, რომელიც ხელისუფლების ორგანოებს მოთხოვდა, მშვიდობიანი შეკრების ფუნდამენტური ხასიათის გათვალისწინებას და სათანადო შემწყნარებლობის გამოვლენას არასანქცირებული, თუმცა მშვიდობიანი შეკრების მიმართ, რომელიც არ იწვევდა ჩვეული ცხოვრების იმგვარ ხელშეშლას, რომელიც ცდებოდა მცირე შეწუხების დონეს.

¹³⁸ Merabishvili v. Georgia [GC], no. 72508/13, 28 ნოემბერი, 2017; Khuzhin and Others v. Russia, no. 13470/02, 23 ოქტომბერი, 2008; Nolan and K. v. Russia, no. 2512/04, 12 თებერვალი, 2009; P. and S. v. Poland, no. 57375/08, 30 ოქტომბერი, 2012; Karajanov v. the former Yugoslav Republic of Macedonia, no. 2229/15, 6 აპრილი, 2017.

¹³⁹ მაგალითად, Malofeyeva v. Russia, no. 36673/04, 30 მაისი, 2013; Kasparov and Others v. Russia, no. 21613/07, 3 ოქტომბერი, 2013; Navalnyy and Yashin v. Russia, no. 76204/11, 4 დეკემბერი, 2014; Novikova and Others v. Russia, nos. 25501/07 და 4 სხვა, 26 აპრილი, 2016; Lashmankin and Others v. Russia, nos. 57818/09 და 14 სხვა, 7 თებერვალი, 2017.

უცხოელთა კოლექტიური ბაქჰეზა

(მე-4 დამატებითი ოქმი – მუხლი 4)

გადანყვეტილება საქმეზე **ნ. დ. და ნ. ტ. ესპანეთის წინააღმდეგ**,¹⁴⁰ ეხება მიგრანტების მიერ საზღვრის უნებართვოდ გადაკვეთის მცდელობის შემდეგ, მათ დაუყოვნებლივ და იძულებით დაბრუნებას სახმელეთო საზღვრიდან.

2014 წლის აგვისტოში რამდენიმე ასეულმა მიგრანტმა, მათ შორის იყვნენ მომჩივნებიც, ქალაქ მელილას ირგვლივ არსებული ბარიერების გადალახვის მეშვეობით ესპანეთში შესვლა სცადა. გალავანზე ასვლის შემდეგ ისინი დააკავა სამოქალაქო გვარდიამ, რომელმაც მათ ხელბორკილები დაადო და დააბრუნა საზღვრის მეორე მხარეს, მიგრანტთა ვინაობის დადგენის პროცედურის ჩატარების ან მათთვის მდგომარეობის ახსნის შესაძლებლობის მიცემის გარეშე. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ კონვენციის მე-4 დამატებითი ოქმის მე-4 მუხლის დარღვევა არ დაადგინა; მან აგრეთვე არ დაადგინა მე-13 მუხლის დარღვევა მე-4 დამატებითი ოქმის მე-4 მუხლთან ერთობლიობაში.

გადანყვეტილება აღსანიშნავია ორი კუთხით. პირველი, სასამართლომ პირველად განიხილა მე-4 დამატებითი ოქმის მე-4 მუხლის გამოყენების საკითხი სახმელეთო საზღვრიდან უცხოელთა დაუყოვნებლივ და იძულებით დაბრუნებასთან დაკავშირებით. მეორე, ის ადგენს ორსაფეხურიან ტესტს, რათა განისაზღვროს ამ მუხლის მიხედვით არსებული დაცვის ფარგლები იმ პირებთან მიმართებით, რომლებიც უნებართვოდ კვეთავენ სახმელეთო საზღვარს და ბოროტად სარგებლობენ მათი მრავალრიცხოვნებით.

(i) მე-4 დამატებითი ოქმის მე-4 მუხლის გამოყენების კონტექსტში, დიდ პალატას პირველად უნდა შეეფასებინა, კონცეფცია „გაძევება“, რომელიც გამოყენებულია აღნიშნულ მუხლში, აგრეთვე მოიცავდა თუ არა სახელმწიფო საზღვარზე ან შენგენის ზონაში მყოფ სახელმწიფოებთან მიმართებით, ამ ზონის გარე საზღვარზე მყოფ უცხოელთა შემოშვებაზე უარს. შესაბამისი ტერმინების ავტონომიურად განმარტებით, დიდმა პალატამ მიიჩნია, რომ კონვენციით, კერძოდ, მე-3 მუხლით, გათვალისწინებულ დაცვას არ შეიძლება უარი ეთქვას ან ის არაეფექტიანი იყოს, მხოლოდ ფორმალური საფუძვლებით, მაგალითად, იმის გამო, რომ პირმა ვერ წარადგინა ვალიდური მოთხოვნა მსგავს დაცვაზე, რადგან მან სახელმწიფოს საზღვარი კანონიერად არ გადალახა. აღსანიშნავია, რომ ზემოხსენებული დაცვა განამტკიცებს გაუძევებლობის პრინციპს (იძულებითი დაბრუნების აკრძალვა), რომელიც განმარტებულია ლტოლვილთა სტატუსის შესახებ 1951 წლის ჟენევის კონვენციაში. ამრიგად, დიდმა პალატამ დაადასტურა, რომ მიმდინარე გამოყენების დროს ტერმინი „გაძევება“ უნდა განიმარტოს ზოგადი მნიშვნელობით („ადგილიდან მოშორება“, იხ.: *ხლაიფია და სხვები იტალიის წინააღმდეგ*¹⁴¹ და *ჰირსი ჯამაა და სხვები იტალიის წინააღმდეგ*¹⁴²).

¹⁴⁰ N.D. and N.T. v. Spain [GC], nos. 8675/15 and 8697/15, 13 თებერვალი, 2020.

¹⁴¹ Khlaifia and Others v. Italy [GC], no. 16483/12, § 243, 15 December 2016.

¹⁴² Hirsi Jamaa and Others v. Italy [GC], no. 27765/09, § 174, ECHR 2012.

მან შემდეგ განმარტა, რომ ეს ტერმინი გულისხმობს სახელმწიფოს ტერიტორიიდან უცხოელის ნებისმიერ იძულებით გაძევებას, მიუხედავად პირის დარჩენის კანონიერებისა, ტერიტორიაზე მის მიერ გატარებული დროისა, მისი დაკავების ადგილის, მისი როგორც მიგრანტის ან თავშესაფრის მაძიებლის სტატუსისა ან საზღვრის კვეთის დროს მისი ქცევისა. ასევე საინტერესოა, რომ დიდმა პალატამ დაადასტურა ბოლოდროინდელი გადაწყვეტილებების რელევანტურობა საქმეებზე *ჰირსი ჯამაა და სხვები* (ციტირებულია ზემოთ), *შარიფი და სხვები იტალიისა და საბერძნეთის წინააღმდეგ*¹⁴³ და *ხლაიფია და სხვები* (ციტირებულია ზემოთ), რომლებიც ეხებოდა მომჩივნების მიერ ზღვის მეშვეობით სახელმწიფოს ტერიტორიაზე შესვლას. მოცემული საქმის გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლო უარს აცხადებდა სხვაგვარად განემარტა ტერმინი „გაძევება“ მინის მეშვეობით სახელმწიფოს საზღვრის გადაკვეთის მცდელობის კონტექსტში. სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტული სამართლიდან გამომდინარეობს, რომ კონვენციის მე-3 მუხლი და მე-4 დამატებითი ოქმის მე-4 მუხლი ვრცელდება ნებისმიერ სიტუაციაზე, რომელიც ხელშემკვრელი სახელმწიფოს იურისდიქციაში ექცევა, მათ შორის სიტუაციებზე, როდესაც ხელისუფლების ორგანოებს ჯერ არ განუხილავთ, არსებობდა თუ არა საფუძველები, რომლებიც პირებს ამ დებულებების საფუძველზე დაცვის მოთხოვნის უფლებას მიანიჭებდა. დიდმა პალატამ დაასკვნა, რომ მომჩივნები, რომლებიც ესპანეთის იურისდიქციის ქვეშ იმყოფებოდნენ, როდესაც ისინი სამოქალაქო გვარდიის წევრებმა იძულებით დააბრუნეს ტერიტორიიდან, დაექვემდებარნენ „გაძევებას“ კონვენციის მე-4 დამატებითი ოქმის მე-4 მუხლის მნიშვნელობით. ამრიგად, აღნიშნული დებულება გამოყენებადი იყო.

(ii) დიდმა პალატამ შემდეგ განიხილა მე-4 დამატებითი ოქმის მე-4 მუხლის საფუძველზე, თუ რა მოცულობით უნდა მიენიჭოთ დაცვა იმ მომჩივნებს, რომელთა ქმედებაც, წინამდებარე საქმის მომჩივნების მსგავსად, წარმოშობდა „ამკარად რთულ სიტუაციას, რომლის კონტროლიც რთულია და საფრთხეს უქმნის საზოგადოებრივ უსაფრთხოებას“. დიდმა პალატამ გადაწყვიტა, გამოეყენებინა სასამართლოს პრეცედენტული სამართლით კარგად დამკვიდრებული პრინციპი, რომლის თანახმადაც, კონვენციის აღნიშნული დებულება არ ირღვევა, თუ გაძევების გადაწყვეტილება შეიძლება გამოწვეული იყოს მომჩივნის ქცევით (იხ.: *ხლაიფია და სხვები*, ციტირებულია ზემოთ, § 240; *ჰირსი ჯამაა და სხვები*, ციტირებულია ზემოთ, § 184; მ. ა. *კვიპროსის წინააღმდეგ*,¹⁴⁴ *ბერიშა და ჰალ-ჯიტი იუგოსლავიის ყოფილი ქვეყანა მაკედონიის წინააღმდეგ*¹⁴⁵ და *დრიცასი და სხვები იტალიის წინააღმდეგ*¹⁴⁶). ამ კონკრეტულ კონტექსტში საჩივრების შესაფასებლად განვითარებულია ორსაფეხურიანი ტესტი. პირველი, სტრასბურგის სასამართლომ მნიშვნელოვნად მიიჩნია, კონკრეტულ საქმეში, გაეთვალისწინებინა მოპასუხე სახელმწიფომ უზრუნველყო თუ არა ქვეყანაში სამართლებრივი შესვლის გზების რეალური და ეფექტური ხელმისაწვდომობა, კონკრეტუ-

¹⁴³ Sharifi and Others v. Italy and Greece, no. 16643/09, 21 October 2014.

¹⁴⁴ M.A. v. Cyprus, no. 41872/10, § 247, ECHR 2013.

¹⁴⁵ Berisha and Haljiti v. the former Yugoslav Republic of Macedonia (dec.), no. 18670/03, ECHR-VIII.

¹⁴⁶ Dritsas and Others v. Italy (dec.), no. 2344/02, 1 თებერვალი, 2011.

ლად კი, სასაზღვრო პროცედურები. ამგვარმა გზებმა ყველა პირს, რომელიც დევნის ქვეშაა, უნდა მიცეს შესაძლებლობა კონვენციის მე-3 მუხლზე დაყრდნობით, წარადგინოს განაცხადი დაცვის მოპოვებაზე იმ პირობებით, რომლებიც უზრუნველყოფს, რომ აღნიშნული განაცხადი განიხილება საერთაშორისო ნორმების მათ შორის, კონვენციის შესაბამისად. მეორე, იმ შემთხვევაში თუ მოპასუხე სახელმწიფო უზრუნველყოფს მსგავს ხელმისაწვდომობას, თუმცა მომჩივანი არ გამოიყენებს მას, სასამართლო განიხილავს, არსებობდა თუ არა სარწმუნო მიზეზები, რომლებიც ამართლებდა ამგვარ გადაწყვეტილებას. აღნიშნული მიზეზები უნდა ეყრდნობოდეს ობიექტურ ფაქტებს, რომელზე პასუხისმგებლობაც სახელმწიფოს ეკისრება. ინდივიდუალური შეფასების ნაკლებობას გაამართლებს მხოლოდ მსგავსი სარწმუნო მიზეზების არარსებობა, რაც ხელს შეუშლიდა მომჩივანს არსებული პროცედურების გამოყენებაში.

დიდმა პალატამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ სადაც უზრუნველყოფილია კონვენციის კერძოდ კი, მე-3 მუხლის მიხედვით, დაცვის მოთხოვნის უფლება რეალური და ეფექტიანი გზით, კონვენცია სახელმწიფოებს არ უკრძალავს მოითხოვონ, რომ მსგავსი დაცვისთვის პირებმა სასაზღვრო გამშვებ პუნქტებზე წარადგინონ შესაბამისი განაცხადი. შედეგად, სახელმწიფოებმა შესაძლოა უცხოელებს მათ შორის, პოტენციური თავშესაფრის მაძიებლებს, უარი უთხრან სახელმწიფოს ტერიტორიაზე შესვლაზე, რომლებმაც სარწმუნო მიზეზების გარეშე ვერ უზრუნველყვეს დანესებული მოთხოვნების შესრულება და სცადეს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთა სხვა ფორმით, განსაკუთრებით როგორც ეს მოხდა მოცემულ საქმეში, წინასწარ დაგეგმილი ოპერაციის კონტექსტში, ძალის გამოყენებით და მათი მრავალრიცხოვნებით ბოროტად სარგებლობით.

წინამდებარე საქმეში დიდი პალატა დაკმაყოფილდა იმით, რომ ესპანეთის სახელმწიფომ მომჩივნებს მიანიჭა რამდენიმე შესაძლებლობა, მოეთხოვათ ტერიტორიაზე შესვლა, განსაკუთრებით კი ბენი ენზარის სასაზღვრო პუნქტზე. რაც შეეხება ფაქტებს, დიდი პალატა ვერ დარწმუნდა, რომ მომჩივნებმა წარმოადგინეს სარწმუნო მიზეზები, თუ რატომ არ გამოიყენეს არსებული შესაძლებლობა, რაც საკმარისი იყო იმ დასკვნის გასაკეთებლად, რომ მე-4 დამატებითი ოქმის მე-4 მუხლი არ დარღვეულა. დიდმა პალატამ აგრეთვე გაითვალისწინა, რომ მომჩივნებმა არ მიმართეს მათი წარმოშობის ან ტრანზიტის ქვეყანაში არსებულ ესპანეთის საელჩოებს ან საკონსულოებს. ნებისმიერ შემთხვევაში, მე-3 მუხლის საფუძველზე მათი საჩივრები პალატამ დაუშვებლად ცნო და მათ ვერ შეძლეს, მიეთითებინათ კონკრეტული ფაქტობრივი ან სამართლებრივი საფუძველები, რაც ხელს შეუშლიდა მათ გაძევებას, თითოეული მათგანი რეგისტრირებული რომ ყოფილიყო. შესაბამისად, თითოეულ პირთან მიმართებით ინდივიდუალური გაძევების არარსებობა მომჩივნების ქცევის შედეგი იყო, კერძოდ, მათ არ გამოიყენეს სახელმწიფოში შესვლისათვის დადგენილი ოფიციალური პროცედურები. თუმცა, სტრასბურგის სასამართლოს დიდმა პალატამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მოცემულ საქმეში მე-4 დამატებითი ოქმის მე-4 მუხლის დარღვევის დაუდგენლობა ეჭქვეშ არ აყენებდა ხელშემკვრელ სახელმწიფოთა ვალდებულებას, თავიანთი საზღვრები კონვენციის გარანტიების – უფრო კონკრეტულად კი, გაუძევებლობის პრინციპი შესაბამისად დაეცვათ.

საკონსულტაციო დასკვნები

(მე-16 დამატებითი ოქმი – მუხლი 1)

კონვენციის მე-16 დამატებითი ოქმის საფუძველზე, საფრანგეთის საკასაციო სასამართლოს მიერ წარდგენილი საკონსულტაციო დასკვნის პირველი მოთხოვნის საპასუხოდ, სტრასბურგის სასამართლომ საკუთარი მოსაზრება წარმოადგინა 2019 წლის აპრილში.¹⁴⁷ განსახილველ საკითხს წარმოადგენდა საზღვარგარეთ სუროგაციის გზით დაბადებული ბავშვის პირადი ცხოვრება და სამართლებრივი ურთიერთობის აღიარება მასსა და სავარაუდო დედას შორის, რომელსაც ბავშვთან არ ჰქონდა გენეტიკური კავშირი.

გადანყვეტილება *მენესონი საფრანგეთის წინააღმდეგ*,¹⁴⁸ ეხებოდა მომჩივან ბავშვებს, რომლებიც დაიბადნენ ამერიკის შეერთებულ შტატებში გესტაციურ სუროგაციაზე სამართლებრივი შეთანხმების საფუძველზე. მათმა ბიოლოგიურმა მამამ და სავარაუდო დედამ, რომლებიც დაქორწინებულები იყვნენ, საფრანგეთში ვერ მიიღეს მშობელსა და შვილს შორის ურთიერთობის აღიარება. სტრასბურგის სასამართლომ გაითვალისწინა, თუ რა შედეგები მოჰყვა ბავშვების იდენტობისა და პირადი ცხოვრების სერიოზულ შეზღუდვას და მიიჩნია, რომ სახელმწიფომ გადააჭარბა საკუთარი თავისუფალი შეფასების ფარგლებს. სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა მე-8 მუხლით გარანტირებული ბავშვების პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების დარღვევა. ამ დასკვნის გაკეთებისას, სასამართლომ მიიჩნია, რომ სერიოზული საკითხი წამოიჭრა აღნიშნულ აკრძალვასა და ბავშვის საუკეთესო ინტერესების თავსებადობასთან დაკავშირებით. სასამართლომ სპეციალური ანალიზი გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ ერთ-ერთი მშობელი იყო ბიოლოგიური მშობელი და გაითვალისწინა ბიოლოგიური წარმომავლობის მნიშვნელობა, როგორც იდენტობის შემადგენელი ნაწილი. აღნიშნული გადანყვეტილების შედეგად შეიცვალა ეროვნული კანონმდებლობა: საზღვარგარეთ სუროგაციის შედეგად დაბადებული ბავშვის დაბადების მონუმენტის რეგისტრაცია შესაძლებელი გახდა სავარაუდო მამისთვის, რომელიც ამავდროულად იყო ბიოლოგიური მამა და როდესაც სავარაუდო დედა დაქორწინებულია ბავშვის ბიოლოგიურ მამაზე, შესაძლებელი გახდა ბავშვის შვილად აყვანა. სწორედ მენესონების მოგვიანებითი საჩივრების ხელახალი განხილვის დროს, საკასაციო სასამართლომ მე-16 დამატებითი ოქმის შესაბამისად, მოითხოვა სტრასბურგის სასამართლოსგან საკონსულტაციო დასკვნის მიღება ორ კითხვაზე, რომელიც ეხებოდა სავარაუდო დედას:

1. აჭარბებს თუ არა ხელშემკვრელი სახელმწიფო საკუთარ თავისუფალი შეფასების ფარგლებს, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციის მე-8 მუხლის შესაბამისად, როდესაც უარს აცხადებს დაბადების, ქორწინების და გარდაცვალების რეესტრში, საზღვარგარეთ გესტაციური სუროგაციის გზით დაბადე-

¹⁴⁷ საკონსულტაციო დასკვნა, საზღვარგარეთ გესტაციური სუროგაციის გზით დაბადებულ ბავშვსა და კანონიერ დედას შორის, მშობლისა და შვილის სამართლებრივი უფლების ეროვნულ კანონმდებლობაში აღიარების შესახებ [დიდი პალატა], მოთხოვნა No. §16-2018-001, საფრანგეთის საკასაციო სასამართლო, 2019 წლის 10 აპრილი.

¹⁴⁸ *Mennesson v. France*, no. 65192/11, ECHR 2014 (ამონარიდები).

ბული ბავშვის დაბადების მოწმობის რეგისტრაციაზე, თუ დაბადების მოწმობაში „სავარაუდო დედა“ განსაზღვრულია „კანონიერ დედად“, ხოლო რეგისტრაციას დასაშვებად მიიჩნევს, თუ მოწმობაში მითითებულია „სავარაუდო მამა“, რომელიც ბავშვის ბიოლოგიური მამაა? ამასთან დაკავშირებით, უნდა მოხდეს თუ არა განსხვავება იმის მიხედვით, ბავშვი გაჩნდა თუ არა „სავარაუდო დედის“ კვერცხუჯრედების გამოყენებით.

2. ორივე კითხვაზე დადებითი პასუხის შეთხვევაში, უზრუნველყოფს თუ არა კონვენციის მე-8 მუხლის მოთხოვნებს, სავარაუდო დედის შესაძლებლობა იშვილოს საკუთარი მეუღლის, ბიოლოგიური მამის, შვილი, რაც ნიშნავს დედასა და ბავშვს შორის სამართლებრივი ურთიერთობის დამყარებას.

(i) აღნიშნული იყო სტრასბურგის სასამართლოს პირველი საკონსულტაციო დასკვნა მე-16 დამატებითი ოქმის შესაბამისად და მან გამოიყენა ეს შესაძლებლობა, რათა დაედგინა საკონსულტაციო დასკვნების მოთხოვნის ფარგლები და მოთხოვნები წინამდებარე საქმეში. ევროპულმა სასამართლომ დაადასტურა, რომ არ გააჩნია საქმის გარემოებების ან კონვენციის დებულებების შესაბამისად ეროვნული კანონმდებლობის განმარტებასთან დაკავშირებით, მხარეთა ახსნა-განმარტებების შეფასების იურისდიქცია და ასევე, არ შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ეროვნული სამართალწარმოების შედეგებზე. მისი როლი შემოიფარგლება მხოლოდ დასმულ კითხვებზე დასკვნის წარდგენით, ხოლო მომთხოვნმა სასამართლომ გადაწყვეტილებები უნდა მიიღოს სტრასბურგის სასამართლოს დასკვნიდან გამომდინარე, ეროვნულ კანონმდებლობაში შესაბამისი დებულებების და საქმის შედეგებთან მიმართებით. გარდა ამისა, სტრასბურგის სასამართლოს დასკვნა უნდა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ იმ საკითხებით, რომლებიც ეხება მიმდინარე სამართალწარმოებებს. აქედან გამომდინარე, ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ წინამდებარე მოთხოვნა არ ეხებოდა საზღვარგარეთ შეთანხმებულ სუროგაციას, სადაც გამოყენებული იქნა სავარაუდო ან სუროგატი დედის კვერცხუჯრედები, არც ბავშვების ან სავარაუდო მშობლების ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებას და არც ამ უკანასკნელთა პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებას. გარდა ამისა, სტრასბურგის სასამართლოს წინაშე წარდგენილი იყო რამდენიმე განცხადება, მათ შორის, მენესონების და მათი შვილების, საფრანგეთის და სხვა მთავრობების და ასევე, გარკვეული ორგანიზაციებისგან. სასამართლომ განმარტა, რომ მისი როლი არ იყო პასუხი გაეცა ყველა წარმოდგენილ საფუძველსა და არგუმენტზე ან დეტალურად განემარტა მისი პასუხის საფუძველები ან გადაეწყვიტა სადავო სამართალწარმოება მიმდინარე საჩივრებზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებით. არამედ, მისი მიზანია, რაც შეიძლება მოკლე ვადაში „მომთხოვნ სასამართლოს ან ტრიბუნალს მიაწოდოს სახელმძღვანელო, რომელიც მათ საშუალებას მისცემს, უზრუნველყონ კონვენციით გარანტირებული უფლებები, მათ წინაშე არსებული საქმის გადაწყვეტისას“.

(ii) საკასაციო სასამართლოს კითხვებზე პასუხის გაცემისას, სტრასბურგის სასამართლომ განავითარა საკუთარი სასამართლო პრაქტიკა მე-8 მუხლის შესაბამისად. მენესონის ჯგუფის პრეცედენტული სამართლის თანახმად,¹⁴⁹ ეროვ-

¹⁴⁹ Labassee v. France, no. 65941/11, 26 ივნისი, 2014; Foulon and Bouvet v. France, nos. 9063/14 და 10410/14, 21 ივლისი, 2016; და Laborie v. France, no. 44024/13, 19 იანვარი, 2017.

ნულ კანონმდებლობაში გათვალისწინებული უნდა იყოს საზღვარგარეთ სუროგაციით დაბადებულ ბავშვებსა და მათ სავარაუდო და ბიოლოგიურ მამას შორის სამართლებრივი ურთიერთობის აღიარების შესაძლებლობა. წინამდებარე მოსაზრება ვრცელდება სავარაუდო დედაზეც, რომელსაც არ გააჩნია გენეტიკური კავშირი ბავშვთან, თუმცა, უფრო შეზღუდული მოცულობით:

[როდესაც] ბავშვი დაიბადა საზღვარგარეთ, გესტაციური სუროგაციის გზით და განაყოფიერებისთვის გამოყენებული იყო სავარაუდო მამის სასქესო უჯრედები, დონორი კი იყო მესამე მხარე, აგრეთვე როდესაც სავარაუდო მამასთან მშობელსა და შვილს შორის სამართლებრივი ურთიერთობა აღიარებულია ეროვნულ კანონმდებლობაში:

1. ბავშვის პირადი ცხოვრების უფლება, კონვენციის მე-8 მუხლის მნიშვნელობით მოითხოვს, რომ ეროვნული კანონმდებლობა ითვალისწინებდეს სავარაუდო დედასა და შვილს შორის სამართლებრივი ურთიერთობის აღიარების შესაძლებლობას, რომელიც საზღვარგარეთ კანონიერად დამონმებულ დაბადების მოწმობაში აღნიშნული იქნება როგორც „კანონიერი დედა“;
2. ბავშვის პირადი ცხოვრების უფლება, კონვენციის მე-8 მუხლის მნიშვნელობით არ მოითხოვს ასეთ აღიარებას საზღვარგარეთ კანონიერად დადგენილი დაბადების მოწმობაში არსებული დეტალების – დაბადების, ქორწინებისა და გარდაცვალების რეესტრში რეგისტრაციის ფორმით; ასევე, შეიძლება სხვა საშუალებების გამოყენება, როგორცაა ბავშვის შვილად აყვანა სავარაუდო დედის მიერ, იმ პირობით, რომ ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი პროცედურა უზრუნველყოფს მის სწრაფად და ეფექტურად განხორციელებას, ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით.

აღნიშნული დასკვნების გაკეთებისას ორი ფაქტორი არსებითი მნიშვნელობის იყო. ბავშვის საუკეთესო ინტერესების უზენაესობის გათვალისწინებით, პირველ კითხვაზე დადებითი პასუხის გაცემაში დიდი როლი შეასრულა მშობლისა და შვილის ურთიერთი ურთიერთობის არაღიარების გავლენამ ბავშვის პირად ცხოვრებაზე და ასევე, ზემოაღნიშნულმა მეორე კითხვასთან მიმართებით, სტრასბურგის სასამართლოს საშუალება მისცა მოეთხოვა, რომ ნებისმიერი ალტერნატიული საშუალება ყოფილიყო სწრაფი და ეფექტური. ასევე, მნიშვნელოვანი იყო თავისუფალი შეფასების ფარგლები, როგორც შესაბამისად, ხელშემკვრელი სახელმწიფოების კანონმდებლობებს შორის რაიმე საერთო საფუძვლის არსებობა. ამ თვალსაზრისით, და მაშინ, როცა სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნა, რომ „ევროპაში არ არსებობდა გარკვეული საერთო მიმართულება ან კონსესუსი სუროგაციის გზით გაჩენილ ბავშვებსა და სავარაუდო მშობლებს შორის სამართლებრივი აღიარების თვალსაზრისით“ და სადაც არსებობდა ასეთი აღიარება, არ არსებობდა კონსესუსი გამოსაყენებელი პროცედურის შესახებ.

მართალია, როგორც ზემოთ აღინიშნა, სტრასბურგის სასამართლომ დაადასტურა, რომ მე-16 დამატებითი ოქმის შესაბამისად დასკვნები შემოიფარგლება მხოლოდ მომთხოვნი სასამართლოს მიერ წამოჭრილი საკითხით, წინამდებარე დასკვნა შეიძლება მოიცავდეს უფრო ფართო გამოყენების ელემენტებს. პირველ რიგში, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ საკუთარ პრეცედენტულ სამართალში გარკვეული აქცენტები გააკეთა მინიმუმ, ერთ მშობელთან ბიოლოგიურ კავშირზე და რომ ეს იყო მათ წინაშე არსებული ფაქტობრივი სცენარი: სტრასბურგის სასამართლომ განმარტა, რომ „მომავალში შესაძლებელია

საჭირო გახდეს პრეცედენტული სამართლის განვითარება ამ მიმართულებით, კერძოდ, სუროგაციის საკითხის ევოლუციის გათვალისწინებით“. დამატებით, სტრასბურგის სასამართლომ ასევე დაადასტურა, რომ დედა-შვილის ურთიერთობის აღიარების შესაძლებლობის აუცილებლობა, კიდევ უფრო მეტადაა საჭირო, როდესაც ბავშვი ჩაისახა სავარაუდო დედის კვერცხუჯრედების გამოყენებით. საბოლოოდ, და მიუხედავად იმისა, რომ არსებულ საქმეში წყვილი დაქორწინებული იყო, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ შვილად აყვანა, როგორც მშობელსა და შვილს შორის ურთიერთობის აღიარების სხვა საშუალება, საფრანგეთის კანონმდებლობის შესაბამისად, შესაძლებელი იყო მხოლოდ იმ შემთხვევაში როდესაც სავარაუდო მშობლები ქორწინებაში იმყოფებიან. ასევე, სასამართლომ განაცხადა, რომ საფრანგეთის სასამართლოებმა უნდა გადანყვიტონ, დააკმაყოფილებს თუ არა კონვენციის მოთხოვნებს შვილად აყვანის შესახებ ეროვნული კანონმდებლობა, იმის გათვალისწინებით, რომ შვილად აყვანის შესახებ სამართალწარმოების მიმდინარეობისას, ბავშვები იმყოფებიან მონყვლად მდგომარეობაში.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6
www.supremecourt.ge

